ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**21 ნოემბრიდან!**
„ახალი თაობა“ + საოჯახო ტომი 11 სამზარეულო
2 ლარი და 60 თეთრი

საოჯახო სამზარეულო
300 რეცეპტი
11 ტომი
იტალიური სამზარეულო
ხორცეული
პიცა
დესერტი



თბილისი 2013

ორშაბათი, 25 ნოემბერი, 2013 | №279 (6280) | ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ოფიციალურად წავიდა



გვ.3 ყოფილი პრემიერი სამომავლო გეგმებზე 2-3 თვეში ჩამოყალიბდება



გვ.2

## დავით ნარმანია თბილისის მერობისთვის იბრძოლებს

# ზუგდიდში ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით დაკითხული პოლიციელი გარდაცვლილი იპოვეს გვ.7



## მაია ნიკოლეიშვილი: „ახლა ნამდვილად მოუწევთ ნაციონალებს ციხეში წასვლა“

გვ.5 როგორ მოიპოვა სასამართლო ექსპერტისგან ძველმა ხელისუფლებამ აღიარებითი ჩვენება

## კიევში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა „ევროპის მოედანზე“ კარვები გაშალეს



გვ.5

## მამუკა ნოზაძე: „ევროპული სასამართლო სამაგიეროს მიხდის“



ვინ და რატომ იძია შური ქართველ ადვოკატზე გვ.4

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „პროკურორი მხოლოდ კადრების ცვლილებით არ უნდა შემოიფარგლოს!“

გვ.4






გვ.6

## გია ჟორჟოლიანი: „მთავრობა სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა“



გვ.3

## ილია II: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ დროის ფასი“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოსთვის გადამწყვეტი ბრძოლა გრძელდება“

5 სოზარ სუბარი: „ივანიშვილი ახლა სამოქალაქო სექტორიდან შეეცდება მთავრობის გაკონტროლებას“

3 დავით საგანელიძე პოლიტსაბჭოს შემადგენლობის შემცირებას დადებითად აფასებს

6 პოლიტიკაში ორწლიანი გაელვების არსებული და მოსალოდნელი შედეგები

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით ნარმანია თბილისის მერობისთვის იბრძოლებს

შორენა მარსაგიშვილი

**ადგილობრივი თვითმმართველობისა და მასთან ერთად დედაქალაქის არჩევნები მომავალ წელს ტარდება. მერობის მსურველთა ვინაობას ძირითადად მომავალი წლის გაზაფხულზე შევიტყობთ. კოალიცია „ქართულ ოცნებასაც“, წესით, მაგ პერიოდში უნდა დაესახელებინა მერობის კანდიდატი, მაგრამ გულმა აღარ მოუთმინათ და ნოემბრის მიწურულს დაასახელეს თავიანთი რჩეული.**

ასეთი გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილმა მიიღო. მან რამდენიმე კვირის წინ გვითხრა, სანამ პოლიტიკიდან წავალ, თბილისის მერის კანდიდატურასაც დავასახელებო.

ამ განცხადების შემდეგ სრულიად საქართველო იმის გარკვევას შეუდგა, თუ ვის დაასახელებდა აწ უკვე ექს-პრემიერი. ივანიშვილის აზრების ამოცნობა და ანალიზში შესვლა იოლი საქმე არ არის. თუმცა ერის და მედიის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიდანვე გონივრული ეჭვი დავით ნარმანიაზე მიიტანეს.

მაშინ ეს ინფორმაცია დავით ნარმანიამ უარყო და განაცხადა, რომ მისთვის ასეთი რამე არ შეუთავაზებიათ. 2 დღის წინ კი ერს გვაუწყეს, რომ მეოცნებეთა მერობის კანდიდატი სწორედ ნარმანია იქნება.

თვითმმართველობის არჩევნებამდე ჯერ შორია. კოალიცია „ქართული ოცნება“ კი ახლავე დარწმუნებულია, რომ მერის არჩევნებს მათი კანდიდატი მოიგებს. მასზე დიდი იმედებს პოლიტიკიდან წასული ბიძინა ივანიშვილიც ამყარებს.

მისი შეფასებით, დავით ნარმანია არის ეტალონი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ჩინოვნიკი.

— ჩემი ლიდერობის ბოლო დღეს, დავით ნარმანიას კანდიდატურა მე წარვადგინე და პოლიტსაბჭომაც მხარი დამიჭირა. ნარმანია ჩემთვის იმით არის საინტერესო, რომ ის არის ძალიან აკადემიური, ძალიან დალაგებული და დაბალანსებული ემოციების მქონე ადამიანი. აი, ასეთი უნდა იყოს ჩვენი მომავალი ჩინოვნიკი. ეს არის ჩემთვის სახე და ეტალონი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მომავალ აღმშენებლობაში მყოფი საქართველოს ჩინოვნიკი, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ მესამე რიგგარეშე ყრილობის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დარწმუნებულია, რომ ნარმანია კარგი მერი იქნება. სპიკერის თქმით, თბილისი მერობის ნებისმიერი სხვა მსურველისთვის დავით ნარმანია სერიოზული კონკურენტი იქნება. უსუფაშვილს არც იმის აღნიშვნა დავიწყნია, რომ ნარმანია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრია.

— დავით ნარმანია ჯერ მინისტრია. 22 ნოემბერს დღის წინ დავამტკიცეთ მისი კანდიდატურა პარლამენტში. კოალიციამ დაიწყო მზადება თვითმმართველობის არჩევნებისთვის, როგორც თვითმმართველობის რეფორმის თვალსაზრისით, ასევე ძირითადი პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად. ადგილობრივი არჩევნების პოლიტიკური ნაწილი ჩვენ კანდიდატურის შერჩევით გამოვხატეთ და დარწმუნებული ვარ, რომ დავით ნარმანია ძალიან კარგი მერი იქნება, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ნარმანიას წარმატებაში ეჭვი არც პრემიერ ირაკლი ღრიბაშვილს ეპარება. მისი აზრით, ქვეყანას მეურნე ადამიანი სჭირდება მერის თანამდებობაზე, რომელიც 24 სთ-იან რეჟიმში იმუშავებს.

— ქვეყანას მეურნე მერი სჭირდება და არა ისეთი, ვინც საკუთარ კომფორტსა და კეთილდღეობაზე ფიქრობს. ჩვენი ხელისუფლება საზოგადოებაზე ორიენტირებული იქნება, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ჟურნალისტებთან საუბარში ჯერ ისევ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნარმანიამ განუცხადა, სანამ მას მერის პოსტზე წარადგენდნენ, კონსულტაციები როგორც ყოფილ პრემიერთან, ბიძინა ივანიშვილთან, ისე პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან ჰქონდა.

— ვიდრე ამ თანამდებობაზე წარმადგენდნენ, რამდენიმე დღით ადრე ჩემთან იყო კონსულტაციები, სადაც მე ის ძირითადი ხედვები გავაცანი, თუ რის გაკეთება შემიძლია და რა მიდგომები მექნება თბილისის მერის პოსტზე, — განაცხადა ნარმანიამ.

ახლო მომავალში დავით ნარმანია პოსტის დატოვებას არ აპირებს. და რამდენიმე თვის მანძილზე ისევ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი იქნება.

— ჯერ არჩევნები უნდა გამოცხადდეს. საარჩევნო კანონმდებლობას თავისი წესი და პროცედურები აქვს, რომლებსაც დავიცავ, მანამდე ძალიან ბევრი აქტივობა მაქვს დაგეგმილი სამინისტროში. მოგეხსენებათ, რომ ვმუშაობთ სამინისტროს მომავალი ოთხი წლის სტრატეგიაზე, რომელიც ძალაში 1 იანვრიდან შევა. გარდა ამისა, პარლამენტში ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის განხილვები იწყება და ამ განხილვებს ბოლომდე უნდა მივყვეთ. ერთი სიტყვით, წინ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. როცა მოვა დრო და საარჩევნო კანონმდებლობა მწვანე შუქს მოგვცემს, რომ კანდიდატად დავრეგისტრირდე, ასეთ შემთხვევაში, მინისტრის თანამდებობიდან გადავდგები, — განაცხადა ნარმანიამ.

თბილისის მერის პოსტზე დავით ნარმანიას დასახელებას საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი მიიჩნევს, რომ თბილისის მერის არჩევნებამდე კანდიდატურად მოქმედი მინისტრის დასახელება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საფრთხეს ქმნის.

პარლამენტის თავმჯდომარე ამ პრეტენზიებს არ იზიარებს. ის პირობას დებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ კანონს არ დაარღვევს.

— კანონი არ დარღვეულა გიორგი მარგველაშვილის შემთხვევაში, როდესაც ის იყო განათლების მინისტრი და პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა და კანონი არც ნარმანიას შემთხვევაში დაირღვევა. ცხადია, კანონის დარღვევას ჩვენ არ ვაპირებთ და ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით იქნება. რაც შეეხება დავით ნარმანიას, იგი ჩვეულებრივად გააგრძელებს საქმიანობას მინისტრის პოსტზე, — განაცხადა უსუფაშვილმა.



ნარმანიას დასახელებას, როგორც უკვე ვთქვით, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგიერთი მოპოლიტიკოსო ელემენტი მიიჩნევს, რომ თბილისის მერი მხოლოდ „კარენოი“ თბილისელი უნდა იყოს. არადა, „კარენოი“ მარტო ის ხოხობი იყო, ნადირობისას ვახტანგ გორგასლის მიმინომ რომ იმსხვერპლა.

სოციალურ ქსელებში კი კოალიციის მერობის კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარება მოითხოვეს. „ფეისბუქის“ მომხმარებლებმა თავიანთ კანდიდატურად დეპუტატი გია ვოლსკი წარადგინეს. მათ ნარმანიასთან არაფერი საწინააღმდეგო არა აქვთ, მაგრამ ამ ეტაპზე ვოლსკის ამჯობინებენ.

ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ პირდაპირ ეთერში მიჭირხნა მიხეილ მაჭავარიანი. ნაცმოძის გენმდივანი მეოცნებე ვოლსკის ჩააცივდა: რისთვის უხდით ივანიშვილს მადლობას, ბიუჯეტის გარღვევისთვისო. რაზედაც მეოცნებემ მშვიდად უპასუხა, მადლობას თქვენი გარღვევისთვის ვუხდითო.

ამ მოსწრებულ პასუხს ერში დიდი მოწონება მოჰყვა და როგორც უკვე გითხარით, მას მიიჩნევენ მერობის საუკეთესო კანდიდატად.

„ქართულ ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ მომავალ წელს დაგეგმილ არჩევნებსაც ისინი მოიგებენ. ნაციონალებს სხვას უგრძნობს გული. მათ იმედი აქვთ, რომ ოცნება დაპირებებს ვერ შეასრულებს და ამის ხარჯზე ერი ისევ მათ ჩაეხუტება.

ამ დროისთვის ნაცმოძს მერობის გამოკვეთილი კანდიდატი ჯერ არ ჰყავს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით შესაძლოა რჩეულის გამოსავლენად პრაიმერი ჩაატარონ.

# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოსთვის გადამწყვეტი ბრძოლა გრძელდება“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, „ვარდების რევოლუციის“ 10 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. სააკაშვილის შეფასებით, „ვარდების რევოლუციამ“ საფუძველი ჩაუყარა ისტორიულ მოგზაურობას დემოკრატიის, ხალხის კეთილდღეობის და ჩვენი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისკენ.

მისივე განცხადებით, რევოლუციამ სათავე დაუდო ასევე ისტორიულად უპრეცენდენტო აღმშენებლობის პერიოდს საქართველოში.

„გილოცავთ გიორგობას! „ვარდების რევოლუცია“ 2003 წელს გიორგობას დაემთხვა. ასევე აჭარის განთავისუფლება სეპარატისტული რეჟიმისგან სწორედ გიორგობას, 6 მაისს დაემთხვა.

„ვარდების რევოლუციამ“ შექმნა ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტები, შექმნა ის თაობა, რომელიც აღარასდროს შეეგუება ქვეყნის წარსულში დაბრუნებას. სწორედ „ვარდების რევოლუციამ“ დააყენა მყარად საქართველო ევროკავშირისა და ნატოს გზაზე.



„ვარდების რევოლუცია“ არ ყოფილა მხოლოდ 2003 წლის 23 ნოემბერი, განვლილი ათი წლის თითოეული დღე, ქვეყნის აღმშენებლობისთვის მუშაობის თითოეული საათი — ვარდების რევოლუცია იყო.

ეს წლები იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს მრავალეთნიკურმა საზოგადოებამ აღიდგინა სიამაყე თავისი ქვეყნით. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად პირველად მრავალი საუკუნის განმვალობაში კავკასიაში შეიქმნა თავისი ეპოქისთვის წარმატებული სახელმწიფო. ჩვენ დავანგრიეთ დამპყრობლის მიერ თავზე მოხვეული მითი, რომ ქართველებს არ შეუძლიათ ნამდვილი, წარმატებული სახელმწიფოს შექმნა. ჩვენ შეგვძლებია დამოუკიდებლად წარმატების მიღწევა! „ვარდების რევოლუციამ“ შეუქცევადად შეცვალა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რამდენიმე ასეული მილიონი ადამიანით დასახლებული რეგიონის მომავალი.

თითოეულმა ჩვენგანმა, მათ შორის იმ ადამიანებმაც ვისაც ეჭვები გაუჩნდა, რწმენა შეერყა, საკუთარ თავს უნდა დაუსვან კითხვა — არის თუ არა საქართველო ბევრად უკეთესი ქვეყანა, ვიდრე ათი წლის წინ იყო.

ათი წლის წინ ჩვენ ერთად ვიბრძოდით იმისათვის, რომ საქართველო სახელმწიფოდ ჩამოგვეყალიბებინა და დღეს როდესაც უკან ვიხედები მე ამაყი ვარ, რომ თქვენთან ერთად ვარ იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც „ვარდების რევოლუციამ“ მსოფლიო რუკის კაშკაშა ვარსკვლავად აქცია.

ვინც რა არ უნდა თქვას, „ვარდების რევოლუცია“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია, მაგრამ ეს არის ისტორია რომელიც გრძელდება და ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის! პრეზიდენტის სასახლის ფასადზე მე თავის დროზე დავაწერინე სიტყვები — „ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია“. დარწმუნებული ვარ სიბნელისა და რეგრესის ძალების ყველანაირი რევანში დროებითია, მათი ზეიმი ნაადრევია, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, ისტორიის სწორ მხარეს სწორედ ჩვენ ვართ. ბოლოს ყოველთვის სიკეთე და პროგრესი იმარჯვებს!

გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის გრძელდება! ამ ბრძოლის საბოლოო წარმატებამდე მიყვანა ჩვენი თაობის პასუხისმგებლობაა“ — ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# პუშკინის სკვერთან „ჩოხოსნებმა“ ორი ადამიანი დაჭრეს

23 ნოემბერს თბილისში, პუშკინის სკვერთან, სავარაუდოდ, „ჩოხოსნებმა“ ორი ძმა დაჭრეს. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმე ჯანმრთელობის განზრახ და ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით აღძრა.

ერთ-ერთ დაშავებულს ჭრილობები სახის და თავის არეში აქვს მიყენებული. ექიმების განცხადებით, დაჭრილების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მედიანიუსი**

# ქართველმა სამხედროებმა გიორგობის დღესასწაული ავღანეთშიც აღნიშნეს

გიორგობის დღესასწაული, აისაფის მისიაში მონაწილე ქართველმა სამხედროებმა ავღანეთშიც აღნიშნეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე და ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონების სამხედროებმა, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ღონისძიება ბაზა „ლაზერნიკზე“ გამართეს.

სადღესასწაულო წირვა კი მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის მოძღვარმა მამა ავთანდილმა აღავლინა.

კაპელანმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში და აისაფ-ის მისიაში დაღუპული ქართველი სამხედროების სულის მოსახსენებელი პანაშვიდიც გადაიხადა.

რიტუალის დასრულების შემდეგ კი, 31-ე ბატალიონის შტაბში საზეიმო მიღება გაიმართა.

სადღესასწაულო ღონისძიებას ქართველი სამხედრო მოსამსახურეები და „რეგიონალურ სარდლობა სამხრეთ-დასავლეთში“ შემავალი კოალიციური ქვეყნების სამხედრო შენაერთების მეთაურები დაესწრნენ.

თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ღონისძიების დროს, სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცებს შორის მკლავჭიდში, ბორბლის გადაგორებასა და სიმძიმეების აწევაში შეჯიბრი გაიმართა. გამარჯვებული სამხედრო მოსამსახურეები სიმბოლური საჩუქრებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. ოფიციალური მიღება საზეიმო სადილით დასრულდა.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ოფიციალურად წავიდა

## ყოფილი პრემიერი სამომავლო გეგმებზე 2-3 თვეში ჩამოყალიბდება

**2003 წლის 23 ნოემბრის დამარცხებული ედუარდ შევარდნაძე სახლში წავიდა, 2013 წლის 24 ნოემბრის კი გამარჯვებულმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა წასვლის შესახებ განცხადება.**

გუშინ „ქართული ოცნების" რიგით მესამე ყრილობა გაიმართა. სწორედ ამ ყრილობაზე წავიდა პოლიტიკიდან ივანიშვილი. მან გუშინ პარტიის თავმჯდომარის პოსტიც დატოვა. ამიერიდან პარტიის თავკაცი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი იქნება. „ქართული ოცნების" გენერალური მდივანი კი კახა კალაძე გახდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა პარტიის ყრილობაზე პოლიტსაბჭოს 12 წევრის სია წარმოადგინა, რომლებიც ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა.

პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში კახი კალაძე, ნოდარ ხადური, ირინა იმერლიშვილი, გიორგი ვოლსკი, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, თამაზ ავდალიანი, დავით საგანელიძე, ირაკლი ტრიპოლსკი, თემურ ჭკუასელი, ირაკლი სესიაშვილი და არმაზ ახვლედიანი შედიან.

პოლიტიკიდან მიმავალმა ივანიშვილმა კი ყრილობაზე საგანგებო განცხადება გააკეთა. ექსპრემიერის განცხადებით, ის პოლიტიკიდან მიდის, თუმცა აქტიურ მოქალაქედ რჩება.

— ამიერიდან მე თქვენ წინაშე ვდგავარ არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ, როგორც რიგითი მოქალაქე. მე მივდივარ პოლიტიკიდან, მაგრამ ვრჩები აქტიურ მოქალაქედ. არ არსებობს იმაზე დიდი პატივი, პასუხისმგებლობა და ბედნიერება, რომ იყო შენი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცი. მე ვიქნები ერთ-ერთი, ვინც ხელისუფლებას გააკონტროლებს და დარწმუნებული ვარ, ამ პოზიციიდან გაცილებით უფრო მეტ სარგებელს მოვუტან ჩემს ქვეყანას. მე გაძლევთ სიტყვას, რომ სულ ცოტა 20 წელი, ჩემს ენერგიასა და გამოცდილებას, ჩემი ქვეყნის განვითარებასა და ფეხზე დაყენებას მოვახმარ. მხარს დავუჭერ ყველა ხელისუფლებას, რომელიც ჩემი ქვეყნის სამსახურში იქნება და არც კრიტიკას მოვაკლებ ვინმეს თუ ამას დაიმსახურებს. მე არასდროს დავიღლები ხელისუფლებისთვის იმის შეხსენებით, რომ მთავრობა ხალხს უნდა ემსახუროს და არა პირიქით. მე მუდმივად შევახსენებ ხელისუფლებას, რომ კანონები მეტი თავისუფლებისთვის იქმნება და არა მეტი შეზღუდვებისთვის და რომ სამართლიანობა მართლის ძლიერებას ნიშნავს და არა ძლიერის სიმართლეს. ჩვენ ვიქნებით დემოკრატიული ქვეყნის პროგრესული საზოგადოება. წარმატებას ვუსურვებ პარტია „ქართულ ოცნება დემოკრატიულ საქართველოს" და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პარტია ღირსეულ კონკურენციას გაუწევს სხვა პარტიებს და მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

თავის გამოსვლაში მან სიამაყით აღნიშნა, რომ მისმა კოალიციამ ავტორიტარულ, სიცრუესა და ძალადობაზე დაფუძნებულ რეჟიმს წერტილი საბოლოოდ დაუსვა.

ის ამაყობს იმითაც, რომ ამ ერთ წელიწადში საქართველომ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ცივილიზებული ერია და მას ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ გადაქცევა სურს.

ამაყმა ივანიშვილმა თანამებრძოლებს გუშინ მადლობა გადაუხადა.

— მადლობა მინდა გითხრათ ყველას, პარტია „ქართულ ოცნება — დემოკრატიულ საქართველოს", კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერებს, კოალიციაში შემავალ ყველა პარტიას, თითოეულ წევრს ჩემთან ერთად ხალხისა და ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გაზიარებისთვის. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ხალხს, რომელმაც დაიჯერა, მენდო და ბოლომდე გამომყვა ბრძოლაში, ხალხს, რომელმაც ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში გამოიჩინა სიბრძნე და მოთმინება, დიდი გამბედაობა და თავდადება. ჩვენ ყველამ ერთად დავიბრუნეთ ჩვენი სამშობლო და ამ ერთ წელიწადში საოცრება მოვახდინეთ, ყველას დავუმტკიცეთ, რომ ცივილიზებული ერი ვართ, ევროპული ღირებულებების ერთგული ხალხი ვართ, რომ ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყანა ნამდვილად ევროპულ სახელმწიფოდ ვაქციოთ და ნამდვილად დემოკრატიულ საზოგადოებაში ვიცხოვროთ. ამ ერთ წელიწადში ჩვენ დავამსხვრიეთ მითი, რომ ნაციონალების წასვლით ეს ქვეყანა ზურგს აქცევდა ევროპას, დაინგრეოდა და დემოკრატია დასამარდებოდა. ყველა, ჩვენთანაც და დასავლეთშიც, კარგად მიხვდა, რომ ეს იყო ტყუილი, რომ დემოკრატია ამ 9 წლის განმავლობაში იყო მოჩვენებითი და დემოკრატიის მიღწევებზე ლაპარაკი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ დასავლეთისთვის თვალის ახვევას, მხოლოდ ნაციონალების კეთილდღეობას და იმიჯის შენარჩუნებას ემსახურებოდა. 27 ოქტომბერს, პრეზიდენტის არჩევნებით, ჩვენ საბოლოოდ დავუსვით წერტილი ავტორიტარულ, სიცრუესა და ძალადობაზე დაფუძნებულ რეჟიმს. მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს დიდი გამარჯვება, — განაცხადა ივანიშვილმა.



პარტიის ყრილობაზე მან „ქართული ოცნების" სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა. ის დარწმუნებულია, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" სახით ძლიერი და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი პარტია იქნება.

— მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" სახით იყოს ძლიერი, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი პარტია, პარტია, რომლისთვისაც ხელისუფლებაში ყოფნა იქნება მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება თავისი ამომრჩევლის, ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო" არ უნდა იქცეს სახელმწიფო ინსტიტუტებთან შეზრდილ პარტიად, რისი მავნე ტრადიციაც ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ ამბად იქცა. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი პარტია ნამდვილად იყოს იდეოლოგიითა და ღირებულებებით შეკავშირებული ადამიანების ერთობა, პარტია, რომელიც ქვეყნის სამსახურშია და რომელსაც ხალხის დიდი ნდობა აქვს. მე არ მჯერა იმ პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო თანამდებობის პირების დემოკრატობის, რომლებიც საკუთარ პარტიაში არ ამკვიდრებენ დემოკრატიას და არ გრძნობენ ანგარიშვალდებულებას, პირველ რიგში, საკუთარი პარტიის წევრების მიმართ. ამიტომ მინდა დავინახო, რომ ამ პარტიაში ყველა — ლიდერებიც და რიგითი წევრებიც — ერთნაირად გადიან შიდაპარტიული დემოკრატიის სკოლას. მე, როგორც ამ პარტიის დამფუძნებელი, ყოველთვის ამის გულშემატკივარი ვიქნები. მინდა მჯეროდეს, რომ თქვენ იქნებით მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მმართველი პარტია, როგორ უნდა მოისმინოს ხალხის აზრი, რადგან ხალხის მონაწილეობის გარეშე არ უნდა წყდებოდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი საკითხი. ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ შეუძლია ქვეყნის მართვაში მონაწილეობა. ეს არის ქვეყნის დემოკრატიული მმართველობა, ასეთია ევროპული ქვეყნების ცხოვრების წესი და საქართველოც სწორედ აქეთკენ უნდა მიისწრაფოდეს.

ორი წლის წინ მე მოვახერხე და გავაერთიანე პოლიტიკური სპექტრის საუკეთესო ნაწილი, ხელისუფლებაში მოვიყვანე დემოკრატიული ძალები და ჩამოვაყალიბე საუკეთესო გუნდი. მე შევასრულე დანაპირები — საქართველო თავისუფალია მოძალადე რეჟიმისგან, სახელმწიფო ინსტიტუტები გათავისუფლებულია ხელისუფლების ზეწოლისაგან, საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ყველას ინტერესების დამცველი, მთელი ქვეყნის პრეზიდენტი იქნება. საქართველოს ჰყავს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკოსია. საქართველოს ჰყავს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც მთავრობასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, ფეხზე დააყენებს ქვეყანას. ეს იყო ჩემი ამოცანა და მე ეს ამოცანა შევასრულე. ამიტომ დავტოვე პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და პოლიტიკიდანაც მივდივარ, — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

ახლა ბუნებრივია ყველას აინტერესებს, რას გააკეთებს ივანიშვილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ სამოქალაქო სექტორში მიდის. ამასთან, არავინ იცის, რას გააკეთებს ის. სამომავლო გეგმებში ბოლომდე არც ბიძინა ივანიშვილი არ არის ჩამოყალიბებული.

— გადავალ სამოქალაქო სექტორში, ხოლო რას გავაკეთებ კონკრეტულად და როგორ, ამაზე ჩამოსაყალიბებლად დრო მჭირდება. მინიმუმ ორი-სამი თვე მაინც მინდა, რომ დავლაგდე, გავაკეთო სტრუქტურა და კონკრეტულად მიმართულებაზე ამის შემდეგ მოგახსენებთ. ცოტა დალაგდეს ახალი მთავრობა. საზოგადოებაც შეეგუოს ახალ დროს და ახალ მთავრობას და ამის შემდგომ საჭიროების მიხედვით, აქტიურობას ნელ-ნელა დავიწყებ, — განაცხადა ყრილობის დასრულების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის ფაქტს უპრეცედენტოს უწოდებს.

— დღეს ბიძინა ივანიშვილი პარტიის საპატიო თავმჯდომარეობიდანაც წავიდა და ის საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი ხდება. მე ვფიქრობ, რომ ყურადღებით უნდა შევხედოთ ამ ამბავს, რადგან ეს უპრეცედენტო ნაბიჯია და ბევრი რამ ვისწავლეთ მხოლოდ ბიძინას აი, ასეთი ნაბიჯისგან, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მარგველაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის ადგილს პარტიაში და მთავრობაშიც ირაკლი ღარიბაშვილი დაიკავებს. ირაკლი ღარიბაშვილი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. მისი განცხადებით, პარტია თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის, რადგან მისი სტრუქტურა და მმართველობის წესი შეიცვალა.

პრემიერის განცხადებითვე, ახალი სტრუქტურა პარტიას საშუალებას მისცემს ორგანიზაციულად სწორად წარმართოს თავისი საქმიანობა, იყოს კიდევ უფრო ქმედითი, გააქტიუროს თავისი საქმიანობა და დააკმაყოფილოს ყველა ის პირობა, რომელიც თანამედროვე ევროპული ტიპის პარტიისთვისაა საჭირო.

თავის მთავარ მიზნად კი ახალი პრემიერი ხალხის და ქვეყნის სამსახურში ყოფნას მიიჩნევს.

— ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ღირსეულად გავაგრძელო ბიძინა ივანიშვილის დაწყებული საქმე და ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას ასეთივე თავდადებით ვემსახურო. ეს არის ჩემი მთავარი მოტივაცია და ჩემი მთავარი მიზანი, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ღარიბაშვილმა ბიძინა ივანიშვილს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. პრემიერი ქართველი ხალხის სიმტკიცითაც აღფრთოვანებულია და მათაც მადლობას უხდის.

— განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მივესალმო ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მადლობა გადავუხადო მას. მადლობა იმისთვის, რომ დღეს ჩვენი სამშობლო თავისუფალია, მადლობა იმისთვის, რომ ჩვენ დავიბრუნეთ ჩვენი ქვეყანა, მადლობა იმისთვის, რომ განსხვავებული აზრისთვის აღარავის დევნიან, მადლობა სიცრუის დასრულებისთვის, ძალადობისა და უსამართლობის დამთავრებისთვის, მადლობა იმისთვის, რომ ქუჩაში ჩვენს ბიჭებს აღარავინ კლავს, ციხეებში პატიმრებს აღარ აწამებენ, მადლობა — წართმეული უფლებების დაბრუნებისთვის, მადლობა ღირსების დაბრუნებისთვის, მომავლის იმედისთვის, მადლობა საქართველოს გადარჩენისთვის! მადლობა ყველაფრისთვის!

მადლობა ჩვენს ხალხს, ჩვენს მოქალაქეებს! რომ არა მათი სიმტკიცე და გამძლეობა, თავდადება და მოთმინება, ეს გამარჯვება არ იქნებოდა. მადლობა მათ ამისათვის!

მადლობა ბატონ ბიძინას იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც მან გამომიცხადა და დამასახელა საქართველოს მთავრობის მეთაურად და ახლა უკვე პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარედ. მადლობა საქართველოს პარლამენტს, რომელმაც მე და ჩემს გუნდს ნდობა გამოგვიცხადა. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა და მე ვეცდები, ბატონებო, გავამართლო ყველას ნდობა და თავდადებით ვემსახურო ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

## დავით საგანელიძე პოლიტსაბჭოს შემადგენლობის შემცირებას დადებითად აფასებს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის განცხადებით, რომელიც მან პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" მესამე რიგგარეშე ყრილობის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა, პარტიის პოლიტსაბჭოს ძველი შემადგენლობა დიდი და მოუქნელი იყო.

საგანელიძე პოლისაბჭოს წევრთა შემცირებას დადებითად აფასებს.

„პარტია გაძლიერება ესაჭიროება. რეგიონებში ადგილობრივი არჩევნების წინ, ბუნებრივია ძალიან სერიოზული საქმიანობა გვექნება გასაწევი.

რაც შეეხება პოლიტსაბჭოს შემადგენლობას, მიმაჩნია, რომ მისი შემცირების შესახებ გადაწყვეტილება სწორია. ოცდაერთკაციანი შემადგენლობა საკმაოდ დიდი და მოუქნელი იყო, თორმეტკაციანი შემადგენლობა კი უფრო მობილური იქნება. ეს ის აქტივია, რომელიც პარტიას სჭირდება. რა თქმა უნდა მივესალმები ნიჭიერი ახალგაზერდა კაცის ირაკლი ღარიბაშვილის თავმჯდომარედ დანიშვნასაც"— განაცხადა დავით საგანელიძემ.

პარტიის მესამე რიგგარეშე ყრილობაზე, ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა, დღეს დელეგატებს პოლიტსაბჭოს წევრთა ახალი, 12 კაციანი შემადგენლობა წარუდგინა.

**ნიუსპრესი**

## ილია II: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ დროის ფასი"



გუშინ, საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დროის მნიშვნელობაზე იქადაგა და მრევლს მოუწოდა დროის ფასი იცოდეს.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, ჩვენი უარყოფითი თვისებაა ის, რომ არ ვაფასებთ დროს, რომელიც არის უძვირფასესი რამ, რაც უფალმა მოგვანიჭა.

„ჩვენ უნდა ვიცოდეთ დროის ფასი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ უქმად განვლილი დრო დაკარგულია და შეიძლება ცოდვაც იყოს. წმიდა მამა ანტონი დიდი და სხვა წმიდა მამები უფალს ევედრებოდნენ, თუ როგორ ვიცხოვროთ, რა გავაკეთოთო, საერთოდ ვაკეთოთ რამე, თუ მარტო ვილოცოთო. მათ ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა - ილოცეთ და იშრომეთო და ამიტომ იყო, რომ წმიდა მამები შრომობდნენ, უდაბნოში მოღვაწეობდნენ და ამავე დროს კრეფდნენ ლერწამს, აკეთებდნენ კალათებს და ამით არსებობდნენ, რომ არ ჩათვლოდათ, რომ სხვის ხარჯზე ცხოვრობდნენ", - ბრძანა უწმინდესმა და მრევლს შეახსენა, თუ როგორი განრიგი უნდა იყოს ოჯახებში.

„ჩვენი ცუდი თვისება არის ის, რომ დიდხანს ვწევართ. გვიან დგება ქართველი ადამიანი. ვნახოთ, თუნდაც ევროპაში, სხვა ქვეყნებში სამსახური 6 ან 7 საათზე იწყება. უნდა ადგე ექვსის ნახევარზე ან ხუთ საათზე, რომ სამსახურში მისვლა მოასწრო. ვინც ადრე დგება, მას უფალი მადლს აძლევს. ასევე, ვინც ადრე დგება, უნდა დაწვეს სულ გვიან, 10-11 საათზე", - აღნიშნა უწმინდესმა და ოჯახებს ერთად ლოცვისკენ მოუწოდა, რადგან ძალიან კარგი თვისება და წესია, როცა ოჯახი ერთად ლოცულობს, დილის ლოცვებს ან საღამოს ძილის წინ ლოცვებს ერთად კითხულობენ ან ერთი კითხულობს და სხვები უსმენენ.

როგორც მან აღნიშნა, ეს კრავს და აძლიერებს ოჯახს. დიდ მადლს და სიხარულს ანიჭებს მათ.

„ყველას გირჩევთ, რომ დაწვეთ ადრე, არა უგვიანეს 11.00 საათისა და ადგეთ 06:00 საათზე, როცა უნდა წაიკითხოთ დილის ლოცვა", - ბრძანა პატრიარქმა.

**მედიანიუსი**

## მაია ფანჯიკიძე ოფიციალური ვიზიტით ბულგარეთს ეწვევა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, 25-26 ნოემბერს, ოფიციალური ვიზიტით ბულგარეთს ეწვევა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მაია ფანჯიკიძე შეხვედრებს ბულგარეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართავს.

მინისტრი ბულგარეთის პრეზიდენტს როსენ პლევნელიევს,საგარეო საქმეთა მინისტრს კრისტიან ვიგენინს, ეროვნული ასამბლეის სპიკერს მიხაილ მიკოვს და საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს შეხვდება.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოსა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გაფართოებული თანამშრომლობისა და კონსულტაციების შესახებ ოქმს მოაწერენ ხელს. ხელი მოეწერება ასევე ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის 2014 წლის სამოქმედო გეგმას.

გაიმართება მინისტრების ერთობრივი პრესკონფერენციაც. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თავის ბულგარელ კოლეგასთან ერთად, ბულგარეთის ატლანტიკურ კლუბში მოხსენებით წარსდგება.

მაია ფანჯიკიძე ასევე მონაწილეობას მიიღებს კულტურულ ღონისძიებაში და სოფიაში, კულტურის ეროვნულ სასახლეში, სუხიშვილების ეროვნული ბალეტის კონცერტს დაესწრება.

**ნიუსპრესი**

# მამუკა ნოზაძე: „ევროპული სასამართლო სამაგიეროს მიხდის“

## ვინ და რატომ იძია შური ქართველ ადვოკატზე

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ ადვოკატ მამუკა ნოზაძესთან

ევროპული სასამართლოს პალატის თავმჯდომარის წერილი, რომლითაც ადვოკატ მამუკა ნოზაძეს ამავე სასამართლოში აეკრძალა, როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო საქმიანობა, მამუკა ნოზაძის განცხადებით, სკანდალის მიზეზი შეიძლება გახდეს. თუ რატომ, ამ საკითხზე მამუკა ნოზაძე გვესაუბრება.

***– ბატონო მამუკა, რა წერია ევროსაბჭოდან მიღებულ წერილში, ადვოკატობის აკრძალვის მიზეზი დაკონკრეტებულია?***

– ევროპული სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს გადაწყვეტილება 22 ოქტომბერს მიუღია, რაც 24 ოქტომბრის წერილით მაცნობა. მასში არანაირი მიზეზი დაკონკრეტებული არ არის. ეს არის ორაბზაციანი, ასეთი შინაარსის წერილი – პალატის თავმჯდომარემ გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც თქვენ უფლებამოსილება შეგიწყდათ, ამ და სხვა მომავალ საქმეებზე. ესაა პირველი აბზაცი, ხოლო მეორეში მთხოვენ, 21 ნოემბრამდე ავიყვანო წარმომადგენელი, იქ პირადად ჩემი ორი საქმეც არის და ამაზე წარმომადგენლის აყვანას მთხოვენ. ცინიზმია ევროპული სასამართლოს მხრიდან ჩემს პირად საქმეებზე იმის მოწერა, წარმომადგენელი აიყვანეო, რადგან შესანიშნავად იციან ჩემი შესაძლებლობები, იციან, წარმომადგენელი რომ არ დამჭირვებია და, ბუნებრივია, ისიც მოეხსენებათ, რომ არც ამ ეტაპზე მჭირდება.

***– როგორ ფიქრობთ, რამდენად კანონიერია ევროპული სასამართლოს პალატის თავმჯდომარის პოზიცია?***

– ევროპული სასამართლოს პალატის თავმჯდომარემ უფლებამოსილების გადამეტებით, უკანონოდ ამიკრძალა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება. მართალია, ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლის მიხედვით ევროპული სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს შეუძლია, წარმომადგენელს უფლებამოსილება შეუწყვიტოს, მაგრამ საამისოდ კონკრეტული მიზეზი უნდა არსებობდეს. მაგალითად, ის, რომ წარმომადგენელი ვერ ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ზიანს აყენებს თავის დაცვის ქვეშ მყოფს, არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი ან იმ ქვეყნის ადვოკატი, რომელიც ევროსაბჭოში შედის. ამგვარი შენიშვნები და საყვედურები ჩემს საქმიანობასთან მიმართებით არ ყოფილა და არც არასდროს იქნება. ამჟამად 39 საქმეზე შემიწყდა უფლებამოსილების განხორციელება. ევროპულ სასამართლოში ჩემი საქმიანობა წარმატებული რომ არის, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 25 საქმეზე კომუნიკაცია დასრულებულია და გადაწყვეტილების გამოცხადებას ველოდებით. ამ ოცდახუთი საქმიდან თითოეული მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო, გადაწყვეტილების გამოტანის სტადიამდე ვერ მივიდოდნენ. როცა ევროპული სასამართლო ოცდამეერთე საუკუნეში თავად გირღვევს ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებას, ეს ეჭვქვეშ აყენებს მის ავტორიტეტს. ამ გადაწყვეტილებით მე კი არა, თავად ევროპული სასამართლოს ავტორიტეტს მიადგა ზიანი, იმიტომ რომ ლოგიკურად ჩნდება კითხვა – ადამიანს თუ არაფერი დაუშავებია, რატომ უკრძალავ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას მომავალში? შე დალოცვილო, თუ რამე დარღვევა აქვს, ადექი და მიუთითე, იმ დარღვევისთვის დასაჯე, ხვალინდელ, ზეგინდელ საქმეებზე



წარმომადგენლობას რატომ უკრძალავ? პალატის თავმჯდომარის საქციელი არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ის, ისევე, როგორც სასამართლოს სხვა წევრები, გარკვეული ვადით არის არჩეული.

***– ამ ყველაფერზე თქვენმა ბოლოდროინდელმა განცხადებებმაც ხომ არ იმოქმედა?***

– კანონის თანახმად, ევროპული სასამართლოს წარმომადგენლები სიბრაზის გამოხატვითა და შურისმაძიებლური საქმიანობით დაკავებული არ უნდა იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, პალატის თავმჯდომარის წერილი სწორედ რომ შურისმაძიებლურია. კონკრეტულ საქმეებთან მიმართებით, ყველა ჩემს საჯარო განცხადებაში – საგაზეთო ინტერვიუში, ტელეკომენტარში სიმართლეს დიპლომატიურ-დელიკატური ენით ვახმოვანებდი. თითოეული ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, სიცოცხლეშივე მოესწროს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას. 2013 წლის 11 ოქტომბერს ევროპულ სასამართლოს შევატყობინე დენის ყვარელაშვილის გარდაცვალების ფაქტი (იგი 27 სექტემბერს გარდაიცვალა). ამის ვალდებულება ევროპული სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად მქონდა. წერილში აღვნიშნე, რომ, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, რის შესახებაც ევროპულმა სასამართლომ საქმის ვითარება დეტალურად იცოდა, ვერ მოხდა მისი სიცოცხლის გადარჩენა. ეს იყო მეორე შემთხვევაა, მანამდე ნიკოლოზ მჭედლიშვილი გარდაიცვალა. ამის შესახებ პრესაშიც დაიბეჭდა. შურისმაძიებლობა, სავარაუდოდ, 11 ოქტომბრის წერილსაც უკავშირდება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კონკრეტულ საქმეებთან მიმართებით, რომელსაც მე ვუძღვებოდი, ევროპული სასამართლო საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა – მამუკა კოჭლამაზაშვილთან და მამუკა ალადაშვილთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა საქართველოს მთავრობის პოზიცია საქმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ. არადა, ამ ორი ადამიანის საქმის განხილვა, წამებისა და სიცოცხლის ხელყოფით მუხლებით, დასრულებული იყო. ამ ორ ადამიანზე ხელისუფლებამ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელა, რის შედეგადაც მათ ხელი მოაწერინეს ხელისუფლების გამზადებულ ტექსტზე, რომ საჩივრის განხილვაზე უარს ამბობდნენ. ამ საქმეში ლევან მესხორაძე უშუალოდ მონაწილეობდა, მაგრამ ეს და სხვა ფაქტები არ უშლის ხელს, იყოს იმავე თანამდებობაზე, ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის დროს რომ დაიკავა. ევროპულ სასამართლოს წერილობით განვუმარტე, რომ კოჭლამაზაშვილსა და ალადაშვილს წინასწარ გამზადებულ ტექსტზე ხელი იძულებით მოაწერინეს, მათ აღვუწერე ციხეებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ჩემი პოზიცია არ გაიზიარეს, ხსენებული ორი საქმე ამორიცხეს და 2012 წლის აპრილში გამოტანილი გადაწყვეტილებით კლიენტებთან შეუთანხმებელი მოქმედება დამდეს ბრალად. ამ გადაწყვეტილების ირგვლივ ჟურნალმა „ტაბულამ“ სტატია დაბეჭდა, რის შემდეგაც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო შეიკრიბა და სამი წევრის გამოკლებით (ზაზა ხატიაშვილი, ქეთი ბექაური, ცისმარ ონიანი) გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ჩემი და კიდევ ერთი ადვოკატის საქმე ეთიკის კომისიას განსახილველად გადასცემოდა.

ამ უკანასკნელმა დისციპლინარული სახდელის სახით გაფრთხილება განმისაზღვრა. ამასობაში საქართველოს მთავრობა შეიცვალა სწორედ ციხეებში გადაღებული უმძიმესი კადრების შედეგად. მამუკა ალადაშვილმა და მამუკა კოჭლამაზაშვილმა ეთიკის კომისიას წერილობით მიმართეს და განმარტეს, რომ მე მათი მითითებით ვმოქმედებდი და რომ ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ წერილზე ხელი ძალდატანებით მოაწერეს. კოჭლამაზაშვილი აღნიშნავს, რომ იგი მორგში ჩაიყვანეს, ვაჟა ცხვედიანმა და სხვა პიროვნებებმა (ცხვედიანი ახლა სწორედ პატიმრების წამების გამოა დაპატიმრებული)... ეთიკის კომისიამ ეს მიმართვები არ გაითვალისწინა. ეთიკის კომისიის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება 15 მაისს გამომიგზავნეს და 17-ში ჩამბარდა. სხვათა შორის, ეს კონფიდენციალური ინფორმაცია გახლდათ.

***– თუმცა ეთიკის კომისიის წარმომადგენელმა ტელეკომენტარში თქვა, ჩვენი გადაწყვეტილება კონფიდენციალური კი არა, საჯარო იყოო.***

– კანონში ცალსახადაა მითითებული, რომ საჯარო მას შემდეგ ხდება, რაც კანონიერ ძალაში შევა ანუ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე საჯარო არ არის. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრე. საინტერესო ისაა, რომ სანამ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩემამდე და ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭომდე მივიდოდა, ათი დღით ადრე აღმოჩნდა ევროპულ სასამართლოში!

***– ვინ გადაუგზავნა ევროპულ სასამართლოს შიდა მოხმარების დოკუმენტი?***

– შიდა მოხმარების დოკუმენტი, თან კონფიდენციალური, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძის ხელში მოხვდა. საქმე ის არის, რომ ხელისუფლება ითხოვდა გიორგი მაზანაშვილის საქმის სიიდან ამორიცხვას, თან, ბრალს მდებდნენ, რომ არაეთიკურ მოქმედებაში შემჩნეული ვიყავი. ისინი იშველიებდნენ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას. მოკლედ, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო საბჭომ ჩემი საჩივარი დააკმაყოფილა, სადაც დაწვრილებითაა გაკრიტიკებული ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება – წერია, როგორ დაარღვიეს ვადები, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება, არ გაეზიარებინათ მამუკა კოჭლამაზაშვილისა და მამუკა ალადაშვილის განცხადებები. მითითებებითურთ საქმე უკან დაუბრუნეს, რომ ობიექტური, კანონიერი გადაწყვეტილება მიეღოთ. უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ევროპულ სასამართლოში გადავაგზავნე. ევროპული სასამართლო საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ამ ადამიანების საჩივარი ისე ამორიცხეს საქმეთა სიიდან, რომ რეალობა არ გაითვალისწინეს.

***– ანუ ფიქრობთ, რომ ევროპული სასამართლო სამაგიეროს გიხდით?***

– აბა, სხვა რა ვიფიქრო, როცა მიზეზების მითითების გარეშე მაცნობებენ, რომ უფლებამოსილების განხორციელება აღარ შემეძლება? მამუკა კოჭლამაზაშვილმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, კონკრეტული დამნაშავეები დაასახელა და გამოძიების დაწყება მოითხოვა. ევროპულ სასამართლოს დამატებით თავადვე მისწერა და საქმის განახლება სთხოვა. წერილში წერდა, ჩემი სახელით მამუკა ნოზაძე ხომ გატყობინებდათ, ქართულ ციხეებში რა ხდებოდა, მე როგორ მაწამებდნენ, ახლა ხომ დადასტურდა ეს ამბავი, მსოფლიომ გაიგო, ქართულ ციხეებში რაც ხდებოდა და თქვენ რატომ არ გაითვალისწინეთო? ევროსასამართლო დილემის წინაშე დადგა. აღმოჩნდა, რომ მათ ორ საქმეზე საქართველოს მთავრობის პოზიცია უკრიტიკოდ გაითვალისწინეს და არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ღირსეული გამოსვლის პოვნის ნაცვლად მე დამეტაკნენ და ანგარიშსწორება დაიწყეს. მსგავსი ფაქტი ყველაზე დაბალი სამართლებრივი განვითარების კულტურის მქონე ქვეყანაშიც არ მომხდარა.

***– არსებობს რაიმე მექანიზმი, რითაც შესაძლებელია, აღგიდგეთ უფლებამოსილება?***

– რასაკვირველია, არსებობს და სათანადო რეაგირებას მოვახდენ. ევროპული სასამართლოს პრეზიდენტს ჩემს მოტივაციას გადავუგზავნი. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროსაბჭოს მივმართავ. მოგეხსენებათ, რომ ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტი არის ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზედამხედველი. ბუნებრივია, ამ საქმეს ბოლომდე მივყვები. დარწმუნებული ვარ, სამართალი პურს ჭამს და ევროპულ სასამართლოში უფლებამოსილების განხორციელებას გავაგრძელებ.

***– მანამდე რა ეშველება იმ საქმეებს, რომლებსაც თქვენ უძღვებოდით?***

– ევროპული სასამართლოს პალატის თავმჯდომარის წერილმა მნიშვნელოვანი ზიანი იმ მომჩივნებს მიაყენა, რომლებსაც მე წარმოვადგენდი. ეს ის სფეროა, რომელსაც ღრმა განსწავლულობა და სპეციფიკურ საკითხებში გარკვევა სჭირდება, რის გამოც სათანადო შესაძლებლობის ადამიანის არჩევა ძნელია. ამას ემატება ფინანსური ვალდებულება. მოკლედ, მომჩივნების მდგომარეობა გაართულეს, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს და ამ ეტაპზე მათ საქმეებს ანალოგიური პროფესიონალიზმით სხვა წარუძღვება.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „პროკურორი მხოლოდ კადრების ცვლილებით არ უნდა შემოიფარგლოს“

გულიკო ბალაძე

– ჩვენ გამოვდივართ იდეით, რომ საქართველოს მთავარმა პროკურორმა ბატონმა ფარცხალაძემ აქცენტი გააკეთოს იმ კადრებზე, რომლებიც წლების მანძილზე ჩარეცხილებად მოიხსენიებოდნენ და არა – ადეიშვილის კადრებზე, რომლებიც ჩართული იყვნენ ადამიანების უკანონოდ დაპატიმრებებში, ბიზნესმენების რეკეტში. ისინი ჩაირეცხნენ სააკაშვილის ხელისუფლების დროს. აღნიშნული კადრები 2003-2004 წლებში გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმისთვის მიუღებელნი იყვნენ, – განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ პრესკონფერენციაზე.

ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, საქართველოში სამართლიანობის აღდგენას ალტერნატივა არ აქვს. ეს მისია კი პროკურატურას ეკისრება.

– დღეს პროკურატურა ახალი გამოწვევების წინაშე დგება. საქართველოში სამართლიანობის აღდგენა უნდა მოხდეს და ეს უნდა განახორციელოს პროკურატურამ. ვფიქრობ, ამის განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ იმ კადრებს შეუძლიათ, რომლებიც არ ასრულებდნენ სააკაშვილის ხელისუფლების შეკვეთებს, რომელიც მოიცავდა ქონების წართმევებს, საპროცესო შეთანხმებებს და ამ გზით ბიუჯეტის შევსებას. იმას არ ვამბობ, ვინც სააკაშვილისა და ადეიშვილის პირობებში მუშაობდა, ყველა უნდა გავუშვათ. საუბარია იმ პირებზე, რომლებიც გარკვეულ საკვანძო და მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. ისინი, ვინც, რეალურად, დანაშაულებრივი ბრძანებების ინიციატორები და შემსრულებლები იყვნენ, არ მოახდენენ სამართლიანობის აღდგენას და არ გამოარკვევენ კონკრეტული საქმის ნამდვილ გარემოებებს, – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

მან აღნიშნა, რომ ის პირები, რომლებიც პროკურორის რანგში ბიზნესმენებს არეკეტებდნენ და უკანონოდ პასუხისგებაში აძლევდნენ, საქმეებს ობიექტურად ვერ გამოიძიებენ.

– ის პირები, რომლებიც სააკაშვილის პირობებში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ, ადამიანების დარეკეტების ინიციატორები და შემსრულებლები იყვნენ. ძნელი დასაჯერებელია, ადამიანმა, რომელიც ბიზნესმენებს არეკეტებდა და უკანონოდ პასუხისგებაში აძლევდა, ახლა ის საქმე ობიექტურად გამოიძიოს. ეს ხომ ნონსენსია! – ამბობს ნიკოლოზ მჟავანაძე.

მისი ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურის სისტემაში დაიწყო კადრების ცვლა, მაგრამ გარკვეული კანდიდატურები ვერ შეძლებენ სამართლიანობის აღდგენას.

– ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ კანდიდატურები, რომლებიც განიხილება რაიონების პროკურორებად, არ არიან ის ადამიანები, რომლებიც შეძლებენ სამართლიანობის აღდგენას. სიმართლე გითხრათ, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია დასახელებულ და დანიშნულ თანამდებობის პირებზეც.

***– ბატონო, ნიკა, თქვენ პრეტენზია გაქვთ პროკურატურის სისტემაში ახალ დანიშნულ კადრებზეც?***

– დიახ. ისინი კარგი რეპუტაციით არ სარგებლობენ და ვერ მოახდენენ რეალური ცვლილებების განხორციელებას.

***– ითქვა, რომ მთავარი პროკურორი ფარცხალაძე ახდენს კადრების ცვლილებას, რომელიც შეეხება დაბალი რგოლის პროკურორებსაც.***

– თუ ეს მოხდება, კარგი იქნება, რადგან უამრავი საქმეა და უამრავი განცხადებაა შესული პროკურატურაში, მაგრამ ცვლილება არ უნდა განხორციელდეს ცვლილებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ დაინიშნება ამ სისტემაში თანამდებობებზე. ამით განისაზღვრება პროკურატურის შემდგომი მუშაობა. თუ აქცენტი გაკეთდა ძველ კადრებზე, რომლებიც, მინიმუმ, უნდა გათავისუფლებულიყვნენ და, მაქსიმუმ, პასუხისგებაში უნდა მიცემულიყვნენ და ისინი დაინიშნნენ თანამდებობებზე, მაშინ გამოდის, რომ სამართლიანობის აღდგენა არ მოხ-




დება. ამიტომ პროკურატურა ახლა ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგას. თუ მომავალ 2-3 თვეში არ დაიწყო საქმეების აქტიური განხილვა, მაშინ ის ხალხი, ვინც აქამდე ჩუმად იყო, სააკაშვილის წისქვილზე წყალი რომ არ დაესხა, ახლა გამოვა. დღეს არავითარი დაბრკოლება აღარ არის, ყველა ლიმიტი ამოწურულია. პროკურორმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ეს არ არის დაწინაურება, არამედ ტვირთი და ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ამიტომ, ვფიქრობ, პროკურორი მხოლოდ კადრების ცვლილებით არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ უნდა შეიმუშაოს გეგმა, რომლითაც კონტროლზე ენება თითოეული საქმე აყვანილი. ჩვენც გვაქვს შეტანილი საქმეები, რომელზეც თითი თითზე არ დადებულა. ასეთი ძალიან ბევრი საქმეა. ამიტომ საზოგადოება მომთხოვნი გახდება გახმაურებული საქმეების მიმართაც. „უფლებადამცველთა გაერთიანებაც“ წამოსწევს რეზონანსულ საქმეს.

***– რომელ რეზონანსულ საქმეზე საუბრობთ?***

– ახლა ამის გახმაურება არ მინდა. ამიტომ ვურჩევ მთავარ პროკურორს, ნუ გაიმეორებს არჩილ კბილაშვილის შეცდომას, როდესაც მან პროკურატურის მაღალი თანამდებობები თავისი ჯგუფელებითა თუ მეგობრებით დააკომპლექტა. ეს არ არის სწორი პოლიტიკა, მით უმეტეს, ყველაფერი იშიფრება. არც ის არის კარგი, თუ ახალი მთავარი პროკურორი სადაც მუშაობდა (ფინანსურ პოლიციაში), მთელი ფინანსური პოლიცია გადმოვიდეს პროკურატურის სისტემაში. ფინანსური პოლიცია არის სხვა, ხოლო პროკურატურა – სხვა. უფრო მაღალი დონეა საჭირო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საუბრობენ გუნდის მოსვლაზე. თუკი ადამიანი ასრულებს თავის მოვალეობას, გასვრილი არ არის, არ გახლდათ ჩართული იმაში, რაც ადეიშვილმა ჩაიდინა, არ შეიძლება, გავუშვათ იმის გამო, რომ ის მათ გუნდში არ შედის.

# მაია ნიკოლეიშვილი: „ახლა ნამდვილად მოუწევთ ნაციონალებს ციხეში წასვლა“

## როგორ მოიპოვა სასამართლო ექსპერტისგან ძველმა ხელისუფლებამ აღიარებითი ჩვენება

შორენა კოწოწაშვილი

**სწორად მოიქცა თუ არა მმართველი გუნდი, სააკაშვილის ხელისუფლება სისტემური დანაშაულისთვის რომ არ გაასამართლა? იყო თუ არა ჯიბლაშვილი სუსტი პროკურორი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დამოუკიდებელ სასამართლო ექსპერტთან, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ბრალდებულ მაია ნიკოლეიშვილთან.**

***– ქალბატონო მაია, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ერთწლიან მუშაობას კოაბიტაციისა და სამართლიანობის აღდგენის კუთხით?***

– მე, როგორც რიგითი მოქალაქე, მადლობელი ვარ ბიძინა ივანიშვილის იმისთვის, რომ ის ჯოჯოხეთი დამთავრდა. ის პერიოდი ჩემთვის და უამრავი ქართველისთვის ჯოჯოხეთი იყო. მესმის, რომ სააკაშვილის დროს მართლაც მოხდა რაღაც სფეროებში ნახტომისებური გადასვლა სუფთა პოსტსაბჭოური მენტალიტეტიდან. იყო რაღაც საკითხები, რომელსაც არ შეიძლება, ბოლომდე ხაზი გადაუსვა. ქვედა დონეზე კორუფციის მოსპობა მართლაც პოზიტივია. პოლიციის რეფორმირება, იუსტიციის სახლი მართლაც ძალიან მომწონს, თუმცა პარალელურ რეჟიმში მიდიოდა უსამართლობა სამართალდამცავებისგან, პროკურატურისგან, რომელიც აბსოლუტურად მონოპოლიზებული იყო. ორსახოვანი იანუსი იყო სააკაშვილის ხელისუფლება. რეფორმირებული პოლიცია კარგია, მაგრამ, როცა ის პოლიტიკურ დავალებას ასრულებს, საშინელებაა. მთავარია, ეს ყველაფერი დამთავრდა. ეს ერთი წელი, რომელსაც კოაბიტაციის წელი ერქვა, ესეც მნიშვნელოვანი იყო. ჯანდაცვაში სერიოზული გარღვევები მოხდა, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობაში. ჩვენ სწრაფად გვინდა შედეგები, თუმცა ყველაფერს დრო სჭირდება. კოაბიტაციის ერთ წელს პროკურატურასთან მიმართებით თუ ვიტყვით, იყო სტაგნაციის წელი, გადაგორების წელი იყო, ალბათ, გარდამავალი ეტაპი.

***– საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეს წელი იყო სამართლიანობის აღდგენის კუთხით დანაპირების არშესრულების წელი...***

– ვფიქრობ, სწორი გათვლა იყო, რომ ამ ერთ წელიწადში არ მოხდა სამართლიანობის ტოტალური აღდგენა. მიკვირს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორი იყო, რადგან კიდევ ერთხელ წარმოიშვებოდა დაპირისპირებული ბანაკები. სწორი იყო, ეს ერთი წელი გადაგორებულიყო არა გაბოროტებაზე, არამედ ახალი ხელისუფლება გარკვეულიყო, რა ხდება ქვეყანაში, სად არის დასაყრდენი და სად – არა. დარწმუნებული ვარ, ღარიბაშვილი, რომელიც ძალიან წარმატებული შს მინისტრი იყო, კარგი პრემიერი იქნება. ფაქტია, ტოტალური ამნისტიის ფონზე დანაშაულმა არ მოიმატა. იქ, რა თქმა უნდა, ყველა პოლიტპატიმარი არ ყოფილა. ამნისტია და წლების მოკლება კრიმინალური წარსულის ადამიანებსაც შეეხოთ, როცა შეკრებითობის პრინციპი გადაიხედა. ამიტომ ვამბობ, რომ ღარიბაშვილი წარმატებული მინისტრი იყო, ის არის კარგი ორგანიზატორი და მენეჯერი. ალბათ, მან კარგად შეისწავლა, ვისი დატოვება შეიძლება სამსახურში და ვისი – არა. ამიტომ გასულ ერთ წელიწადზე პოზიტიურს ვერ ვიტყვი, მაგრამ, ვფიქრობ, სწორად იყო გათვლილი.

***– თქვენ კი დადებითად აფასებთ, თუმცა იგივე მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის ერთწლიანი მოღვაწეობა მაინც უარყოფითად შეფასდა.***

– თუ ეს პოლიტიკის, სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი იყო და არა პირადად არჩილ კბილაშვილის სისუსტე, სწორი პოლიტიკა იყო. მე ასეც მგონია, რომ ეს იყო არა კბილაშვილის სისუსტე, არამედ ის იმიტომ იყო მთავარ პროკურორად დანიშნული, რომ ის არის გაწონასწორებული ადვოკატი და მას ,,სისხლის აღების“ სურვილი არ ექნებოდა. ქვეყნის მართვიდან გამომდინარე, ეს, შეიძლება, სწორედ ის ერთი წელი იყო, როცა ცხელი ემოციებით დაჯახება ქვეყნისთვის უარესი იქნებოდა. მე ბევრი კრიტიკა მაქვს პროკურატურის, გამოძიების მუშაობის ხარისხთან, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს კბილაშვილის ხელმძღვანელობის შედეგია. ამას ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს, ძველი დროიდან მოდის. უბრალოდ, კბილაშვილმა ეს მანქანა არ ამუშავა იმ სიჩქარით, რომლითაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდოდა. მაგრამ ზოგადი პოლიტიკა ქვეყნის მართვის, ალბათ, ასე იყო გათვლილი, რომ სისხლმდენი ჭრილობებით ადამიანები, სულიერი კუთხით ვგულისხმობ, არ დასტაკებოდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს და სისხლის კალოები არ ყოფილიყო. ამ წელში ცოტა ემოციაც გამოვიდა. ვფიქრობ, ყველაფერი ახლა დაიწყება, ოღონდ შედარებით განელებული ემოციების ფონზე.

***– ანუ ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში ნაცმოძრაობის დამნაშავე მაღალჩინოსნები პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან?***

– დარწმუნებული ვარ, სამართლიანობა აღდგება. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ციხეში ჩაყრა სამართლიანობის აღდგენის უპირველესი კომპონენტია. სამართლიანობის აღდგენა სხვადასხვა პარამეტრისგან შედგება და აქ, რა თქმა უნდა, არის იმ ადამიანების დასჯაც. თუმცა ზოგადად მარტო დასჯით საკითხი არ წყდება. დავუშვათ, თუ ზურაბ ადეიშვილს ციხეში ჩასვამენ, თუნდაც იმ საქმიდან, რის გამოც მე ბრალი წამიყენეს. თუ ჩემი ადაპტირება არ მოხდა საზოგადოებაში, მარტო იმის დასჯა ჩემთვის მხოლოდ შურისძიების აქტი იქნება და ეს პოზიტივს არ მომცემს. ამის გარდა, მჭირდება, რომ ვიმუშაო და ადამიანად ვიგრძნო თავი.

***– მოდით, თქვენი ცხოვრების საკმაოდ მძიმე პერიოდს დავუბრუნდეთ. თქვენ 7 წლის წინ დაგაპატიმრეს სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით და დანაშაული აღიარეთ. დღევანდელი გადასახედიდან, გვითხარით, რა მოხდა მაშინ?***

– პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ფორმულა: რაც არ გკლავს, ის გაძლიერებს, ჩემს დღევანდელ მდგომარეობას ნამდვილად მიესადაგება. სააკაშვილის რეჟიმი ძალიან მწარედ შემეხო და არა მარტო მე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული რეპრესირებულის გარშემო ოჯახებია და ყველა მათგანს შეეხო ეს რეპრესიები. ჩემზე განხორციელებული უსამართლობა სრული დატვირთვით გავრცელდა ჩემს ორივე შვილზე, მშობლებზე, ძმაზე, მეუღლეზე და ა.შ. დღევანდელი გადასახედიდან ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი, რომ პოლიტიკაში წავედი. ეს არ უნდა გამეკეთებინა. ალბათ, პროფესიულმა გამოცდილებამ გამათამამა და ვიფიქრე, პოლიტიკაში განსაკუთრებული არაფერი მჭირდებოდა. დღეს უკვე გადასარევად ვიცი, რომ თუ პოლიტიკაში მიდიხარ, სულ სხვა ცოდნა უნდა გქონდეს და მარტო პროფესიულით პოლიტიკაში არ უნდა შეხვიდე. ეს საკმაოდ რთული და ჭუჭყიანი ოკეანეა, განსაკუთრებით იმ წლებში იყო ასეთი. ვფიქრობ, შეცდომა დავუშვი და ამისთვის მივიღე ეს ყველაფერი. რაც შეეხება სს საქმეს, კარგად მახსოვს ჩემი ჩვევა, რომელიც პროფესიიდან მომყვება. თითოეულ სიტყვას, რომელსაც ვამბობ ან ვწერ, ყველანაირად ვსაზღვრავ. არც ერთი სიტყვა ჩემი მხრიდან ძალადობრივი მოწოდების არ ყოფილა. ამას სერიოზულად ვაკონტროლებდი. ვისთანაც ურთიერთობა მქონდა, ყოველთვის ვთხოვდი, რომ თავშეკავებული ყოფილიყო განცხადებებში, რადგან შეიძლება, ვიღაცას ეს ძალადობის მოწოდებად მოენათლა. იმის ფიქრი, რომ მე შეიძლება სახელმწიფო გადატრიალება მომეწყო, 300 თუ 500 კაცი მეპოვა და მათთვის გადამეხადა თითოეულისთვის 3000 დოლარი, სასაცილოა. ჟანა დარკისგან ნამდვილად შორს ვარ ჩემი ფსიქოტიპით და ვერც სამხედრო მეთაური ვიქნებოდი. ამ დროს, წარმოიდგინე, მე ეს აბსოლუტური სიგიჟე ვალიარე. ახლა, როცა ამას გეუბნები, წარმოდგენილი მყავს ზურა ადეიშვილი. ზურა ადეიშვილო, როცა ამ ბინძურ სცენარს თითხნიდი, ნამუსი არ გქონდა? ისეთი ტიპაჟი მაინც შეგერჩია, რომელსაც ცოტა მაინც მიესადაგებოდა. თუნდაც ინტელექტუალური დახმარება დაგებრალებინათ სახელმწიფო გადატრიალებაში. შეიარაღებული დაჯგუფების წინამძღოლობა ხომ საერთოდ სასაცილოა.

***– რატომ დაგაკავშირეს თქვენ იგორ გიორგაძესთან და სახელმწიფო გადატრიალებასთან. მასთან ახლო ურთიერთობა გქონდათ?***

– ,,ანტისოროსის“ თავმჯდომარე ვიყავი, მასთან კავშირი პირდაპირი იყო. სახელმწიფო გადატრიალებას არც არავინ გეგმავდა, ვერც მოახერხებდა. სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მოშორებისთვის ქართველ საზოგადოებას ყველაფერი უნდა ეღონა, მაგრამ ხალხი იმდენად დათრგუნული იყო, ვერაფერს აკეთებდა, თორემ ჩვეულებრივი სახალხო აჯანყება უნდა მომხდარიყო. ასეთ რეჟიმებს ასე უნდა მოექცეს ადამიანი. არც გიორგაძისგან და არც მისი მომხრეებისგან არაფერი მსმენია სახელმწიფო გადატრიალებაზე. ამის შესახებ ხელისუფლებისგან გავიგე, როდესაც დამაკავეს და ბრალი წამიყენეს. მერე მომიტანეს დაბეჭდილი ფურცელი და მითხრეს, ეს უნდა ისწავლო, ეს უნდა აღიარო. რატომ, როგორ, რანაირად, ეს ჩემთვის მტკივნეული თემაა და, მოდით, ნუ ვისაუბრებ. ამაზე პროკურატურაში დამკითხეს. განცხადება თებერვალში შევიტანე. საქმეს შსს იძიებს, დარწმუნებული ვარ, გაიხსნება. როცა ბრალი წამიყენეს, ეს იყო აბსოლუტური შოკი, კოშმარი. იძულებული ვიყავი, ის დანაშაული მეღიარებინა, რაც დაბეჭდილი მომიტანეს. აქ მარტო ჩემი ფაქტორი არ იყო, თორემ ჩემს სიცოცხლეს კიდევ გვერდზე გადავწევდი. მაგრამ, როცა მარტო შენს თავზე აგებ პასუხს, როცა იცი, რომ სხვისი სიცოცხლის განკარგვის უფლება არ გაქვს და შენი გმირობის გამო ნებისმიერი ადამიანის, ვინც არ უნდა იყოს ის, მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენო, გმირობა გვერდზე უნდა გადადო, მე ასე მესმის და ეს ვერ გავაკეთე. ძალიან მძიმე იყო ეს გადაწყვეტილება ჩემთვის. იძულებული გავხდი, ის დაწერილი ტექსტი წამეკითხა. გამომძიებელი მეუბნება, ერთ საათში ჩამოვალ და ამ ტექსტს ჩამაბარებო. ტექსტი ზეპირად უნდა მესწავლა. მე და მაია თოფურია ერთად ვიყავით. მხედავდა, როგორ გავყავდი და შემოვყავდი. ვუთხარი, მეტი აღარ შემიძლია ანუ წავალ იმის აღიარებაზე, რაც დამიწერეს-მეთქი. ისიც ვუთხარი, აქ არაფერი გამოვა, სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტიამეთქი.



***– ისე ჩანდა, თითქოს თქვენი აღიარებითი ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს დანარჩენი 12 ადამიანი, რომლებიც ე.წ. გიორგაძის მომხრეთა საქმეში ფიგურირებენ.***

– ჩემი ჩვენების საფუძველზე რომ არ დაუჭერიათ ეს ადამიანები, ყველამ კარგად იცის. იგივე მაია თოფურია ხედავდა იმ ღამეს, რომ ადამიანი ადამიანს აღარ ვგავდი. ხვდებოდა, რა დღეში ვიყავი. ბოლოს რომ მოვიდნენ, ვუთხარი, ყველამ თავი დამანებეთ-მეთქი, თუმცა ბოლოს მაინც გავედი. ველარ ვუძლებდი და ბოლოს მაიას ვუთხარი, სხვა გზა არა მაქვსმეთქი. მერე დილით მაია სასამართლოზე წაიყვანეს, მე დამტოვეს და წავიდა ეს მთელი შოუ ჩაწერებით და აღიარებითი ჩვენებით. ჩემი ჩვენების საფუძველზე არავინ დაუჭერიათ, ჩვენ ყველა 6 სექტემბერს დაგვიჭირეს. 30 აგვისტოს რამდენიმე ადამიანი ასე ჯგუფად მივიდა თურმე შსს-ში, მე მგონი, კუდში და უცებ განაცხადეს, რომ მათთვის ცნობილი გახდა, რომ მზადდება სახელმწიფო შეიარაღებული გადატრიალება. ჩვენ ყველა მათი ჩვენების საფუძველზე დაგვაკავეს. ეს საქმის მასალებშია. მე იძულებული გავხდი, მეღიარებინა ის, რაც არ ყოფილა, მაგრამ ჩემ გამო არ დაუჭერიათ ის ხალხი. მე არც საპროცესო გამიფორმებია, ჩვეულებრივ ვიყავი ბრალდებული და მომცეს 2-წლიანი პირობითი სასჯელი. კვირაში ერთხელ დავდიოდი პრობაციაში და თითს ვაჭერდი. კი, ეს იმასთან შედარებით, რაც იმათ გამოიარეს, განუზომელი თავისუფლებაა, მაგრამ ჩემთვის პიროვნულად, ფსიქოლოგიურად ერთი, რომ რაც არ ყოფილა იქ გავები, რაც არ მომხდარა, ის დამაბრალეს; და მეორე – ყველაზე ცუდი, დამაბრალეს ერთია და მე თვითონ დავიბრალე და ვაღიარე. ახალი ბრალზე არ დამატებულა ანუ ის, რაც წაგვიყენეს, აბსოლუტურად ის იყო ჩემს აღიარებაში.

***– მაია თოფურიასაც შესთავაზეს აღიარება, მასზეც იყო ზეწოლა?***

– მაიასთვის აღაიარება არავის შეუთავაზებია. აქ იყო ამორჩევით, მიიღეს იმის აღიარება, ვისიც სჭირდებოდათ. რამდენადაც ვიცი, სხვებისთვის არ შეუთავაზებიათ. მგონი, ერთი ადამიანის წაყვანას ცდილობდნენ აღიარებაზე, მაგრამ ის ამაზე არ წავიდა.

***– იმ 12 ადამიანს, ვინც სასჯელი მოიხადა, თქვენ მიმართ პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეთ?***

– ისინი ძალიან სერიოზულად ნაწყენები იქნებიან ჩემზე. პირდაპირ ვამბობ, იყო სერიოზული ზეწოლა, ვაღიარე ის, რაც ბუნებაში არ ყოფილა. იმათ კი არა, ჩემს თავს დავაბრალე და 6 წელი ამით დავდიოდი. ამაზე დიდი საშინელება ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა. ექნებოდათ აგრესია აბა, არ ექნებოდათ?! რატომ არ უნდა ჰქონოდათ, როცა ყველამ ვიცოდით, რომ ის არ მომხდარა, რასაც მოწმეები გვაბრალებდნენ. ფაბულა არსებობდა, დაკავების საფუძველი ჩემგან კი არ წამოსულა. იქ, მეკითხებოდნენ, ეს დაეთანხმა? ის დაეთანხმა? ყველგან მაქვს ნათქვამი – მე მგონი ანუ ყველგან საალბათო პასუხი მაქვს მიცემული. ორ ადამიანზე მაქვს ნათქვამი, არ დაეთანხმა. რატომ, ვთქვი, რომ ისინი არ დაეთანხმნენ, ახლა ამაზე არ მინდა საუბარი.

***– იმ პერიოდში ითქვა, რომ პირადად ვანო მერაბიშვილი იყო მოსკოვში და თქვენი ქალიშვილი დააკავეს. ასეა?***

– მერაბიშვილთან არასოდეს მქონია შეხვედრა ამ საქმის თაობაზე. მას შორიდან ვიცნობდი. ის, რომ ჩემი უფროსი გოგო მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა, იყო მარტო და თანაც სერიოზული საფრთხის ქვეშ, ამას გეუბნებით. ჩემი ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ ჩემი შვილისთვის ცოცხლისთვის ხელი მომეკიდა, ოღონდ არა მარტო მაგდასთვის. აქ იყო სხვა საფრთხეებიც. ერთ-ერთი საფრთხე და სერიოზული საფრთხე იყო ეს.

## კიევში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა „ევროპის მოედანზე“ კარვები გაშალეს

კიევში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ,,ევროპის მოედანზე“ კარვები გაშალეს უკრაინის დედაქალაქში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ,,ევროპის მოედანზე“ კარვები გაშალეს. ,,ინტერფაქს-უკრაინას“ ინფორმაციით, კარვების ქალაქი მოედნის მიმდებარე ტროტუარზეა მოწყობილი.

მომიტინგეები აცხადებენ, რომ კარვები უვადო საპროტესტო აქციის დასტურია. ამ დროისთვის მოედანზე 15 სამხედრო კარავი და 20 სააგიტაციო ბანერია გაშლილი. სააგენტოების ინფორმაციით, ევროინტეგრაციის მომხრეთა აქციაში მონაწილეთა რიცხვი 50 ათასს აჭარბებს.



არსებული ცნობებით, მომიტინგეებმა პრეზიდენტისა და მთავრობის სასახლესთან პიკეტიც მოაწყვეს. გაიმართა რამდენიმე მსვლელობა და იყო შეტაკებები პოლიციასთან. უკრაინაში ევროინტეგრაციის მომხრეთა საპროტესტო აქციის მონაწილეთა ნაწილის წინააღმდეგ სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზიც გამოიყენეს.

**ინტერპრესნიუსი**

## სოზარ სუბარი: „ივანიშვილი ახლა სამოქალაქო სექტორიდან შეეცდება მთავრობის გაკონტროლებას“

მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას აფასებენ და აცხადებენ, რომ მან პირობა შეასრულა და საქართველოს გათავისუფლება მოახერხა.

როგორც ,,ქართული ოცნების“ მესამე ყრილობის დაწყებამდე საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ივანიშვილმა, მას ექნება ძალიან დიდი წარმატება.

ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადასვლას გამოეხმაურა სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი.

მისი თქმით, ორი წლის წინ ივანიშვილმა დადო პირობა, რომ ქვეყანაში შეცვლიდა ვითარებას და დატოვებდა პოლიტიკას. მან ეს პირობა შეასრულა და ახლა სამოქალაქო სექტორიდან შეეცდება მთავრობის გაკონტროლებას.

,,უფრო მკაცრი მაკონტროლებელს მთავრობა, რომც მოინდომოს ვერ იშოვის“– განაცხადა სოზარ სუბარმა.

**მედიანიუსი**

# გია ჟორჟოლიანი: „მთავრობა სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა“

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გია ჟორჟოლიანთან:**

***— ბატონო გია, მართვის როგორი სტილი ექნება ახალ პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, რას ელოდებით?***

— ქვეყანაში პოლიტიკური კონტექსტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. 27 ოქტომბერს, პრაქტიკულად, ამ მთავრობამ სახალხო ლეგიტიმაცია მიიღო. ძალიან ძლიერი იყო ამ ლეგიტიმაციაში ბიძინა ივანიშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის მნიშვნელობა. ინსინუაციები იმის შესახებ, რომ კულუარებიდან მართავს ივანიშვილი მთავრობას ეს რეალობისგან ძალიან შორს არის. რეალურად შეუძლებელია, ეს განხორციელდეს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მართვა ასეთი მარტივი არ არის. მაგალითად, გარკვეულ საკადრო საკითხებზე შეიძლება ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰქონდეს თავისი პოზიცია, როგორც თითოეულ ჩვენგანს. ცხადია, მისი მოსაზრება უფრო ავტორიტეტული და ბევრად მეტი გავლენის მქონე იქნება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ, მაგრამ სახელმწიფოში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელიც, მაგალითად, ქვეყნის კურსს უკავშირდება, სტრატეგიას პერსონები არ იღებენ. მაგალითად, იმ ტიპის გადაწყვეტილებებზე, როგორიც უკრაინამ ევროკავშირთან დაკავშირებით მიიღო, შეიძლება, ბიძინა ივანიშვილის გავლენა მნიშვნელოვანი იყოს. როგორი კანონები მივიღოთ, როგორ მოხდეს მისი ინპლემენტაცია, ამაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. ახლა მთავარია, კონკრეტული პოლიტიკა შემუშავდეს. ახლა მუშაობა სჭირდება ეკონომიკურ პოლიტიკას, მუშაობაა საჭირო საგანმანათლებლო პოლიტიკაში. მუშაობაა საჭირო მთელი რიგი მიმართულებებით. ჩვენ ამ ერთი წლის განმავლობაში ხანძარს ვაქრობდით. რეპრესიულ რეჟიმს ვებრძოდით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. არ უნდა გინდოდეს, რომ ეს დაინახო, თორემ აშკარაა. რეპრესია, როგორც მექანიზმი ხელისუფლების განხორციელებისა, არ არსებობს. ასევე აშკარაა, რომ ათასობით ადამიანმა შეინარჩუნა სიცოცხლე იმ რეფორმის შედეგად, რომელიც ჯანდაცვაში მოხდა. იგივე შემიძლია ვთქვა სოფლის მეურნეობის სფეროზე — ადამიანებმა თავი გადაირჩინეს, მაგრამ ეს პროცესი განვითარების ფაზაში რომ გადავიდეს და არ დარჩეს გადარჩენის ფაზაში, ამას რადიკალური ცვლილებები სჭირდება.



***— თქვენ წინ წასვლაზე საუბრობთ...***

— რა თქმა უნდა. ჩვენ თუ იგივე დავტოვეთ ეკონომიკური წესრიგი, წინ ვერ წავალთ, მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიული მექანიზმები აღარ არსებობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა საკმარისი.

***— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ რეალური შედეგები იგრძნონ ადამიანებმა?***

— საჭიროა ძალიან მიზანმიმართული გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება იმისთვის, რომ ჩვენი ეკონომიკა კონკურენტუნარიანი გახდეს.

***— ეკონომიკური გუნდი იგივე უნდა დარჩეს?***

— ჯერ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ამ კურსის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესშივე გამოიკვეთება, ვინ იქნებიან ის პერსონები, რომლებიც ამ კურსს განახორციელებენ. საკმაოდ ფართო მსჯელობა უნდა გაიმართოს, მით უფრო მაშინ, როდესაც მმართველობის საპარლამენტო სისტემაზე გადავედით, რაც პარლამენტისა და მთავრობის აქტიურ თანამშრომლობას გულისხმობს. საპარლამენტო სისტემებში მინისტრი დილით მიდის პარლამენტში და ღამე ბრუნდება. მინისტრი პარლამენტში მუშაობს, ისე კი არა, მივა, რაღაცას დაიძახებს და წავა. გარდამავალი პერიოდიდან ნამდვილ, რეალურ საპარლამენტო მმართველობაზე გადავდივართ. ესეც გარკვეული გამოწვევის წინაშე აყენებს ჩვენს მთავრობას. მთავრობას ბევრად უფრო კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღება მოუწევს, ვიდრე აქამდე იყო.

***— მეტ ანგარიშვალდებულებაზე საუბრობთ, მაგრამ რამდენად რეალური იქნება ეს?***

— შეუძლებელია, სხვანაირად იყოს, მეტი პასუხისმგებლობა იქნება, მაგრამ ეს პარლამენტსაც აკისრებს მეტ პასუხისმგებლობას. არ შეიძლება, პარლამენტმა ახლა კრიტიკოსის პოზიცია დაიკავოს — მომწონს-არ მომწონს. თუ არ მოგწონს, არ უნდა გააკეთებინო. ეს არ უნდა იყოს მასმედიაში სალაპარაკო თემა, არამედ უნდა იმუშაო და კონსტრუქციულად ჩაერთო იმ პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც მთავრობამ უნდა განახორციელოს. ეს სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს ახალ მთავრობას, მათ შორის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. ვფიქრობ, აქამდე მის მიერ შესრულებულმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ მას აქვს მნიშვნელოვანი რესურსები, რათა ეფექტური ცვლილებები განახორციელოს. რეალურად უნდა დაიწყოს საგნობრივ შინაარსობრივ საკითხებზე, რომელიც წინა პლანზე უნდა წამოვიდეს. პოლიტიკური კინკლაობის ერა საქართველოში უნდა დასრულდეს. ამ ცოდნის პირობებში გარღვევას ეკონომიკაში ვერ მოვახდენთ. გარღვევა განათლების სფეროში უნდა მოვახდინოთ. ამას უნდა დაეყრდნოს ეკონომიკა. ეს არის მთავარი. დღეს დეინტელექტუალიზებული ეკონომიკა გვაქვს. ასეთი ეკონომიკა მარგინალობისთვის არის განწირული. ერთ წელიწადში დიდი გარღვევა ვერ მოხდება, მაგრამ არსებობს მაგალითები, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა მიაღწიეს უდიდეს წარმატებას, რაც, პირველ რიგში, ცოდნას ეყრდნობოდა. ეს უნდა იყოს პირველი საკითხი. დანარჩენი ჩემთვის სულ ერთია.

# პოლიტიკაში ორწლიანი გაელვების არსებული და მოსალოდნელი შედეგები

საქართველოს აწ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ქართველ საზოგადოებრიობას, როგორც პოლიტიკოსი, ისევე არაორდინალურად დაემშვიდობა, როგორც ამ რანგში მოევლინა. საზოგადოება, დაწყებული კომუნისტების დროიდან, შეგუებული იყო, რომ ადამიანი, რომელიც სახელისუფლო ვერტიკალის სიმაღლეს გემოს გაუგებდა, ამ ვერტიკალში ადგილის განსამტკიცებლად და უფრო ზემოთ ასასვლელად ყველაფერზე მიდიოდა.

დღეს კი, ხელისუფლებაში ერთწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის ფაქტობრივ პირველკაცობაზე უარი თქვა და სხვა სექტორში გადავიდა. რა შეიძლება ითქვას მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ორი წლისთავზე, ან როგორ შეიძლება შეფასდეს ეს პერიოდი?

როგორც არ უნდა ჩაუღრმავდნენ ექსპერტები ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ანალიზსა და პროგნოზებს, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს მავანმა ბიძინა ივანიშვილის მიერ გაცემული დაპირებების შესრულება-არშესრულებაზე, ყოფილი პრემიერის როლი ქვეყნის განვითარებაში ყველა შემთხვევაში უზარმაზარია.

ბიძინა ივანიშვილმა შეძლო და ქვეყანა 9 წლიანი ტირანიისგან უსისხლოდ, მშვიდობიანი გზით გაათავისუფლა, რისი პრეცედენტებიც მსოფლიოში ძალიან ცოტაა. ალბათ ყველას ახსოვს 2011 წლის 26 მაისის შემდგომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. ტერორი, რომელიც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა, განსაკუთრებულ სიმაღლეზე 2011 წლის 26 მაისის შემდეგ ავიდა, როდესაც სააკაშვილის რეჟიმმა საკუთარ ხალხზე სასტიკად იძია შური, სასტიკად გაუსწორდა მათ და საზოგადოებაში ჩანერგილი შიში და ტერორი კიდევ უფრო გააძლიერა. ყველას კარგად ახსოვს ასევე სააკაშვილისა და მერაბიშვილის მიერ ბნელ ოთახში შავი კატის დაჭერის საკმაოდ ხშირი შემთხვევები, მაშინაც კი, როდესაც კატა ოთახში არ იყო.

ამის მაგალითად თუნდაც ე.წ. „კოჭოიას“ საქმეც გამოდგება, როდესაც მან მსოფლიოს ზესახელმწიფოს, — რუსეთის „დავალებით“ თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის აფეთქება გადაწყვიტა, ამისთვის კონსერვის კოლოფში ჩამონტაჟებული კუსტარული ასაფეთქებელი მოწყობილობით შეიარაღდა და საბოლოოდ, იმის გამო რომ მას რუსეთმა საელჩოს შენობის ზუსტი კოორდინატები „ვერ მიაწოდა,“ კოჭოიამ თბილისში, ერთ-ერთი სასაფლაოს ღობე ააფეთქა და უმნიშვნელოდ დააზიანა.

დღეს ეს ყველაფერი სასაცილოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ კიდევ 2 წლის წინ, ქვეყანაში იყო ვითარება, როცა მერაბიშვილის მიერ შეთხზულ ასეთ ზღაპრებს საკმაოდ დიდი გასაქანი ჰქონდა და სააკაშვილის ლაქია ჟურნალისტებიც ერთად ქოთქოთებდნენ „რუსეთის აგენტურული ქსელის გამოვლენის“ გამო.

ყველას კარგად ახსოვს, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ, პრაქტიკულად საშველი აღარსაიდან იყო, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი კი ქვეყნის დანგრევასა და სანაოხაობით მართვას კვლავ წარმატებით ახორციელებდა. თავად „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებიც კი, რომლებიც მაშინ აბსოლუტურად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხელისუფლებაში მათი ყოფნა მინიმუმ რამდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდებოდა, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სულ რაღაც ორიოდე წელიწადში მათი „ხერხემალი“ ციხეში იქნებოდა, ხოლო მიხეილ სააკაშვილი პრაქტიკულად ქვეყნიდან გაიქცეოდა.

ყველას კარგად ახსოვს აგრეთვე ის ერთგვარი შვების გრძნობა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა, ყველასთვის მოულოდნელად, პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება, შემდეგ თავისი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა და ეს გეგმა, ანუ ავტორიტარული რეჟიმის დემონტაჟი, გაწერილ ვადებში, შესაშური თანმიმდევრობით შეასრულა.

რაც შეეხება ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად გაცემულ სხვა, ე.წ. „ქვედაპირებებს,“ რა თქმა უნდა მათზე კამათი შეიძლება და ამ საკითხს ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდებით, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი უმთავრესი დაპირება, — სააკაშვილის რეჟიმის დასრულება, ბიძინა ივანიშვილმა ნამდვილად შეასრულა.

მიზანმიმართული და თანამიმდევრული იყო ის ოპოზიციაში ყოფნის პერიოდშიც, თუმცა ამავე პერიოდში მის მიერ გაცემული დაპირებების შესრულებასთან დაკავშირებით, როგორც აღვნიშნეთ კამათი ნამდვილად შეიძლება.

მთავარი, რის გამოც საზოგადოება ბიძინა ივანიშვილს ენდო და მხარი დაუჭირა, ეკონომიკური ფაქტორი და სამართლიანობის აღდგენა იყო. საზოგადოების ნაწილისთვის ხელისუფლების ცვლილება იმ უკიდურესი სიდუხჭირისა და გაჭირვების დასრულებასთან ასოცირდებოდა, რომელსაც სამწუხაროდ, მეტნაკლები სიმძაფრით დღესაც განიცდიან, ხოლო საზოგადოების მეორე და უდიდესი ნაწილი, ბიძინა ივანიშვილში ხედავდა ადამიანს, რომელიც მათ, წლების განმავლობაში ფეხქვეშ გათელილი ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენაში დაეხმარებოდა.

სხვათა შორის, სამართლიანობის აღდგენა, ყოფილი პრემიერის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი დაპირება იყო.

რაც შეეხება ეკონომიკური კუთხით შემობრუნებას, ის დღეს არცთუ საგრძნობია და ამის ილუზია არც არავის არ უნდა ჰქონოდა, ვინაიდან გარკვეული დრო მხოლოდ იმ მახინჯი ვითომ ეკონომიკური სისტემის დემონტაჟს სჭირდება, რომელსაც მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საფუძველი ჩაუყარა. ამ სისტემის დემონტაჟის შემდეგ, უნდა შეიქმნას მყარი საფუძველი რომელზეც ქვეყნის ეკონომიკა უნდა აშენდეს. ეს საძირკველი მოიცავს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს, ბიზნესის ზეწოლისგან გათავისუფლებას, მონოპოლიების გაუქმებასა და სამართლიან სასამართლოს.

სწორედ ამ მყარი საძირკველის შექმნის შემდეგ უნდა დაშენდეს ზედ ჯანსაღი ეკონომიკა, რომელიც გრძელვადიანი პროგნოზისა და გეგმების მიხედვით უნდა განვითარდეს.

ამ ყველაფერს კი, რათა ქვეყანამ ჯანსაღი ეკონომიკური ატმოსფერო მიიღოს, გარკვეული დრო სჭირდება. ასე, რომ მოლოდინი იმისა, ბიძინა ივანიშვილი ეკონომიკურ გარდატეხას ერთ წელში მოახდენსო პრაქტიკულად არავის ჰქონია, ან ასეთთა რაოდენობა ძალიან მცირე იყო.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკის საძირკვლის შექმნისა და გაძლიერებისკენ გარკვეული ნაბიჯები მართლაც გადაიდგა. თუნდაც ბიზნესის სახელმწიფო რეკეტისგან გათავისუფლების თვალსაზრისით.

ალსანიშნავია აგრეთვე რუსეთის ბაზრის გახსნა, სოფლის მეურნეობაში ჩადებული ინვესტიცია, სავარგულების უპრეცედენტო რაოდენობით დამუშავება და ქვეყნის ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების გზაზე გადადგმული ნაბიჯები, რაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შეიძლება დღეს არცთუ ძალიან საგრძნობი იყოს, მაგრამ ის თავის შედეგს აუცილებლად გამოიღებს.



რაც შეეხება მეორე უმთავრეს მოლოდინსა და დაპირებას, ანუ სამართლიანობის აღდგენას, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კუთხით ქვეყანაში გაცილებით უფრო რთული მდგომარეობაა, ვიდრე ეკონომიკური კუთხით არსებულ სურათში.

კონკრეტულად კი, თუ არ ჩავთვლით წინა ხელისუფლების სისხლიანი რეჟიმის შემოქმედი ერთი-ორი ყოფილი ჩინოვნიკის დაკავებას, რომლებსაც ბრალდებები ისევე უმსუბუქდებათ, როგორც ისინი წლების განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტს ამსუბუქებდნენ, — შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა არც დაწყებულა.

ამავე რუბრიკაში ადრეც ვწერდით, რომ სამართლიანობის აღდგენა არ გულისხმობს ისეთი შიდაპოლიტიკური მდგომარეობის უზრუნველყოფას, როდესაც ადამიანებს ქუჩაში აღარ ხოცავენ, როდესაც უდანაშაულო ხალხს აბსურდული ბრალდებებით აღარ იჭერენ, როდესაც ჯიბეებსა თუ მანქანებში ნარკოტიკებსა და იარაღს აღარ უდებენ და როდესაც, ღამის 3 საათზე, საკუთარ ბიზნესს სახელმწიფოზე „ნებაყოფილობით“ არ აჩუქებინებენ.

ის, რომ დღეს ასეთი რაღაცები აღარ ხდება, ნამდვილად არის პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილისა და მეორე რიგში, მისი თანამდებობრივი მემკვიდრის, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურება.

მაგრამ ამას არა სამართლიანობის აღდგენა, არამედ სამართლიანი გარემოს დამკვიდრება ჰქვია და ამ ორ ცნებას შორის განსხვავება ძალიან დიდია. ხოლო თუ ვინმე ამ ცნებებს შორის განსხვავებას ვერ ხედავს, მაშინ სჯობს მათ ამ საკითხებზე აზრი იმ ადამიანებს ჰკითხონ, ვინც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის სისასტიკე საკუთარ თავზე გამოსცადეს და აზრი ჰკითხონ ასევე იმ ახალგაზრდა ბიჭების ჭირისუფლებს, რომლებიც სააკაშვილ-მერაბიშვილის ტანდემმა მიწაში ჩააწვინა.

როდესაც ათასობით ადამიანი მის გამაუბედურებელს და ცხოვრების დამანგრეველს გარეთ და უფრო მეტიც იმავე თანამდებობაზე ხედავს, რომელი თანამდებობიდანაც ის სააკაშვილის რეჟიმის დროს ხალხს ამწარებდა, — ნურავის ნუღარ გაუკვირდება, თუ საზოგადოების განწყობა ისეთი არ იქნება, როგორსაც შეიძლება ის ელოდეს.

ასე, რომ ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანივილმა, პოლიტიკაში თავისი ორწლიანი გაელვებით ნამდვილად დიდი კვალი დატოვა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ თუნდაც მხოლოდ იმის გამო იმსახურებს დადებით შეფასებას, რომ ავტორიტარიზმი უსისხლოდ დაამარცხა, ხოლო რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ამ კუთხით დაკარგული ჯერ არაფერია და ახალ მთავრობას ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ აქვს, თუ რა თქმა უნდა ამასობაში წინა ხელისუფლების იმ ორიოდე დაპატიმრებულ ჯალათსაც, ის ბრალდებები არ მოუხსნეს რაც მათ აქვთ წაყენებული.

ის, რომ სამართლიანობის აღდგენის მხრივ საქმე მთლად კარგად ვერ არის, 27 ოქტომბრის არჩევნებმაც დაადასტურა, რომელმაც მოსახლეობის ინდეფერენტულობის მაღალი მაჩვენებელი და საზოგადოების სიმპათიის სხვა პოლიტიკური ძალის, კონკრეტულად კი ნინო ბურჯანაძისა და მისი პარტიის მიმართულებით ზრდა აჩვენა.

ეს ყველაფერი ახალმა მთავრობამ კარგად უნდა გააანალიზოს და სამართლიანობის აღდგენის გზაზე კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. სხვათა შორის ამის შესახებ უმრავლესობის მხრიდან განცხადებები ბოლო პერიოდში თვალში საცემად გახშირდა.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ კოჰაბიტაციით აღფრთოვანებული იყოს და მის გაგრძელებას უჭერდეს მხარს ახალი პრემიერ-მინისტრი, ვინაიდან სხვა თუ არაფერი, სწორედ ის ფლობს ყველაზე მეტ ინფორმაციას წინა ხელისუფლების სისტემური დანაშაულების შესახებ და სწორედ მისმა ყოფილმა უწყებამ აღმოაჩინა იმ საშინელი ქმედებების კადრები, რასაც სააკაშვილ-მერაბიშვილის შტატიანი გამაუპატიურებლები სამეგრელოს ტყეებში სჩადიოდნენ.

კიდევ ერთი საინტერესო განცხადება, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში გააკეთა, არის ის, რომ ამიერიდან მთავარი პროკურატურა ეცდება უფრო მყარი და არგუმენტირებული მტკიცებულებების მოპოვებასო.

ამ განცხადებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი მთავრობისა და ახალი პრემიერის მმართველობის დროს, „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ლიდერებსა თუ მხარდამჭერებს, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი, მშვიდად ძილის საშუალება არ ექნებათ.

სწორედ ამის გამო იყო ის ხმაური და წიოკი „ნაციონალების“ მხრიდან, რომლის მომსწრეც საზოგადოება ამ ბოლო დღეებში გახდა.

განსაკუთრებით თვალშისაცემი გია ბარამიძისა და იმ „ნაციონალების“ გამწარება და წყობილებიდან გამოსვლა იყო, რომელთა ხილვასაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი პარლამენტის სხდომათა დარბაზის ნაცვლად, საბრალდებო სკამზე უფრო ისურვებდა.

თუმცა, როგორც ჩანს შორს არც ეს დრო უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში პროცესები აქეთ მიდის.

**სააგენტო „ნიუსპრესი“**
**ალექსანდრე კაპანაძე**

# სანდრას ცრემლებნაპკური ბუნიათაშვილის რეკვიემი

ჩემი ყოველკვირეული საავტორო რუბრიკის დაწერა დღეს ყველაზე მეტად მიჭირს, ვინაიდან დღევანდელი თემის მთავარი პერსონა კვლავ მიხეილ სააკაშვილია. მიხეილ სააკაშვილის სტატუსი კი მოგეხსენებათ ჯერჯერობით, სანამ სავარაუდოდ პატიმრის სტატუსს მიიღებს, - ყოფილი პრეზიდენტია, ყოფილზე და წასულზე კი ქართველი კაცი ყოველთვის დადებითს ან საერთოდ არაფერს ამბობს.

ამჯერად ამ პრინციპის დარღვევა აუცილებლად მომიხდება, ვინაიდან წასული სააკაშვილი ჯერ კიდევ დიდხანს შეასრულებს მაოხრებელი გზირის ფუნქციას ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც და ეკონომიკაშიც.

მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აღარ ჩავერევიო, ალბათ ყველა დარწმუნებულია, რომ ის ისევე ვერ გაძლებს პოლიტიკის და პოლიტიკური ინტრიგებისა თუ ავანტიურების გარეშე, როგორც იმ ნივთიერების მიღების გარეშე ველარ გაძლებს, რომლის გავლენითაც მახათას მთაზე ტაძრის საძირკვლის გაჭრის ცერემონიალზე თვალები კეფამდე ჰქონდა გადატანილი და დამნაშავე ბავშვის ღიმილით აქეთ-იქეთ იყურებოდა.

სწორედ ისევ დაბრუნების იმედით აკეთებს ყველაფერს დღეს სააკაშვილი და სწორედ ისევ დაბრუნების იმედით აკეთებდა ყველაფერს ბოლო პერიოდის განმავლობაში. მისი გზავნილები საზოგადოების მიმართ, რომლებიც აშკარად სენტიმენტალური გრძნობების გაღვივებისა და გაჩენისკენაა მიმართული, ასევე ამ მიზანს ემსახურება.

ამ მიზანს ემსახურება ის მუსიკალური ვიდეორგოლიც, რომელიც ინტერნეტ და ტელესივრცეში 17 ნოემბერს გავრცელდა და რომლის გამოც, ყოფილი პრეზიდენტის ასევე ყოფილი ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის განცხადებით, ქვეყნის პირველი პირის რეზიდენციის თავზე, სახელმწიფო დროშის ჩამოხსნა და მის ადგილზე გულებიანი დროშის აღმართვაც კი გახდა აუცილებელი.

ზოგადად, დროშა, კლიპის შესავალ ნაწილში დაახლოებით ერთი წამის განმავლობაში ჩანს და საინტერესოა რაში დასჭირდა ერთწამიანი კადრის გადასაღებად კლიპის რეჟისორს დროშის 24 საათით ჩამოკიდება რეზიდენციის თავზე.

უფრო სავარაუდოა, რომ დროშის გამოცვლა მიხეილ სააკაშვილის ხუშტურებს უკავშირდებოდა, რადგან მას დედაქალაქის მერიის ყოფილი შენობის თავზე ხუთჯვრიანი დროშების აღმართვა კარგად აქვს დაცდილი. სააკაშვილი კი სიმბოლოების დიდი ტრფიალია და აქედან გამომდინარე, რეზიდენციის თავზე 24 საათის განმავლობაში გულებიანი პარტიული დროშის აღმართვა შეიძლება მხოლოდ მისი ბავშვური დაჟინების შედეგი იყოს.

ასეა თუ ისე, კლიპმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ სკანდალისა და პრეზიდენტის სახელმწიფო სიმბოლიკის უპატივცემულობაში დადანაშაულების მიზეზი გახდა, დღის სინათლე ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს - 17 ნოემბერს იხილა.

უნდა ითქვას, რომ კლიპი თავისი მხატვრული ღირებულებებიდან გამომდინარე საკმაოდ იაფფასიანი და უხარისხო პროდუქტია და მუსიკის ხმაზე გადადებულ ე.წ. „კადრების სტიკოვკას" წარმოადგენს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული მუსიკალური რგოლი მრავლადაა დატვირთული ისეთი კადრებით, რომელიც ჩვენი აწ უკვე წასული პრეზიდენტის „საგმირო საქმეებსა" და მის მიმართ ხალხის დიდ სიყვარულზე მოგვითხრობს.

კლიპის რეჟისორს მრავლად აქვს გამოყენებული კადრები სადაც მიხეილ სააკაშვილი ბავშვებს ეფერება, სადაც მას ხალხი სიყვარულით ხვდება, სადაც ხალხის ბედზე მჭვუნვარე პრეზიდენტი ცრემლებს ღვრის, სადაც ასევე ხალხზე ზრუნვით დამაშვრალი სააკაშვილი მშენებლობაზე რიგით მუშად მუშაობს და ასე შემდეგ.

ასეთი კლიპის დამზადება ალბათ შუა აზიის ერთ-ერთი რესპუბლიკის აწ გარდაცვლილ პრეზიდენტსაც კი შერცხვებოდა, რომელმაც სიცოცხლეშივე სახელმწიფო ფულის ნიშნებზე საკუთარი გამოსახულება დახატა და რომელმაც სიცოცხლეშივე ოქროს ძეგლი აიგო.

კადრები, რომელიც კლიპის რეჟისორმა გამოიყენა, ნამდვილად რეალობას ასახავს, ის არაა მონტაჟით შექმნილი, თუმცა კითხვაზე, თუ რამდენად გულწრფელი იყო სააკაშვილი მაშინ, როდესაც ეს კადრები შეიქმნა, საზოგადოებას პასუხი კარგა ხანია გაცემული აქვს.

სავარაუდოდ რეჟისორის „გულმავიწყობას" უნდა დავაბრალოთ კლიპში ისეთი კადრების არშეტანა, სადაც მიხეილ სააკაშვილის ნამდვილი და გულწრფელი სახე აშკარად ჩანს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, წასულზე ნეგატიურ კონტექსტში საუბარი ქართველი კაცის ბუნება არ არის, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ სტატუსის სავარაუდო შეცვლამდე, ყოფილი პრეზიდენტის სტატუსმატარებელი სააკაშვილი დაბრუნებას ცდილობს, ვფიქრობთ უპრიანია საზოგადოებას ის კადრები შევახსენოთ, რომელიც ზემოაღნიშნული კლიპის რეჟისორს „გამორჩა."

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხცოვან პროფესორ-მასწავლებლებს რეციდივისტებივით კეფაზე ხელებდაწყობილებს დაატარებდნენ;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც, ცხინვალის რეგიონში 2004 წლის სამარცხვინო ავანტიურის შედეგად, ჩვენი დაჩოქილი ძალოვნებია აღბეჭდილი;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც ტყეში მიგდებული სანდრო გირგვლიანის დასერილ-დაჩეხილი სხეულია ასახული;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც კორტებთან უმოწყალოდ ჩახოცილი ბიჭები და მათი მანქანაა აღბეჭდილი;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც ბუტა რობაქიძის მკვლელი პატრულების ხმა ისმის, მოკლულს იარაღი არა აქვსო;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც აღბეჭდილია თუ როგორ გამოჰყავთ რესპუბლიკის მოედანზე მდგომი სახლიდან მაცხოვრებლები იძულებით, პოლიციის ძალით;

კლიპის რჟისორს გამორჩა კადრები, სადაც ეკლესიების სატვირთო ავტოებით ნგრევა, ხოლო მრევლის, მათ შორის ქალების მიმართ ხელკეტებით უმოწყალო ანგარიშსწორებაა აღბეჭდილი;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც როინ შავაძისა და სხვა უმოწყალოდ ნაწამები ადამიანების გვამებია აღბეჭდილი;

კლიპის რეჟისორებს გამორჩათ კადრები, სადაც აღბეჭდილია თუ როგორ ხოცავს და წვავს ცოცხლად გიორგი ბარამიძე აფრასიძეების ოჯახის წევრებს, ამ სისხლიანი სპეცოპერაციის შემდეგ კი იმ კოცონზე, სადაც ცოტა ხნის წინ ცოცხალი ადამიანი დაიწვა, - ხელებს ითბობს და კუბდარს ითხოვს;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც ვანო მერაბიშვილის ზონდერების მიერ, 2007 წლის 7 ნოემბერს საკუთარ ხალხთან სასტიკი ანგარიშსწორებაა აღბეჭდილი;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც 2008 წლის აგვისტოს უსაშინლესი ავანტიურის დამანგრეველი შედეგები, დახოცილი ბიჭების საფლავები, ცხინვალის რეგიონში, სიცხეში მიტოვებული და სითბოსგან გაბერილი ჩვენი გმირების გვამები, სანაპირო დაცვის განადგურებული ინფრასტრუქტურა და მიტოვებული კოდორის ხეობაა აღბეჭდილი;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც დაოთხილი სააკაშვილის შეშინებული ფიზიონომია და მის მიერ ჟურნალისტებისა და უცხოელი სტუმ-



რის მიტოვება, ასევე დაცვის ლაჯებიდან გამომზირალი უზომოდ შეშინებული თვალებია აღბეჭდილი;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორ ღეჭავს მიხეილ სააკაშვილი საკუთარ ჰალსტუხს;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორ ესვრიან „მიშა-მიშას" სკანდირების ფონზე ქალაქის სამმართველოს შენობის ეზოში გამაგრებული ნიღბოსანი ზონდერები ფეთქებად ტყვიებს საკუთარ მოსახლეობას;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც აღბეჭდილია ის სისხლიანი ღამე, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მოაწყო, ათასობით ადამიანს დამოუკიდებლობის დღეს მხუთავი გაზით, წყლის ჭავლითა და რეზინის ტყვიებით მიულოცა, ასობით ადამიანი დაასახიჩრა, ასევე ასობით ადამიანი დააპატიმრა, დანარჩენები დახოცა, ხოლო დახოცილები მაღაზიის თავზე შემოაწყო, თავისი მოქალაქეების გადარეცხილ სისხლზე კი, მომხდარიდან რამდენიმე საათში ალლუმი ჩაიბარა და ჰოლივუდის ერთ-ერთ მსახიობთან იტინგიცა.

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც ასახულია, რომ ციხეებში წრეში მოქცეულ პატიმრებს უსასტიკესად სცემდნენ, შემდეგ კი მათ ცოცხებით აუპატიურებდნენ;

კლიპის რეჟისორს გამორჩა კადრები, სადაც სამეგრელოს ტყეებში აბსოლუტურად უდანაშაულო და ამვდროულად უპატრონო ხალხის წამება, კონკრეტულად კი მათი ცემა, მაგიდაზე სკოტჩით დაბმა და შემდეგ ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ხელფასიანი გამაუპატიურებლების მიერ, ამ უდანაშაულო ხალხის მიმართ ყველანაირი გარყვნილი და გაუკუღმართებული ქმედებაა აღბეჭდილი;

იმ კადრების სიის ჩამონათვალის გაგრძელება, რომლის კლიპში ჩასმაც რეჟისორს „გამორჩა", სამწუხაროდ კიდევ შეიძლება, თუმცა ვფიქრობ საკმარისია, რომ ადამიანმა, რომელიც ხატია ბუნიათაშვილის მიერ მიხეილ სააკაშვილისადმი მიძღვნილი კლიპის კადრებს უყურებს, პარალელურად ეს ზემოთჩამოთვლილი კადრებიც გაიხსენოს და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს დასკვნა იმ კაცის ავ-კარგზე, რომელიც მთელი ქვეყნის ღირსებას თითქმის 10 წლის განმავლობაში ფეხქვეშ თელავდა.

არავის და მათ შორის მიხეილ სააკაშვილსაც არ უნდა ჰქონდეს ილუზია იმისა, რომ თუ დღეს მაგიური სიტყვა კოჰაბიტაციის წყალობით ბევრი ჯერ კიდევ სუფთა ჰაერს სუნთქავს, ხოლო ბევრი, საპატიმროებში ბრეივიკზე უკეთეს პირობებში იმყოფება და ლამის თითო პროცესზე თითო ბრალს უხსნიან ან სულაც ამართლებენ, ხალხს მათ მიერ ზემოთჩამოთვლილი ავკაცობები დაავიწყდება და ამ ყველაფერს გადაყლაპავენ.

ასე, რომ მიხეილ სააკაშვილის ბოლო პიარმცდელობები, ხალხს გული აუჩუყოს, აშკარად უშედეგოა.

უშედეგოა აგრეთვე მისი თანამეცხედრის ნოსტალგიური სტატუსები საკუთარ სოციალურ ქსელებში.

როგორც ქალბატონი სანდრა აღნიშნავს, მას საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისა და თავისი ქორწინების 20 წლისთავზე, ანუ 17 ნოემბერს, მხოლოდ ცრემლები და იმ „ვარდის ეკლები" შერჩა, რომლის სახელითაც მისმა ქმარმა, არშემდგარმა კალიგულამ, 2003 წელს საქართველოს მოსახელობის უდიდესი ნაწილი მოატყუა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს ყოფილი პირველი ლედის მიმართ განსაკუთრებული აგრესია არასდროს ჰქონია, რაც უდავოდ მის პიროვნულ თვისებებს უნდა მივაწეროთ, ქალბატონი სანდრა რომ დაფიქრდეს, მიხვდება, რომ დღეს მას სწორედ ის ცრემლები და ეკლები დარჩა, რომელიც მისი ქმრის რეჟიმმა, სრულიად საქართველოში 10 წლის განმავლობაში დათესა.

უფრო მეტიც, სააკაშვილის რეჟიმის ქმედებებიდან და ხალხში არსებული განწყობიდან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო მკაფიო შთაბეჭდილება იქმნება იმისა, რომ სააკაშვლის ოჯახსა და მისი რეჟიმის „ხერხემლებს," მათ მიერ დათესილი ცრემლებისა და ეკლების მოსავალი ჯერ სრულად არ მიუღიათ. უფრო მეტიც, მათ ამ მოსავლის ძალიან მცირე ნაწილი მიიღეს, მთავარი კი ჯერ წინაა.

რაც შეეხება თავად მიშასადმი მიძღვნილი „რექვიემის" ავტორს ხატია ბუნიათაშვილს, ის მართლაც უნიჭიერესი და მსოფლიო დონის ხელოვანია. ხოლო რაც უფრო შორს იქნება ასეთი დონის პიანისტი პოლიტიკისგან, მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც მით უკეთესი იქნება.

მახსოვს როდესაც ოპერის თეატრში, თუ არ ვცდები 2007 წელს მის კონცერტს დავესწარი, მაშინ ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა გოგონათი მთელი დარბაზი აღფრთოვანდა. იმ დარბაზში მყოფებს ამ ხელოვანის შემოქმედება სრულად ესმოდათ, ხოლო იმ ხალხის რაოდენობა, ვინც ბუნიათაშვილს სააკაშვილის შიშითა თუ ხათრით გენიოსად აცხადებდა, ხოლო სინადვილეში მისი ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდა, - ძალიან დიდია.

ხატია ბუნიათაშვილს ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მსოფლიო დონის შემსრულებელი და საქართველოს სახელის მსოფლიოსთვისთვის საუკეთესო კუთხით წარმომჩენი გახდეს და ალბათ უმჯობესი იქნება თუ თავისი ნიჭის რეალიზებას მხოლოდ ამ მიმართულებით შეეცდება. ამას სრულიად საქართველო მიესალმება.

**ალეკო ჩუბინიძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი"**

## ზუგდიდში ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით დაკითხული პოლიციელი გარდაცვლილი იპოვეს

გუშინ ზუგდიდში, დადიანის ქუჩაზე მდებარე ბინაში ახალგაზრდა მამაკაცის გვამი იპოვეს. გარდაცვლილს გულმკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება.

ალექსანდრე დანელიას მეზობლების განცხადებით, იგი პოლიციის თანამშრომელია და ნაქირავებ ბინაში მარტო ცხოვრობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ალექსანდრე დანელია ხურჩის ინციდენტთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ დაიკითხა და ის ხურჩის ინციდენტში ბრალდებულ რომან შამათავას მეგობარია. პოლიცია თვიმთკვლელობის ვერსიაზე მუშაობს.

როგორც „პირველს" შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**პირველი**

## კახი კალაძე ბინათმოსარგებლეებს დახმარებას დაჰპირდა

გუშინ ენერგეტიკის მინისტრი საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიასთან" შეკრებილ რამდენიმე ათეულ მოქალაქეს გაესაუბრა და მათი ინტერესების წარმომდგენი სპეციალური საინიციატივო ჯგუფის შექმნის ინიციატივით მიმართა.

„გამოყავით 5 კაცი, ვისაც ენდობით, ვინც პასუხისმგებელი იქნება, მოვიდეს ორშაბათს, 11:00 საათზე სამინისტროში და ერთად გავიაროთ საკითხი. თუ შესაძლებელია, გაკეთდება", — მიმართა კალაძემ აქციაზე შეკრებილებს.

ცნობისთვის, გუშინ საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას" 11-ე პავილიონის მიმდებარე ტერიტორიაზე „ქართული ოცნების" ყრილობის პარალელურად, ბინათმოსარგებლეთა საპროტესტო აქცია გაიმართა. ადგილზე შეკრებილი მოქალაქეები მთავრობის და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან შეხვედრას და ბინათმერსაკუთეთა შესახებ კანონის შეცვლას ითხოვდნენ.

**პირველი**

## 2014 წლის ბოლოსთვის სასჯელაღსრულების სისტემას სამი ახალი საავადმყოფო ექნება

როგორც სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ „პირველის" პრესკლუბში განაცხადა, ეს დაწესებულებები პენიტენციური ჯანდაცვის მთავარი საყრდენი წერტილები იქნება.

„ეს არის ტუბერკულოზის ახალი ცენტრი, რომელიც უკვე გახნილია, სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო, რომელიც დაახლოებით, თვენახევარში გაიხსნება და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც დაპროექტებულია და რუსთავში, ქალთა დაწესებულების ნაცვლად გაიხსნება", — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

**პირველი**

## ეროვნულ მუზეუმში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება

**ეკა ირემაშვილი**

25-28 ნოემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოში გოეთეს ინსტიტუტი, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი ატარებს საერთაშორისო კონფერენციას „მუზეუმები კონტექსში: მუზეუმების ქსელის შექმნა და ურთიერთობა საზოგადოებასთან".

კონფერენცია 25 ნოემბერს გაიხსნება და მასში ქართველ და გერმანელ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სამუზეუმო სფეროს 30-მდე წარმომადგენელი აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ყაზახეთიდან და უზბეკეთიდან.

— ამ კონფერენციაში მონაწილეები განიხილავენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფუნქციონირებას, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ინოვაციურ მოდელს. 2005-2012 წლებში საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა, რის შემდეგაც მუზეუმმა ახლებური იერსახე და ფუნქცია მიიღო. შემუშავებულია გრძელვადიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთ სისტემაში მოქცეულ მუზეუმებს ექნებათ ცენტრალური საცავი და საკონსერვაციოკვლევითი ლაბორატორიები. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება ეროვნული მუზეუმის ხელოვნების ნიმუშთა საცავის — რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრის — პროექტი, რომლის შემუშავებაში ქართველ სპეციალისტებს დახმარებას გერმანელი ექსპერტები უწევდნენ. შეხვედრაზე გერმანელი ექსპერტები წარმოადგენენ 2009-2012 წლებში ბერლინში განხორციელებულ ანალოგიურ პროექტს, — განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

მისივე თქმით, კონფერენცია „სამუზეუმო სფეროს პროფესიონალთა ფორმირების ცენტრის" ფარგლებში ტარდება:

— აღნიშნული ცენტრის შექმნას წინ უძღოდა 2012 წლის სექტემბერში თბილისში საერთაშორისო კონფერენცია „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა", რომელმაც აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის რეგიონის გოეთეს ინსტიტუტებს უბიძგათ, რომ ეს თემა ერთობლივ რეგიონალურ პროექტად ექციათ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოღვაწე მუზეუმის კოლეგები 2013 წლის აპრილში, ჯერ ბერლინის კონფერენციაზე შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც გერმანელ ექსპერტებთან ერთად სამუზეუმო სფეროს უახლეს ტენდენციებს განიხილავდნენ, ხოლო წელს 22-27 ივლისს ისინი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, რომელიც პოსტსაბჭოთა რეგიონში სამაგალითოა, სხვადასხვა საგამოფენო სივრცეებს გაეცნენ და მესტიის მუზეუმში ორდღიანი სემინარის ფარგლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში მუზეუმის რეორგანიზაციის ძირითად საკითხებზე იმსჯელეს, — აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

ეროვნულმა მუზეუმმა უკვე უმასპინძლა სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „ინფლამაცია, ნეიროდეგენერაცია და ღეროვანი უჯრედები". კონფერენცია წარმოადგინეს საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციამ და საქართველოს ინსულტის ასოციაციამ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად.

— ამ კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ნევროლოგები და ტვინის ინსულტისა და ღეროვანი უჯრედების მკვლევარი სხვადასხვა ქვეყნებიდან, ცნობილი მეცნიერები მიხალ შვარცი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# რა გაკეთდა ქართული კულტურის განვითარებისთვის?

ეკა ირემაშვილი

„ახალი თაობა“ გთავაზობთ გურამ ოდიშარიას წლიური ანგარიშის დასკვნით ნაწილს:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ქართული ლიტერატურა წარმოდგენილი იყო 3 უმსხვილეს საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე: ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, ლონდონის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე. ბაზრობებზე ეროვნული სტენდის პარალელურად გაიმართა ქართველი მწერლებისა და გამომცემლობების შეხვედრები უცხოელ მკითხველთან და გამომცემლებთან, ლიტერატურულ აგენტებთან და მთარგმნელებთან. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უმასპინძლა რიგით მე-3 ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგს გამომცემლებისთვის მთარგმნელებისა და მწერლებისთვის. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს გამომცემლებმა და ლიტერატურულმა აგენტებმა დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან და შვეიცარიიდან. ჩატარდა თბილისის წიგნის რიგით მე-15 ფესტივალი, სადაც მოეწყო ახალი წიგნების პრეზენტაციები, ლიტერატურული პრემიების დაჯილდოების ცერემონიალები, შეხვედრები ქართველ ავტორებთან.

კულტურის სამინისტრომ ლიტერატურის მოყვარულებს შესთავაზა 21 უცხოენოვანი გამოცემა: „იაგუარების ტექნო“ (მოთხრობების ანთოლოგია) გერმანია, დათო ტურაშვილი „ჯინსების თაობა“ ხორვატია, ოთარ ჭილაძე „აველუმი“, დიდი ბრიტანეთი, დათო ტურაშვილი „ჯინსების თაობა“ ჰოლანდია, ქართული მოთხრობის ანთოლოგია, შვედეთი, ჰაინალკა ბაბირაკი „კავკასიური საქართველო“ უნგრეთი, აკა მორჩილაძე „გასეირნება ყარაბაღში“ შვედეთი, აკა მორჩილაძე „გასეირნება ყარაბაღში“ აშშ, ჯემალ ქარჩხაძე „ანტონიო და დავითი“ შვედეთი, ანა კორძაია სამადაშვილი „მე მარგარიტა“ გერმანია, ზაზა ბურჭულაძე „გასაბერი ანგელოზი“ საფრანგეთი, ზაზა ბურჭულაძე „ადიბასი“ აშშ, დავით ტურაშვილი „ჯინსების თაობა“ იტალია, ბესო ხვედელიძე „თაგვის გემო“ გერმანია, ლაშა ბუღაძე „ლიტერატურული ექსპრესი“ აშშ, ზურაბ ქარუმიძე „დეგნი“ აშშ, „ვეფხისტყაოსანი“ საფრანგეთი, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისი, ვაჟა-ფშაველას თარგმანი ფრანგულ ენაზე, ვაჟა-ფშაველას თარგმანი გერმანულ ენაზე, ვაჟა-ფშაველას თარგმანი ინგლისურ ენაზე. ასევე 3 უცხოენოვანი ლიტერატურის ქართული თარგმანი: რუსული პოეზია, მთარგმნელი ლ. ღოღობერიძე (გამომცემლობა „ინტელექტი“), ირანული დრამატურგია, მთარგმნელი გ. ლობჟანიძე (გამომცემლობა „ინტელექტი“), ფრანსუა რაბლე, „გარგანტუა და პანტაგრუელი“, მთარგმნელი გ. გოგიაშვილი (გამომცემლობა „ბაკმი“). ასევე გამოიცა კატალოგი „ექვთიმე თაყაიშვილი 150“. მოეწყო ლიტერატურული კონკურსი „წერო“, კონკურსი „საუბარი საზღვრების შესახებ“ საუკეთესო ქართული პიესის გამოსავლენად. რაც შეეხება საიუბილეო ღონისძიებებს, წიგნი-ალბომი „იდექი ისე, როგორც ბერმუხა“ მიეძღვნა კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის მხატვრული ფილმის „ჯარისკაცის მამა“ საიუბილეო 50 წლისთავს. საიუბილეო საღამო ცნობილი კინორეჟისორის ლანა ღოღობერიძის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი მიღება, რეჟისორის თარგმანების პრეზენტაციასთან ერთად. კულტურის მინისტრს საპატიო სტუმრებიც სტუმრობდნენ. ქართული კინოს განვითარებისათვის იტალიელი მსახიობი ჯანკარლო ჯანინი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, ფრანგული კინოს ლეგენდა ფანი არდანი, „ევრიმაჟის“ პრეზიდენტი იობსტ ფლოგი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობის ფარგლებში

გამოიცა: ბრაილის შრიფტით ჟურნალ „სინათლის“ 10 ნომერი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ გაფორმებული ზღაპარი „წითელქუდა“. რაც შეეხება საქველმოქმედო ღონისძიებებს, 3 უსინათლო ახალგაზრდისათვის დაიგეგმა ხატვის კურსები და პერსონალური გამოფენა საჩხერესა და თბილისში. კონცერტები თბილისსა და რეგიონებში. 12 ახალი სიმღერა საქველმოქმედო ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარში. 8 ახალი მუსიკალური ნაწარმოები საკრავთა წრისთვის. მასტერკლასები ფერთა თერაპიის, ფერწერის და არტთერაპიის, გადაადგილების უნარშეზღუდულ პირთათვის, მასტერკლასების შედეგად შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. დაიწერა პიესა შშმ პირთათვის ბასა ჯანიკაშვილის მიერ. დაიდგა სპექტაკლი დრამატული წრისთვის რეჟისორ ზურაბ გეწაძის მიერ. კურსები და მასტერკლასები თბილისის №147-ე საჯარო სკოლის ინტეგრირებულ კლასში შშმ მოზარდებისთვის, მუსიკალური სმენის და მეტყველების განვითარების, ხალხური სიმღერების და სწავლის და ადაპტირებულ ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრის მიმართულებით.

გურამ ოდიშარიას უწყებაში არანაკლები დატვირთვა აქვს კულტურის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს. მის ძირითად ფუნქციასა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება, კანონპროექტების მომზადება, მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით მოსამზადებელი კანონპროექტების შექმნაში მონაწილეობა, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებთან და დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის მეთოდური სამართლებრივი დახმარების გაწევა, სამინისტროში შემოსული განცხადებების განხილვა, ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა და სასამართლო წარმომადგენლობა. იურიდიული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევებიდან აღსანიშნავია კინოწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა; ქველმოქმედების ხელშეწყობის საერთაშორისო პრაქტიკა; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საქმიანობის ანალიზი ახალგაზრდობის ხელშეწყობის ჭრილში; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სტატისტიკური ანალიზი და ასევე სამინისტროს საქმიანობის ანალიზი, გენდერულ ჭრილში; იურიდიული დეპარტამენტის ხელშეწყობით სამინისტროში შედგა შეხვედრა კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ამოქმედების მექანიზმებთან დაკავშირებით. იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობდა უწყებათაშორის კომისიებში: ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო – სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის რევიზია და სამოქმედო გეგმის შემუშავება. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისია – სამოქმედო გეგმის შემუშავება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით. საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო – სპორტის სახელმწიფო დოკუმენტის შექმნა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო – საავტორო უფლებათა დაცვის ერთიანი, შეთანხმებული და აღსრულებადი პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, საავტორო უფლებათა პოპულარიზაციის ხელშეწყობის და საავტორო უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო – ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მოღნისის, სურბმინასისა და სურბნიშანის ეკლესიების მომიჯნავედ კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია – ეკლესიების მომიჯნავედ კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახთა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. იურიდიული დეპარტამენტის ხელშეწყობით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს. შედეგად დაბა თიანეთში მდებარე ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურის პარკში აღდგება კინოთეატრი და მოეწყობა მისი მიმდებარე ტერიტორია. იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდა შეთანხმება „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შორის კახის რაიონში ქართული კულტურის ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე განსახორციელებელი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ნებართვის გაცემა, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცების უფლება, ძეგლის სტატუსის მინიჭება და მოხსნა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებასთან დაკავშირებით აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პროცესში, სამინისტრომ შეიმუშავა „კულტურის შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ და „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტები. სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებაში. აღნიშნულ კანონთან სამინისტროს სსიპ თეატრების დასახელებების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემუშავებულ იქნება ცვლილებების პროექტები პრეზიდენტის ბრძანებულებებში და მინისტრის ბრძანებებში: ბრძანებებით დამტკიცდა სამინისტროს სსიპ თეატრების დებულებები. შემუშავდა და დამტკიცდა სამინისტროს საკონკურსო საატესტაციო კომისიის დებულება. ბრძანებებითვე განისაზღვრა სამინისტროს მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შემუშავებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტები სამინისტროს ააიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სსიპ-ებად გარდაქმნასთან დაკავშირებით. იურიდიული დეპარტამენტის ჩართულია კულტურის სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო ნორმატიული აქტების ანალიზის პროცესში. ამზადებს დასკვნებს ადგილობრივ საკანონმდებლო ინიციატივებზე და საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულ სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით. დაფუძნდა კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი – საქართველოს ისტორიაში პირველად – კერძო სექტორთან ერთად მაღალი კულტურული და ეკონომიკური პოტენციალის მატარებელი პროექტების დაფინანსება, კულტურაში ინვესტირების მიმზიდველობის გაზრდა, სპონსორინგი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში.

საჯაროობა, გახსნილობა, საზოგადოების ჩართულობა ეს არის გურამ ოდიშარიას უწყების მთავარი პრიორიტეტი, სწორედ ამ მიზნით, ჩატარდა 12 მრგვალი მაგიდა, მათ შორის მრგვალი მაგიდა ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილას არსებულ პროექტთან დაკავშირებით; მრგვალი მაგიდა „კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ამოქმედების“ შესახებ; მრგვალი მაგიდა „დავიცვათ ისტორიული თბილისი“; მრგვალი მაგიდა აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამის ფარგლებში, 2012 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ; მრგვალი მაგიდა ახალციხის რაბათის კომპლექსი – ისტორიული არქიტექტურის მეტამორფოზა; მრგვალი მაგიდა ქართული კინო; მრგვალი მაგიდა უმაღლესი სახელოვნებო საგანმათლებლო დაწესებულებების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის განსაზღვრის – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის დაბრუნების შესახებ; მრგვალი მაგიდა „კულტურული მემკვიდრეობა და განვითარება“; ორი მრგვალი მაგიდა ეროვნული ლატარეა და კანონპროექტი „საქართველოს სახელმწიფო თეატრების შესახებ“; მრგვალი მაგიდა „კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ამოქმედება“; მრგვალი მაგიდა „თანაშრომლობა კულტურის სფეროში: სამომავლო გეგმები“.

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## ეროვნულ მუზეუმში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

(ვაისმანის უნივერსიტეტიდან, ისრაელი), ჯანვირტო მარტინო სან-რაფელეს ჰოსპიტალიდან (მილანი, იტალია, ნეიროიმულოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი), თომას ულსონი კაროლინსკას ინსტიტუტიდან (სტოქჰოლმი, შვედეთი) და ბურქარდ ბეჩერი ციურიხის უნივერსიტეტიდან (შვეიცარია). დაიგეგმა ლექციების წაკითხვა ცნობილი ნევროლოგების ულე ლინდვალისა და (შვედეთი) კონსტანტინო იადეკოლას (ა.შ.შ.) მიერ. ლექციის მიზანს წარმოადგენდა, დამსწრე საზოგადოებას, ქართველ ნევროლოგებს, იმუნოლოგებს, ნეიროქირურგებს და მედიცინის სხვა წარმომადგენლებს უფრო მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ ნეიროდეგენერაციული დაავადებების, ღეროვანი უჯრედების გამოყენების და იმუნოლოგიური მეთოდების შესახებ. ორგანიზატორთა განმარტებით, სიმპოზიუმი ხელს შეუწყობს უჯრედული თერაპიის არსებულ და სამომავლო პერსპექტივების სწორ გაგებასა და აღქმას, – განმარტა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

სიმპოზიუმის მხარდაჭერა ითავეს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა სამეცნიერო კონსორციუმმა, რომლის ხელმძღვანელია ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი ზაზა კოკაია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა წარმოადგინა ხალხური რეწვის გაკვეთილების დასკვნით ვორკშოპი და მონაწილეების მიერ 3 თვის განმავლობაში შექმნილი ფარდაგების, წინდების, ხის ნაკეთობების, მუზეუმის ღუმელში გამომწვარი თიხისა და სხვა ნიმუშების გამოფენა.

– 2013 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით ეთნოგრაფიული მუზეუმი ყოველ შაბათ-კვირას ხალხური რეწვის გაკვეთილებზე, ყველა ასაკისა და პროფესიის, ვიზიტორებს უფასოდ მასპინძლობდა. მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ტრადიციული ხელსაქმის ოსტატებს და მათი დახმარებით აეთვისებინათ ხელობის სხვადასხვა დარგი: მეთუნეობა, დაზგური და ჩხირებით ქსოვა, ტილოზე ნემსით ქარგვა, ხეზე კვეთა, ტრადიციული მჭედლობა. პროგრამის მიზანს საქართველოში ხალხური რეწვის ცოცხალი ტრადიციების აღდგენა და შენარჩუნება წარმოადგენდა, – აღინიშნა ანა ვერულაშვილმა.

მისივე განმარტებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2014 წლის გაზაფხულიდან კვლავ განაახლებს ხალხური რეწვის გაკვეთილებს და საშუალებას მისცემს ნებისმიერ მსურველს პროფესიონალების დახმარებით ხალხური ტრადიციული ხელობა აითვისონ.

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15-სთ-მდე, გარდა შაბათკვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიზიროშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● სმენის დაქვეითების – სასმენი ნერვის ნევრიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, რადიკულიტის, სახსრების ანთების, შეუხორცებელი ჭრილობებისა და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟით. მიღება მხოლოდ წინასწარ ჩაწერით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## კარლო ანჩელოტი: „რეალს“ ერთი თასი აკლია

მადრიდის „რეალის“ იტალიელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი თავისი შეგირდების მატჩებს მსოფლიოს ჩემპიონატის საპლეიოფო მატჩებშიც ადევნებდა თვალს. ცხადია, ყველაზე დიდი ყურადღება პორტუგალია-შვედეთის წყვილზე იყო, სადაც მისი საუკეთესო შეგირდი, კრიშტიანუ რონალდუ თამაშობდა.

**კარლო ანჩელოტი:**

– მსოფლიო ჩეპიონატი არის ტურნირი, სადაც თითოეულ ფეხბურთელს სურს მონაწილეობის მიღება. ჩვენმა ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს და ისინი დიდი სიხარულით დაბრუნდნენ უკან.

***– იმსახურებს კრიშტიანუ რონალდუ „ოქროს ბურთს“?***

– ნამდვილად მომწონს მისი თამაშის ყურება, რადგან ამ მომენტისთვის იგი საუკეთესოა. რონალდუ წარმოუდგენლად საოცარ ფეხბურთს თამაშობს და ვფიქრობ, დიდი შეცდომა იქნება თუ ოქროს ბურთს მას არ გადასცემენ, იგი ნამდვილად იმსახურებს ამას. კრიშტიანუ მოედანზე წარმოუდგენელ რაღაცებს აკეთებს, მაგრამ „ოქროს ბურთი“ კლუბის წარმატებაზეცაა დამოკიდებული. რონალდუ პროფესიონალი და სერიოზული მოთამაშეა, ზრუნავს ყველა დეტალზე და არაფერს ტოვებს იღბალზე. ის იდეალურ ფიზიკურ ფორმაშია და მიიჩნევს, რომ დანარჩენი ფეხბურთელები მის დონემდე უნდა მივიდნენ, რათა უმაღლეს დონეზე დავრჩეთ.

***– კმაყოფილი ხართ „რეალის“ თამაშით?***

– პირველი ტაიმი „რეალ სოსიედადთან“ ვითამაშეთ ძალიან კარგად. კარგად ჩავატარეთ წინა მატჩებიც, მაგრამ ჩვენ გაძლიერება და სტაბილურობა გვესაჭიროება.

***– სამი ხედირა ძალიან აკლია გუნდს?***

– მისი ტრავმა ძალიან დასანანია. ჩვენ შეგვიძლია მის მაგივრად დავაყენოთ სხვა ფეხბურთელი, რომელიც ღირსეულად ჩაანაცვლებს ხედირას. ასევე, შესაძლებელია ტაქტიკის შეცვლა. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი გუნ-

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# ბორჯღალოსანთა საოცარი გამარჯვება

**საქართველოს – სამოა 16:15**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**საქართველო:** მერაბ კვირიკაშვილი, თამაზ მჭედლიძე (თედო ზიბზიბაძე 45), დავით კაჭარავა, მერაბ შარიქაძე, გიორგი შკინინი (ბექა წიკლაური 71), ლაშა ხმალაძე, გიორგი ბეგაძე; მიხეილ ნარიაშვილი (ზურაბ ჟვანია 62), შალვა მამუკაშვილი (სიმონ მაისურაძე 62), ლევან ჩილაჩავა (დავით ქუბრიაშვილი 41), კონსტანტინე მიქაუტაძე (გიორგი ნემსაძე 52), ლევან დათუნაშვილი, გიორგი თხილაიშვილი (შალვა სუთიაშვილი 62), მამუკა გორგოძე , გიორგი ჩხაიძე

**მარქაფა:** ვაჟა ხუციშვილი

**ლელო:** შარიქაძე

**გარდასახვა:** კვირიკაშვილი

**3 ჯარიმა:** კვირიკაშვილი

**სამოა:** ფაჰატოინა აუტანგავაია, ალაპაატი ლეიუა, ისაია ტუიფუა, ჯონი ლეოტა (კენ პისი 59), სინოტი სინოტი (ბრანდო ვააულუ 41), ტუსიატა პისი, კაენ ფოტუალიჰი (ჯერემი სუჰა 70); საკარია ტაულაფო, ტიჰი პაულო (უეინ ოლე ავეი 70), ჯეიმს ჯონსთონი (ენთონი პერენისე 64), პიულა ფაასალელე (ჯო ტეკორი 57), ტეოფილო პაულო, ოფისა ტრევირანუსი (ტაიასინა ტუიფუა 51), ჯეკ ლემი, ფაიფილი ლევავე

**მარქაფა:** ვილიამუ აფატია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა სამოა დაამარცხა და დაგვანახა, რომ სენსაციები რაგბიშიც ხდება. თუმცა, ეს სენსაცია უდიდესი ბრძოლის ხარჯზე შედგა. „ბორჯღალოსნებს“ თავი არ დაუზოგავთ, ყველაფერი გაიღეს მატჩის მოსაგებად. თამაშის შემდეგ, დასისხლიანებულ, ნაომარ ბიჭებს სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდათ.

–მთელი თამაშის განმავლობაში რაღაც ძალა გვეხმარებოდა ზევიდან და სწორედ ამ დახმარებამ მოგვაგებინა ეს თამაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გუნდის დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა, – თქვა მატჩის შემდეგ, გიორგობა დღეს გუნდის კაპიტანმა მამუკა გორგოძემ.

არადა, ქართველთა მოგებას ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა. მეტოქემ დაწყებისთანავე შემოგვიტია და პირველივე წუთზე ჩვენები დაჯარიმდნენ, მაგრამ ტუსიატა პისის მიზანმა უმტყუნა.

ამის შემდეგ ქართველთა ჯერი დადგა: სამოელები შეცდნენ, ჩვენებმაც რამდენჯერმე გაშალეს თამაში სხვადასხვა ფლანგზე, რითიც მეტოქეს დაჯარიმება აიძულეს და კვირიკაშვილმა ანგარიში გახსნა – 3:0.

სამოელები დასაწყისში ხშირად ცდებოდნენ და ქართველები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მეტოქის ჩათვლის მოედანთან მიახლოებას ვერ ვახერხებდით. სამაგიეროდ, სხარტი სამოელები მალე გამოცოცხლდნენ, რამდენჯერმე დაუსხლტნენ მცველებს და ხელდახელ თამაშით ჩვენი ჩათვლის მოედანში შეაღწიეს, გარდასახვა არაზუსტი გამოდგა – 3:5.

მალევე ყელში ბოჭვისთვის მოედნიდან მამუკა გორგოძე გაასინბინეს, თუმცა რიცხობრივ უმცირესობაში მყოფმა ქართველებმა სახიფათო კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ შალვა მამუკაშვილს სისწრაფე არ ეყო. სამაგიეროდ, ჯარიმას გამოვრჩით და კვირიკაშვილმა ქართველები დააწინაურა – 6:5.

ამის შემდეგ უპირატესობას სამოელები დაეუფლნენ და ეს ლელოში აისახა – ჯეკ ლემიმ „ბორჯღალოსანთა“ დაცვა უპრობლემოდ გაიარა და მეორე ლელო დადო, პისიმ გარდასახვა ამჯერად ზუსტად დაარტყა – 6:12.

ტაიმის ბოლომდე უპირატესობას სამოელები ფლობდნენ, ქართველებს ცენტრის გადაკვეთა უჭირდათ და რამდენჯერმე ლელოსაც გადარჩნენ, მაგრამ ანგარიშის შემცირების შანსი მაინც მოგვეცა, თუმცა კვირიკაშვილმა ჯარიმა ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მეტოქეს ძალისმიერად შევუტიეთ, შემდეგ ხაზიც გავშალეთ და შარიქაძემ ცრუმოძრაობით რამდენიმე მეტოქეს ჯაჯგურში გაცდა და ლელო ძელებს შორის დაამიწა, კვირიკაშვილმა გარდასახვა გამოიყენა – 13:12.

მალევე კვირიკაშვილს შეეძლო კიდევ უფრო დაეწინაურება ქართველები, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციიდან ჯარიმა ააცილა.



ქართველებმა შეტევები გააძლიერეს, ჯარიმა კიდევ უფრო ხელსაყრელ სიტუაციაში მოიპოვეს, ამასთან სამოელებს მორაგბე გაუსინბინეს, მაგრამ ამჯერად კარში დარტყმის ნაცვლად ბურთი აუტში გადავიტანეთ და სალელოვედ შევუტიეთ, თუმცა მეტოქის ჩათვლის მოედნის სიახლოვეს დავჯარიმდით და კარგი შანსი გავანიავეთ.

რიცხობრივი უპირატესობის ფონზე ქართველები უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა სამოელებმაც დაალაგეს თამაში და წინ გასვლაც შეეძლოთ, მაგრამ კარში დარტყმა ახლა მათ იუკადრისეს და ლელოზე ითამაშეს, რაც არ გამოუვიდათ და მათი შემტევი ჩათვლის ხაზთან ახლოს შევაჩერეთ.

მატჩი ორმხრივ იერეშებში და „დაუნდობლად“ გაგრძელდა, ორივე გუნდი შეტევაზე ფიქრობდა. ერთ-ერთ მომენტში ჩვენები დაჯარიმდნენ და პისიმ წინ გაიყვანა სამოელები.

გაცილებით ძლიერ მეტოქეს ქართველები არ ეპუებოდნენ და მძლავრად შეუტიეს, სულ ცოტა დააკლდათ ლელომდე. ჯერ ჩათვლის მოედნის სიახლოვეს თავიანთ შერკინებაში დაჯარიმდნენ, შემდეგ მშვენიერი კონრტშეტევისას წიკლაურს ბურთი წინ გაუვარდა, ბოლოს კი, წიკლაურმა არეკნით სცადა შეცდომის გამოსწორება, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

ქართველებმა შტურმი გააგრძელეს, მეტოქე საკუთარ 22-იანში გამოკეტეს, ჯარიმის უფლებაც მოიპოვეს და კვირიკაშვილმა ზუსტად დაარტყა – 16:15.

მსაჯმა დასრულებამდე 4 წუთი აჩვენა – მთავარი იყო ეს დრო გაგვეძლო და იგივე შეცდომა არ დაგვეშვა რაც ამერიკელებთან. ჩვენებმა ეს მოახერხეს და მრისხანე მეტოქე დამარცხებულია.

### მატჩის შემდეგ

**სთივენ ბითემი, სამოას ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ვულოცავ საქართველოს დამსახურებულ, ბრწყინვალე გამარჯვებას. მართალია გარკვეულ ფაზებში უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ეს არ გაგრძელდა სრული 80 წუთით და ამიტომაც დავმარცხდით. ჩვენ სწორედ ისეთი მეტოქე დაგვხდა, როგორსაც ველოდით. შერკინებაში, მოლში, დერეფანში, რაქებში, უპირატესობა საქართველოს მხარეს იყო. ძნელია ერთი თამაშით რაიმის თქმა, მაგრამ პირადად ჩემი აზრია, რომ მეორე დონის გუნდებს და მათ შორის საქართველოს, ხშირად უნდა მიეცეთ პირველი დონი გუნდების წინააღმდეგ თამაშის შესაძლებლობა.

**კაენ ფოტუალიჰი, სამოას ნაკრების კაპიტანი:**

–ძალიან ნასიამოვნები დავრჩი სტადიონზე შექმნილი ატმოსფეროთი. ჩვენთანაც ასე ხდება და გულშემატკივართა მხარდაჭერამ საქართველოს ნაკრებს დიდი სამსახური გაუწია. მაგრამ მარცხს ტრიბუნებს ვერ დავაბრალებთ, რადგან ჩვენ 60.000 მაყურებლის წინაშეც გვითამაშია. ეს გამამართლებელი საბაბი არაა და დღეს უბრალოდ უკეთესმა გუნდმა გაიმარჯვა.

**მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– უმნიშვნელოვანესი თამაში მოვიგეთ. ეს პირველი შემთხვევაა საქართველო მსოფლიო რეიტინგის მოწინავე ათეულში მყოფ გუნდს რომ ამარცხებს. ეს მოგება უმნიშვნელოვანესია მოთამაშეებისთვის, მწვრთნელებისთვის, გულშემატკივრებისთვის და რაგბის კავშირისთვის. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. ჩვენ მზად ვართ და კარგი იქნება, ასეთი დონის გუნდების წინააღმდეგ ხშირად თუ ვითამაშებთ. ივნისში არგენტინასთან გამართულმა მატჩმა რაღაც შეგვძინა, რაც ახლა გამოვიყენეთ და გამარჯვება მოვიპოვეთ. პირველ ტაიმში რამდენიმე ბოჭვა გაგვიფუჭდა, მეორეში არა და სწორედ მეორე ტაიმში მოვიგეთ თამაში.

**მამუკა გორგოძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:**

– ყველა სპორტის სახეობისთვის მნიშვნელოვანია გულშემატკივრის მხარდაჭერა, მაგრამ მორაგბეებზე ეს განსაკუთრებით მოქმედებს და მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ტრიბუნაზე იყო მოსული. მინდა ყველა მათგანს მადლობა გადავუხადო – ჩვენ ყველამ ერთად მოვიგეთ ეს თამაში.

**გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

– დავეთანხმები მამუკას და ვიტყვი, რომ ფანტასტიური გულშემატკივრობა იყო და მადლობა ყველას, ვინც მხარში დაგვიდგა. ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ რა ძალას მატებს ბიჭებს ტრიბუნების დახმარება. რაღა თქმა უნდა, წმინდა გიორგის მადლიც შეგვეწია და დიდება უფალს, ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ. უკვე ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაკრებმა ასეთი გუნდების წინააღმდეგ თამაშის უფლება დაიმსახურა, ბევრ რამეზე მეტყველებს. მე მესმის, რომ გულშემატკივარს უნდა აშშ-სა და კანადას ათიდან ათ თამაშს ვუგებდეთ, მაგრამ ასე არ ხდება. ჩვენ მსოფლიოს მე-8 გუნდს მოვუგეთ, მაგრამ ხვალ შესაძლოა მეორე დონის გუნდთან დავმარცხდეთ. ეს ნორმალური პროცესია და სწორედ ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვვითარდეთ. ხუთ წუთში ათეულში ვერ შეხვალ და თუ ფეხბურთში ლუქსემბურგმა შეიძლება ბრაზილიასთან მატჩი ფრედ დაასრულოს, რაგბიში ასე ვერ მოხდება. დღეს მოხდა სასწაული და საქართველოს ნაკრებმა სენსაცია მოახდინა. მე ჩვენი გუნდის ასეთი შემოქმედებითი თამაში არ მინახია, მით უმეტეს, ასეთი დონის გუნდთან. ამ მოგებით რაგბის დიდ ოჯახში უდიდესი პატივისცემა მოვიპოვეთ და ახლა ასჯერ მეტი მუშაობაა საჭირო, რათა ეს პატივისცემა შევინარჩუნოთ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ლივერპული ........ 3:3
ნიუკასლი-ნორვიჩი ........ 2:1
სტოკი-სანდერლენდი ........ 2:0
ფულემი-სუონსი ........ 1:2
ჰალი-კრ.პალასი ........ 0:1
არსენალი-საუთჰემპტონი ........ 2:0
ვესტ ჰემი-ჩელსი ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 12 | 9 | 1 | 2 | 24-10 | 28 |
| 2.ლივერპული | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 3.ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 21-10 | 24 |
| 4.საუთჰემპტონი | 12 | 6 | 4 | 2 | 15-7 | 22 |
| 5.ევერტონი | 12 | 5 | 6 | 1 | 17-13 | 21 |
| 6.მანჩესტერი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-13 | 20 |
| 7.ტოტენჰემი | 11 | 6 | 2 | 3 | 9-6 | 20 |
| 8.ნიუკასლი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-17 | 20 |
| 9.სიტი | 11 | 6 | 1 | 4 | 28-12 | 19 |
| 10.სუონსი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-16 | 15 |
| 11.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-12 | 14 |
| 12.ასტონ ვილა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-12 | 14 |
| 13.ჰალი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-15 | 14 |
| 14.სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-14 | 13 |
| 15.კარდიფი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 16.ნორვიჩი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-23 | 11 |
| 17.ვესტ ჰემი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-14 | 10 |
| 18.ფულემი | 12 | 3 | 1 | 8 | 11-21 | 10 |
| 19.კრ. პალასი | 12 | 2 | 1 | 9 | 7-21 | 7 |
| 20.სანდერლენდი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-24 | 7 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

უენსდი-ჰადერსფილდი ........ 1:2
ბირმინგემი-ბლექპული ........ 1:1
ბლექბერნი-რედინგი ........ 0:0
ბორმნუთი-დერბი ........ 0:1
იფსვიჩი-ლესტერი ........ 1:2
ქპრ-ჩარლტონი ........ 1:0
მილუოლი-ბარნსლი ........ 1:0
ნოტინგემი-ბარნლი ........ 1:1
უოტფორდი-ბოლტონი ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ოსასუნა ........ 0:1
ბარსელონა-გრანადა ........ 4:0
სოსიედადი-სელტა ........ 4:3
ალმერია-რეალი ........ 0:5
ატლეტიკო-ხეტაფე ........ 7:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 13 | 1 | 0 | 42-8 | 40 |
| 2.ატლეტიკო | 14 | 12 | 1 | 1 | 38-9 | 37 |
| 3.რეალი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-17 | 34 |
| 4.ვილიარეალი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-13 | 24 |
| 5.ბილბაო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-18 | 23 |
| 6.სოსიედადი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-20 | 20 |
| 7.ხეტაფე | 14 | 6 | 2 | 6 | 17-21 | 20 |
| 8.ვალენსია | 13 | 5 | 2 | 6 | 17-21 | 17 |
| 9.ლევანტე | 13 | 4 | 5 | 4 | 13-17 | 17 |
| 10.გრანადა | 14 | 5 | 2 | 7 | 11-17 | 17 |
| 11.სევილია | 13 | 4 | 4 | 5 | 23-26 | 16 |
| 12.ესპანიოლი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| 13.ელჩე | 13 | 3 | 5 | 5 | 13-17 | 14 |
| 14.მალაგა | 13 | 3 | 4 | 6 | 15-19 | 13 |
| 15.ოსასუნა | 14 | 4 | 1 | 9 | 11-22 | 13 |
| 16.სელტა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-22 | 12 |
| 17.ვალიადოლიდი | 14 | 2 | 6 | 6 | 16-21 | 12 |
| 18.ალმერია | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 19.რაიო | 13 | 4 | 0 | 9 | 12-30 | 12 |
| 20.ბეტისი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-24 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალიორკა-ალავესი ........ 2:1
რეალი ბ-ნუმანსია ........ 0:0
ბარსელონა ბ-ლას პალმასი ........ 1:2

**იტალია. სერია ა**

ვერონა-კიევო ........ 0:1
ნაპოლი-პარმა ........ 0:1
მილანი-ჯენოა ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 12 | 10 | 2 | 0 | 26-3 | 32 |
| 2.იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 26-10 | 31 |
| 3.ნაპოლი | 13 | 9 | 1 | 3 | 24-12 | 28 |
| 4.ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 29-12 | 25 |
| 5.ფიორენტინა | 12 | 7 | 3 | 2 | 24-14 | 24 |
| 6.ვერონა | 13 | 7 | 1 | 5 | 22-20 | 22 |
| 7.ჯენოა | 13 | 5 | 3 | 5 | 14-15 | 18 |
| 8.ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 16-16 | 16 |
| 9.ატალანტა | 12 | 5 | 1 | 6 | 14-15 | 16 |
| 10.პარმა | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| 11.მილანი | 13 | 3 | 5 | 5 | 18-20 | 14 |
| 12.უდინეზე | 12 | 4 | 1 | 7 | 11-15 | 13 |
| 13.კალიარი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-20 | 13 |
| 14.ტორინო | 12 | 2 | 6 | 4 | 18-21 | 12 |
| 15.ლივორნო | 12 | 3 | 3 | 6 | 13-18 | 12 |
| 16.ბოლონია | 12 | 2 | 4 | 6 | 14-24 | 10 |
| 17.სასუოლო | 12 | 2 | 4 | 6 | 13-28 | 10 |
| 18.სამპდორია | 12 | 2 | 3 | 7 | 13-22 | 9 |
| 19.კიევო | 13 | 2 | 3 | 8 | 8-18 | 9 |
| 20.კატანია | 12 | 2 | 3 | 7 | 8-19 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-პადოვა ........ 2:2
ბრეშა-ჩეზენა ........ 0:0
კროტონე-აველინო ........ 3:2
ლანჩანო-ვარეზე ........ 2:0
სპეცია-ემპოლი ........ 1:3
ტერნანა-მოდენა ........ 1:1
იუვე სტაბია-ტრაპანი ........ 2:3
ჩიტადელა-რეჯინა ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი ........ 0:1
აინტრახტი-შალკე ........ 3:3
აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი ........ 2:0
ჰერტა-ლევერკუზენი ........ 0:1
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი ........ 1:1
დორტმუნდი-ბაიერნი ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 11 | 2 | 0 | 30-7 | 35 |
| 2.ლევერკუზენი | 13 | 10 | 1 | 2 | 28-14 | 31 |
| 3.დორტმუნდი | 13 | 9 | 1 | 3 | 32-14 | 28 |
| 4.გლადბახი | 13 | 8 | 1 | 4 | 30-16 | 25 |
| 5.ვოლფსბურგი | 13 | 7 | 1 | 5 | 19-15 | 22 |
| 6.შალკე | 13 | 6 | 3 | 4 | 26-26 | 21 |
| 7.ჰერტა | 13 | 5 | 3 | 5 | 20-17 | 18 |
| 8.შტუტგარტი | 13 | 4 | 4 | 5 | 24-23 | 16 |
| 9.მაინცი | 12 | 5 | 1 | 6 | 17-23 | 16 |
| 10.აუგსბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 15-23 | 16 |
| 11.ვერდერი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-20 | 15 |
| 12.ჰანოვერი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-19 | 14 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 13 | 3 | 4 | 6 | 28-30 | 13 |
| 14.ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 26-29 | 12 |
| 15.აინტრახტი | 13 | 2 | 5 | 6 | 17-24 | 11 |
| 16.ფრაიბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 14-24 | 11 |
| 17.ნიურნბერგი | 13 | 0 | 8 | 5 | 13-26 | 8 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-24 | 8 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-უნიონი ........ 3:0
კიოლნი-ინგოლშტადი ........ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რეიმსი-პსჟ ........ 0:3
ლიონი-ვალანსიენი ........ 1:1
მონპელიე-გენგამი ........ 1:1
რენი-ბორდო ........ 1:1
სოშო-ბასტია ........ 1:1
ევიანი-ლორიანი ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 10 | 4 | 0 | 30-8 | 34 |
| 2.ლილი | 13 | 8 | 3 | 2 | 15-4 | 27 |
| 3.მონაკო | 13 | 7 | 5 | 1 | 21-11 | 26 |
| 4.მარსელი | 14 | 7 | 3 | 4 | 21-14 | 24 |
| 5.ნანტი | 13 | 7 | 2 | 4 | 19-10 | 23 |
| 6.ლიონი | 14 | 5 | 4 | 5 | 20-17 | 19 |
| 7.გენგამი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-15 | 19 |
| 8.რეიმსი | 14 | 4 | 7 | 3 | 15-15 | 19 |
| 9.ბასტია | 14 | 5 | 4 | 5 | 16-20 | 19 |
| 10.რენი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-14 | 18 |
| 11.სტ. ეტიენი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-17 | 18 |
| 12.ბორდო | 14 | 4 | 6 | 4 | 17-18 | 18 |
| 13.ნიცა | 13 | 5 | 2 | 6 | 14-16 | 17 |
| 14.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 11-19 | 16 |
| 15.ევიანი | 14 | 4 | 4 | 6 | 15-25 | 16 |
| 16.მონპელიე | 14 | 2 | 9 | 3 | 17-18 | 15 |
| 17.ლორიანი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-23 | 14 |
| 18.ვალანსიენი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-21 | 10 |
| 19.აიაჩო | 14 | 1 | 5 | 8 | 10-22 | 8 |
| 20.სოშო | 14 | 1 | 5 | 8 | 12-25 | 8 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-შატორუ ........ 2:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

პსვ-ჰერენვენი ........ 1:1
ალკმაარი-როდა ........ 2:2
კამბური-ნაიმეგენი ........ 2:1
აიაქსი-ერაკლესი ........ 3:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბენფიკა-ბრაგა ........ 1:0
პორტუ-ნასიონალი ........ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-რუბინი ........ 0:1
ამკარი-უბანი ........ 3:1
ცსკა-სპარტაკი ........ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-ჰიბერნიანი ........ 0:0
დ.იუნაიტედი-პარტიკი ........ 4:1
ინვერნესი-სტ.ჯონსონი ........ 1:0
ჰართსი-როსი ........ 2:2
სელტიკი-აბერსინი ........ 3:1
კილმანროკი-მოზერველი ........ 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-თუნი ........ 4:1
იანგ ბოიზი-ლოზანა ........ 3:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-აუსტრია ........ 0:5
ნოიშტადი-გროდიგი ........ 0:2
რიდი-ადმირა ........ 2:2

**ბელგია. პროლიგა**

შარლერუა-ანდერლეხტი ........ 2:1
ლეუვენი-კორტრაიკი ........ 1:1
გენტი-ბევერენი ........ 2:0
ვარეგემი-მეხელენი ........ 3:1
ოსტენდე-გენკი ........ 4:0
სერკლი-ლიერსი ........ 2:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ქაისერი ........ 0:2
ბურსა-ქაშიმპაშა ........ 1:1
გალათასარაი-სივასი ........ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აპოლონი-ოფი ........ 0:1
ატრომიტოსი-ვერია ........ 1:0
პანთრათიკოსი-ოლიმპიაკოსი ........ 1:4

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-იიჰლავა ........ 5:0
სპარტა-ბოლესლავი ........ 4:1
ლიბერეცი-დუკლა ........ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზავიშა-ვიძევი ........ 2:0
იაგელონია-შლიონსკი ........ 3:1
ლეგია-პოგონი ........ 3:1

**ლეგიას მესამე გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა**

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-ჩერნომორეცი ........ 0:1
შახტარი-სევასტოპოლი ........ 4:0
დნიპრო-ილიჩევეცი ........ 3:1
კარპატი-მეტალურგი(დ) ........ 2:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ოდენსე ........ 1:1

**აშშ. მლს**

**პლეი ოფი**

კანზასი-ჰიუსტონი ........ 2:1

**ბრაზილია. სერია ა**

ვასკუ-კრუზეირო ........ 2:1
კრისიუმა-ვიტორია ........ 1:1
ატლეტიკო(მ)-გოიასი ........ 4:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

არხენტინოსი-ქილმესი ........ 1:1
ოლიმპო-როსარიო ........ 1:0
რაფაელა-სან ლორენცო ........ 2:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

კლიპერსი-საკრამენტო ........ 103:102
ვაშინგტონი-ნიუ იორკი ........ 98:89
ინდიანა-ფილადელფია ........ 106:98
ატლანტა-ბოსტონი ........ 87:94
მაიამი-ორლანდო ........ 101:99
ჰიუსტონი-მინესოტა ........ 112:101
მილუოკი-შარლოტი ........ 72:96

**ზაზა ფაჩულია: 4 მოხსნა**

სან ანტონიო-კლივლენდი ........ 126:96
დენვერი-დალასი ........ 102:100
გოლდენ სტეიტი-პორტლენდი ... 101:113

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვინიპეგი-მინესოტა ........ 2:2(0:1ბ)
დეტროიტი-ოტავა ........ 2:4
მონრეალი-პიტსბურგი ........ 3:2
ტორონტო-ვაშინგტონი ........ 1:1(1:0ბ)
ფილადელფია-აილენდერსი ........ 5:2
ბეშვილი-რეინჯერსი ........ 0:2
სენტ ლუისი-დალასი ........ 6:1
ფინიქსი-ანაჰაიმი ........ 2:4
ვანკუვერი-ჩიკაგო ........ 1:2
ლოს ანჯელესი-კოლორადო ... 0:0(0:1ბ)
სან ხოსე-ნიუ ჯერსი ........ 2:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ვინ არიან „მეგას“ ფავორიტები?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სიკალურ მოვლენას „მეგას“ დაჯილდოების ცერემონიალს ვუდგავარ სათავეში, თუმცა რამდენად პოპულარულია დღეს მუსიკა, ესტრადა და საერთოდ კულტურის ეს მიმდინარეობა საქართველოში, ნამდვილად სადავო თემაა. ისიც სადავოა არსებობს თუ არა ქართული შოუბიზნესი როგორც მოვლენა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, „მეგას“ დაჯილდოების ცერემონიალი 1999 წლიდან ყოველწლიურ რეჟიმში მაინც ტარდება და კონკრეტულ ნომინაციებში ავლენს წლის ამა თუ იმ აბრევიატურით, ქართული კულტურის მოღვაწეებს და მათ საკმაოდ სიმპათიურ და პომპეზურ რეჟიმში გადასცემს ვარსკვლავის „მეგა“ წოდებას. თუმცა თავად ცერემონიალი განსაკუთრებულად პომპეზური და პოპულარული გასულ წლებში იყო, 2005 წლის შემდეგ კი, ამ დარგშიც სერიოზული პესიმიზმის ნიშნებია, უამრავი პოპულარული ქართველი ვარსკვლავი უბრალოდ გაქრა თუ ჩაქრა, სხვანი უცხოეთში გადაბარგნენ, ზოგნი სხვა საქმეს მოეჭიდნენ, თუმცა ახლებიც გამოჩნდნენ, კეთდება უამრავი მუსიკალური და თითქოს წარმატებული სატელევიზო პროექტიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული შოუ-ბიზნესი მაინც გაყინულია.

***—წელს „მეგას“ მე-14-ედ ატარებთ. ვინ არიან ფავორიტები ამა თუ იმ ნომინაციაში მაშინ, როცა ქართულ შოუბიზნესში თითქმის არაფერი ხდება?***

— თითქმის არაფერი არ ხდება, ხომ არ ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი არ ხდება? რაც ხდება სამწუხაროდ ძალიან ცოტაა, მაგრამ დამიჯერეთ მუდმივ მონიტორინგს ვაწარმოებთ მთელი საქართველოს მასშტაბით და ბევრი საინტერესო რამ მაინც ხდება, გარდა იმისა, რაც შეიძლება სატელევიზიო პროექტების სახით ჩანს ეკრანებზე, უამრავი კონცერტი ტარდება, უამრავი ტურნე, სამწუხაროდ, ეს თემა არ არის დღეს საინტერესო და პოპულარული ჩემი კოლეგებისთვის და იქმნება ისეთი ფონი, რომ თითქმის მართლა არაფერი არ ხდება

ძველი დროის დაბრუნება ძალიან რთულია, იქნებ შეუძლებელიც კი, რადგან ის რაც მაშინ იყო, უბრალოდ იყო ახალი ხილი ქართველი მსმენელისთვის, გაჩნდა ფანების ინსტიტუტი, ვარსვლავების წოდება, გაჩნდა ბრძოლა კონკრეტული ნომინაციებისთვის „მეგაზე“ და ეს იყო სიცოცხლე და მოძრაობა. ძალიან კარგად ვიცი დღეს რამდენად არაპოპულარულ თემას ვემსახურები, მაგრამ დამიჯერეთ, რომ გავა წლები და პოლიტიკაზე წინ, ქართველი კაცი კვლავ ხელოვნებას და კულტურას დააყენებს, თუნდაც ამ მიმდინარეობას რასაც შოუბიზნესი ჰქვია, უბრალოდ ქართველ ადამიანს ამისთვის მინიმალურად დაკმაყოფილებული სოციალური პრობლემები უნდა მოუგვარდეს, რომ ოჯახმა შვილი კონცერტზე გაუშვას, ბილეთის ფული მისცეს შვილს და ის აზიაროს რაღაც მისთვის ახალს და ღირებულს.

***— „მეგაზე“ როგორ არჩევთ ყველაზე ღირებულს?***

— 14 წელიწადია ეს პროექტი კეთდება და დარწმუნებული ვარ კიდევ 114 წელი გაკეთდება და თავად პროექტის ფორმატია ისეთი, რომ ის ამა თუ იმ კონკრეტული წლის მუსიკალურ მოვლენებს და პერსონებს აფასებს, კონკრეტულად მუსიკის ღირებულებას კი, მაინც დრო განსაზღვრავს. ცერემონიალის მიზანია კონკრეტულ წელს გააკეთოს შემაჯამებელი დასკვნა ცერემონიალის სახით — ვინ ვინ არის ამა თუ იმ წელს, თუმცა ღირებული მუსიკის და მუსიკოსების, მომღერლების და შემსრულებლების პრობლემა არასოდეს გვქონია „მეგაზე“, რა თქმა უნდა, არც მე ვარ კმაყოფილი „მეგას“ მფლობელთა ზოგიერთი სახელი და გვარით, მაგრამ „მეგას“ ადამიანები ქმნიან და არა სულელური სმს-ები და ლაიქები „ფეისბუქზე“, გიმეორებთ, მთელი წლის მანძილზე მთელი საქართველოს მასშტაბით თითქმის არცერთ ფესტივალს, კონცერტს ან მუსიკალურ ღონისძიებას არ ვტოვებთ მონიტორინგის გარეშე და ყველაზე ხშირად „ტაშომეტრით“ ვხვდებით ყველაფერს. ტაშომეტრი ჩემი მეგობრის აჩი ფურცელაძის მოგონილი სიტყვაა და ხვდებით ხო რის გაზომვას ემსახურება? ამ საქმეს ვემსახურებით ათეულობით წელია და ეს პროფესიონალიზმის ერთ-ერთი საფუძველია, რომელიც თავისთავად „მეგას“ ხმარდება.

***—„მეგას“ ყოველთვის ახლდა სკანდალები. ახლაც ასეა?***

— ძალიან მაინტერესებს, სად არიან დღეს ეს პროტესტანტები? „მეგა“ კი, კვლავ იქაა და იმ საქმეს აკეთებს რაც 1999 წლიდან დაიწყო, რა თქმა უნდა, სკანდალები ეს მსგავსი სახის ცერემონიალების ფორმატში ჯდება, მუდმივი თანმდევია, მუდმივად მოძრაობა და სიცოცხლე იგრძნობა, ასე უნდა იყოს, მაგრამ „გრემზე“ რომ ჯენიფერ ლოპესი რაღაცის პროტესტის ნიშნად არ მიდის, როგორ ფიქრობ ამით ვის აკლდება „გრემს“? მეეჭვება. ამიტომ მსგავს მოვლენებს მშვიდად ვხვდები, წლებმა იმუნიტეტი გამოგვიმუშავა ამ საკითხისადმი და როცა ჩემი ქვეყანაც იმ ქვეყნის დონემდე მივა, სადაც „გრემი“ ტარდება, მაშინ ვიფიქრებთ ხოლმე „მეგას“ დროს მსგავს დეტალებზე.

***— თქვენი გადმოსახედიდან, რატომ გახდა ქართული შოუბიზნესი ასეთი არაპოპულარული?***

— არასწორი მარკეტინგის გამო, კულტურის პოლიტიკის არარსებობის გამო, არაპრიორიტეტულობის გამო და რაც მთავარია, ჩვენი კოლეგების არაკომპეტენტურობის გამო, რომლებსაც ერთ სიამოვნებად ულირდათ ე.წ. კრიტიკული სტატიების წერა, სიუჟეტების კეთება და მასალების გამოქვეყნება ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების შესახებ, ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, საქმეს სიყვარული სჭირდება, ამ ადამიანებს მოფერება და ყურადღება და არა ის, რომ ფიქრობდე, აუ, ხვალ გაზეთში სათაურად ვგლიჯავ „მეგას“ ქართველმა ვარსკვლავებმა პროტესტი დაუფიქსირეს და არ მივიდნენ, და ამ სათაურის გამო შენზე ორჯერ არაპროფესიონალი რედაქტორი 2 ლარით და 60 თეთრით მეტ ჰონორარს მოგცემს. სათაური გაზეთსაც გაგიყიდის და მეტსაც ჩაიდებ ჯიბეში, მაგრამ მერე? სამწუხაროა, ჩემი კოლეგებისთვის დღეს აღარაა საინტერესო ეს სფერო, მაგრამ ზუსტად ვიცი მოვა დრო და თემა ქართულ მედიას დაუბრუნდება

***— წინა წლებისგან განსხვავებით, ნომინაციები შეცვლილია, რატომ?***

— ადრეული წლებისგან განსხვავებით ცოტა ნომინაციებია, ესეც ლოგიკურია და ესეც იმის შედეგია, რომ სამწუხაროდ, პრიორიტეტული „დარგი“ აღარაა დღეს ხელოვნების ეს მიმდინარეობა — ქართული მასობრივი კულტურა.

***— რით იქნება გამორჩეული წლევანდელი „მეგა“?***

— თავად ცერემონიალის ფორმატი არის სტანდარტული, სამ საათიანი ღონისძიება, რომელიც ვიმეორებ, სტანდარტულ ფორმატს ექვემდებარება, თუმცა ახლის და საინტერესოს გაკეთება ყოველთვის მის შინაარსობრივ დატვირთვაზე მოდის, ასე რომ თავად ცერემონიალის დროს იქნება ბევრი საინტერესო რამ და ახალ სახეებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართული ესტრადის ნამდვილი ბუმბერაზები, ნომინაციებს თუ გადახედავთ საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებას ნახავთ, თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი სახელობის „მეგაც“ დავამატეთ ნომინაციებს, ფოლკლორის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის გადავცემთ რჩეულს გელა დაიაურის ხელით. შეგახსენებთ, რომ დღემდე ნომინაციებში არსებობს მუსიკოს დათო ოძელაშვილის სახელობის „ოძელას მეგა“ და ირაკლი ჩარკვიანის სახელობის „მეფეს მეგა“.

***— „ჟოლოს“ ნომინაციები ისევ იქნება?***

— „მეგას“ ჰქონდა ამის პრეცედენტები, რამდენჯერმე გამოვაქვეყნეთ „ჟოლოს მეგას“ გამარჯვებულთა სახელები კონკრეტულ ნომინაციებში. მაგალითად, „წლის უგემოვნო ჰიტი“, „წლის წარუმატებელი პროექტი“ და ა.შ. ვფიქრობთ არც „მეგა 2013“ იქნება ამ მხრივ გამონაკლისი და ვაპირებთ ნომინაცია „ქართული შოუბიზნესის მაფიოზის“ გამოვლენას, ნომინაციას „წლის სირცხვილია, უხერხულია“, ასევე „მეგა ყვითელი ჰალსტუხით“ და ა.შ.

***—და ტრადიციული ქართული საქმის გარჩევების არ გეშინიათ?***

— არა, ნამდვილად არ გვეშინია — ეს „მეგაა“ და არა ერთი ჩვეულებრივი, რიგითი, გასვლითი კონცერტი სადმე რეგიონში, იმუნიტეტი გვაქვს გამომუშავებული უკვე, თუმცა ვაღიარებ, ჩვენი მიზანი არაა არავის დაცინვა ან „გაჟოლოება“, იუმორის გრძნობა კი მეტ-ნაკლებად ყველას აქვს ამ დარგში.

***— ახალ სახეებს წელსაც ველოდოთ?***

— რა თქმა უნდა. განვმეორდები, ეს „მეგაა“, წლის შემაჯამებელი ცერემონიალი და აქ, ამ სცენაზე აღარავის უნდა უკვირდეს წესით, ერთმანეთის გვერდით მაგალითად, ნუგზარ ერგემლიძე და მაგალითად, რეპერი „მასტერი“, მერე რა რომ ორი აბსოლუტურად სხვადასხვა ჟანრია?! ახალი, ახალგაზრდა სახეებიც კვლავ იქნებიან „მეგას“ ცერემონიალზე, ფორმატი ამას ითვალისწინებს.

# რა გაკეთდა ქართული კულტურის განვითარებისთვის?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მინისტრის ინიციატივაა ვიზიტები რეგიონებში, რაც ემსახურება საქართველოს რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ცოცხალი კერების შექმნას, აღორძინებას. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ამ თანამდებობაზე დანიშვნიდან 10 თვის განმავლობაში შეძლო საქართველოს რეგიონების დაახლოებით 80 პროცენტის მონახულება — აბაშის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, ხობის, ახალციხის, ახმეტის, (კოდორის ხეობის), თელავის, ბაღდათის, წყალტუბოს, ვანის, სამტრედიის, ხონის, ხარაგაულის, ბოლნისის, მარნეულის, გორის, დუშეთის (ფშავ-ხევსურეთი), მცხეთა-მთიანეთის, ყაზბეგის, კასპის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლენტეხის, მესტიის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, ქედას, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოს მუნიციპალიტეტების, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის. გამართა გასვლითი სხდომები მოადგილეებთან ერთად, რამდენიმე რეგიონში ჩატარდა ტრენინგ-სემინარები, მინისტრი შეხვდა არა მარტო სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების თუ სახელოვნებო წრეების წარმომადგენლებს, არამედ უშუალოდ გაეცნო მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში მყოფი კულტურული ორგანიზაციების პრობლემებსაც, რისი საშუალებითაც განხორციელდა რამდენიმე პროგრამა რეგიონების მიმართულებით, შეივსო საინფორმაციო ბაზა რეგიონებისთვის აუცილებელი და საჭირო ინვენტარის თუ სხვა ინფორმაციის შესახებ.

და ბოლოს, სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პრიორიტეტულ ღონისძიებებში. მათ შორისაა, „არტარეას“ დაფინანსება, რომელიც საქართველოში პირველი ონლაინ ტელევიზიაა კულტურისა და ხელოვნების შესახებ! 26 მაისს გურამ ოდიშარიას უწყებამ, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, საქართველოს 26 ქალაქში განახორციელა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო პროექტი ქვეყნის მასშტაბით. სამხატვრო აკადემიაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თინათინ კლდიაშვილმა და თბილისის სამხატვრო აკადემიის გადარჩენისა და აღორძინების ფონდის პრეზიდენტმა სოფიკო ჭყონიამ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის მიზანია თბილისის სამხატვრო აკადემიის შენობის გადარჩენა-რეაბილიტაცია და აკადემიის უძველესი ტრადიციების აღორძინება. 8 წლის შემდეგ გამოიცა ჟურნალი „არილი“ — სამი ახალი ნომერი მკითხველისთვის. გაიცა სამინისტროს უმაღლესი ჯილდო 5 „ხელოვნების ქურუმი“ და მათი მფლობელები გახდნენ კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ნატალია გუტმანი, ელისო ვირსალაძე და გურამ მელივა.

## სპორტი

# შენგელიას პირველი ქულები და ფაჩულიას პირველი უქულო

თორნიკე შენგელიამ ნბა-ს მიმდინარე სეზონში პირველი ქულები მოაგროვა. მინესოტაში გამართულ შეხვედრაში „ბრუკლინ ნეთსის“ ქართველმა ფორვარდმა 22 წუთი ითამაშა და 2 ქულასთან ერთად 3 მოხსნაც მოაგროვა.

ბრუკლინელებს მიმდინარე სეზონში ლამის ჩემპიონობის ამბიცია აქვთ და ჯერჯერობით ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებენ. მართალია, გუნდს რამდენიმე ლიდერი ჰყავს ტრავმირებული, თუმცა აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოსოსწინა, მე-14 ადგილზე ყოფნა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

„ბრუკლინმა“ მინესოტაშიც წააგო — 81:111. „ნეთსს“ აკლდა დერონ უილიმსი, ბრუკ ლოპესი, ჯეისონ ტერი და ანდრეი კირილენკო. ამ მატჩებში მწვრთნელი ჯეისონ კიდი იმას მაინც ახერხებს, რომ ყველა სათადარიგოს ათამაშებს და ამით მათ სათამაშო პრაქტიკას აძლევს. ამჯერად „ნეთსის“ ყველა კალათბურთელზე თითქმის თანაბრად გადანაწილდა სათამაშო დრო. ყველაზე მეტი, 27 წუთი, სათადარიგო ტაიშონ ტეილორმა ითამაშა, რომელმაც შეხვედრა 13 ქულით დაასრულა. შენგელიამ 22 წუთში თითოჯერ შეასრულა სამივე ღირებულების ტყორცნა, საიდანაც ორქულიანი ჩააგდო.

ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსის“ მორიგი წაგებები გამოაცხო. ჯერ ფილადელფიაში, შემდეგ კი — შინ. ფაჩულიას გუნდმა ფილადელფიაში „სიქსერსთან“ მძლავრად ითამაშა და გამარჯვებასთანაც ახლოს იყო. ძირითადი დროის დასრულებამდე 2,10 წუთით ადრე „მილუოკი“ 10 ქულით იგებდა, თუმცა ფილადელფიელთა ცენტრმა, სპენსერ ჰეივესმა 2 სამქულიანი ჩააგდო და თამაში ოვერტაიმში გადაიზარდა, სადაც მასპინძლებმა 13:5 იმარჯვეს და შეხვედრა საბოლოოდ 115:107 მოიგეს.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 34 წუთში 7 ქულა და 6 ქულა მოაგროვა. ზაზამ 8-დან 3 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო. მილუოკელთა შორის 38 ქულით დაასრულა შეხვედრა კერონ ბატლერმა, ტრავმამოშუშებულ ერსან ელიასოვას ანგარიშზე კი 19 ქულა დაგროვდა.

მეორე მატჩში მილუოკელები „შარლოტ ბობქეთსს“ დაუხვდნენ და 72:96 დამარცხდნენ. ზაზამ მხოლოდ 12 წუთს ითამაშა და პირველად მიმდინარე სეზონში უქულოდ დარჩა. ქართველმა ცენტრმა 2 ორქულიანი ააცილა, აქტივში კი 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა ჰქონდა.

„ბაქსს“ 2 გამარჯვების წილ მე-10 მარცხი მოუგროვდა და აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილი უკავია. მეტიც, მთელს ლიგაში მილუოკელები მხოლოდ მაჩანჩალა „იუტა ჯაზს“ სჯობნიან, რომლის მონაგარით ერთადერთი მოგებაა. მ. ჟ.

# კარლო ანჩელოტი: „რეალს“ ერთი თასი აკლია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

დი, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი და ენთუზიაზმით სავსე ფეხბურთელებით. ვფიქრობ, წელს ბრწყინვალე სეზონი გვექნება.

***— რა იყო ყველაზე გასაოცარი „რეალში“ 5-თვიანი მწვრთნელობისას?***

— იცხოვრო ისეთ კლუბში, როგორიცაა „რეალ მადრიდი“, გაცილებით მეტია, ვიდრე ეს გარედან ჩანს. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს იყო პრესტიჟული კლუბი უდიდესი ისტორიითა და ტრადიციებით, მაგრამ ამ ყველაფრის შიგნიდან დანახვა და განცდა განსხვავებული ყოფილა. ყველა იძახის რომ „რეალ მადრიდი“ ყველაზე პრესტიჟული კლუბია და ეს მართალია, რადგან როდესაც ჩვენ მივდივართ სასტუმროში ან აეროპორტში, ჩვენი გულშემატკივარი ყოველთვის ჩვენთანაა.

***— როგორ მოეწყვეთ მადრიდში?***

— ეს არის ქალაქი, რომელიც ძალიან ჰგავს იტალიის ქალაქებს კულტურით. მადრიდს შევადარებდი რომს მისი ისტორიის გამო, არა მილანს, რომელიც სამრეწველო ქალაქია. ეს ძალიან განსხვავდება ლონდონისა და პარიზისაგან. ხალხს აქ მოსწონს საუბარი, ინფორმაციის გაზიარება და მეტი სოციალიზაცია.

***— რა არის განსხვავება „რეალ მადრიდსა“ და იმ კლუბებს შორის, რომლებიც გაგიწვრთნიათ?***

— მე არასოდეს მინახავს ჩემპიონთა ლიგის 9 თასი ერთად. მას ერთი აკლია.

# სკანვორდი



1. გაზაფხულის თვე; 2. უმაღლესი შედეგი რაიმე შეჯიბრებაში; 3. მუხის ნაყოფი; 4. ალგორითმული ენა; 5. მეტყველების ორგანო; 6. ცირკის მოედანი; 7. უხამსი შინაარსის ვოდევილი; 8. საბრძოლო იარაღი; 9. სანელებელი; 10. ესპანური სანახაობა ხარების მონაწილეობით; 11. საბჭოთა მანეთის მეასედი; 12. ... ბუკე; 13. ერთგვარი სათვალე; 15. მუზეუმი მადრიდში; 15. ჯუჯა კამეჩი; 16. ბერძნული ანბანის ასო; 17. ხოხბის მართვე; 18. ნახევარკუნძული ეგვიპტეში; 19. ბოკვნისკარტა, ფეხაპკიანი ფრინველი; 20. საბერძნეთის სახელმწიფო მოღვაწე (XX ს.); 21. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 22. ვულკანის ჩაღრმავება; 23. ქსოვილი ხორკლიანი ზედაპირით; 24. ფულის ერთეული ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში; 25. ძალიან მაგარი ქვა; 26. დათვზე სანადირო მსხვილი ტყვია; 27. ზარზეიმი; 28. ასწიე! (პორტის მუშების ლექსიკიდან); 29. ვიეტნამის დედაქალაქი; 30. ქალაქი საფრანგეთში; 31. კლიმატი; 32. განის დედაქალაქი; 33. ... შევჩენკო; 34. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 35. სწორი, ბალახიანი ადგილი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვიბრაცია; 2. ბოლტი; 3. მანსარდა; 4. ოაზისი; 7. კრიჟი; 9. ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. „გელაპი“; 15. ილუმენი; 17. ჰარლემი; 20. სკოტი.

**თარაზულად:** 5. სიმბიოზი; 6. „იზაბელა“; 8. კეტჩერი; 10. ლაჟვარდი; 11. „სინხუა“; 13. ანალები; 16. ტალავერი; 18. თართი; 19. გურია; 21. სკოპიე; 22. ანჩელოტი; 23. ჰოფმანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოლი; 2. ბრიჯი; 3. წვიმა; 5. ტეხური; 6. ლანდტაგი; 9. ულტიმატუმი; 10. „ჰარათფილდი“; 11. იაკიტორია; 14. ობი; 16. კაბარე; 18. ბივა.

**თარაზულად:** 1. მუმბაი; 4. ნატამალი; 7. დიჟონი; 8. მორთული; 12. „სტელა“; 13. „პოპული“; 15. მთიები; 17. „ეტა“; 19. ბურგომისტრი; 20. ლიფტი; 21. საუნჯე.

# კიევში ევროინტეგრაციის მომხრეთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობს

კიევში ევროინტეგრაციის მომხრეთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. ადგილობრივი მედიის ცნობით, დღის განმავლობაში 17 საპროტესტო აქციაა დაგეგმილი როგორც მომხრეების, ისე ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა მხრიდან.

უკრაინული სააგენტო „უნიანის" ინფორმაციით, ამ დროისთვის კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტიდან უკვე დაიწყო საპროტესტო მსვლელობა, რომლის მონაწილეებსაც უკრაინისა და ევროკავშირის უზარმაზარი დროშები უკავიათ. აქციის 10 ათასამდე მონაწილე კრეშატნიკის მოედნისკენ მიემართება.



უკრაინის ხელისუფლების განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მზადების პროცესის შეჩერება, ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა.

ამ ფონზე, უკრაინის პრემიერ-მინისტრი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ეხმიანება. როგორც ნიკოლაი აზაროვმა ტელეკომპანია „ინტერის" ეთერში სტუმრობისას აღნიშნა, ევროკავშირთან ინტეგრაციის შეჩერება არ ნიშნავს, რომ უკრაინას საბაჟო კავშირში გაწევრიანება სურს.

მისივე თქმით, ოფიციალური კიევის გადაწყვეტილება არა სტრატეგიულ, არამედ ტაქტიკურ ხასიათს ატარებს.

უკრაინის ევროკავშირთან ინტეგრაციის გაგრძელების შეჩერებას მოსახლეობა უკვე 2 დღეა, ქუჩაში აპროტესტებს. საპროტესტო აქციები კიევში, ლვოვში და ქვეყნის კიდევ რამდენიმე ქალაქში პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს.

უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ევროპული ქვეყნების ლიდერების გამოხმაურებაც მოჰყვა.

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე აცხადებს, რომ

„ბრიუსელს კიევისაგან ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია, ამიტომ უკრაინისათვის ევროპის კარი ისევ ღია რჩება".

ევროკავშირის ელჩი უკრაინაში, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი კი მიიჩნევს რომ „ვილნიუსის სამიტამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღეა, დარჩენილი და უკრაინასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს იმედი არ დაუკარგავთ, რადგან იმედი ბოლოს კვდება".

დრამატულად განვითარებული მოვლენების გამო, უკრაინა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. „ამერიკის ხმის" განცხადებით, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 21 ნოემბერს უკრაინამ გამოაცხადა, რომ ის აჩერებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გეგმებს, რომელიც ევროკავშირთან ქვეყნის სამომავლო პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს განსაზღვრავს. შეგახსენებთ, ხელმოწერა ვილნიუსის სამიტზე, 28-29 ნოემბრისთვის იგეგმებოდა. ევროპის ლიდერებმა მწუხარება გამოთქვეს ამ ფაქტის გამო. „ეს არამარტო ევროკავშირისთვის, არამედ, გვჯერა, რომ უკრაინელი ხალხისთვისაც იმედგაცრუებაა", – განაცხადა კეტრინ ეშტონმა, ევროკავშირის საგარეო საკითხების უმაღლესმა კომისარმა.

განცხადება შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმაც გააკეთა. „ჩვენ უკრაინელთა დიდი უმრავლესობის გვერდში ვდგავართ... ევროკავშირს ვუწონებთ, რომ კარს ჯერჯერობით ღიად ტოვებენ. შეერთებულ შტატებს სჯერა, რომ უკრაინის ინტეგრაცია ევროპაში არის ყველაზე სწორი კურსი ქვეყნის ეკონომიკური აყვავების და დემოკრატიზაციის გზაზე", – ნათქვამია ამერიკის საგარეო უწყების განცხადებაში.

პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მინიშნებებით თითი რუსეთისკენ გაიშვირეს. რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი კი „რაშა თუდეის" ინფორმაციით, ევროკავშირს თავად ადანაშაულებს უკრაინაზე „წნეხის" გამოყენებაში და ქვეყნის „დაშანტაჟებაში". „გუშინ, როცა ეს ამბავი შევიტყვე, რომ უკრაინამ შეაჩერა – კი არ გააუქმა – შეაჩერა მოლაპარაკება ევროკავშირთან და უნდა გადახედოს ყველაფერს, მაშინათვე ჩვენ მოვისმინეთ ევროკავშირიდან მომავალი საფრთხის შესახებ გაკეთებული განცხადებები, რომ უკრაინაში მასობრივი საპროტესტო აქციები იწყება. ამას წნეხი და შანტაჟი ქვია", – განაცხადა პრეზიდენტმა პუტინმა პარასკევს, პეტერბურგში თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ტაიპ ერდოღანთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

შტეფან ფულემ, ევროკავშირის კომისარმა გაფართოების საკითხებში, კიევში ერთი კვირის განმავლობაში უკვე მეორე ვიზიტი დაგეგმა. თუმცა, შემდეგ ის სულ რამდენიმე საათში გააუქმა. „თვითერზე" გაკეთებულ განცხადებაში კომისარმა აღნიშნა, რომ ძალიან ძნელი იქნებოდა უკრაინის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში რუსეთის გავლენის არდანახვა, კერძოდ – „რუსეთის ბოლო უსამართლო ეკონომიკური და სავაჭრო ზომების შედეგის".

პარასკევს, როგორც უკრაინის, ასევე საერთაშორისო მედიაში გაჩნდა სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ურკაინის მხრიდან ეს მხოლოდ სტრატეგიული მანევრი იყოს და არა საბოლოო გადაწყვეტილება. ამის საფუძველს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ უკრაინულ რადაში გაკეთებული განცხადებაც იძლევა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „მთავრობის გადაწყვეტილებას უკრაინას და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების მომამზადებელი პროცესის შეჩერების შესახებ, ტაქტიკური ხასიათი აქვს, რომელიც ეკონომიკურ სიტუაციას ითვალისწინებს. ამის მიუხედავად, უკრაინის სტრატეგიული კურსი ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით უცვლელი რჩება" (უკრაინის საინფორმაციო სააგენტო „უნიანი").

გაზეთი „ფაინენშალ თაიმსი" ამტკიცებს, რომ უკრაინის პრეზიდენტს, ვიქტორ იანუკოვიჩს დიდი ხანია რუსული ვარიანტი ქვეყნის საგარეო თუ ეკონომიკური კურსის არჩევანიდან ამოღებული აქვს, თუმცა დახურულ კარს მიღმა ამ კოზირს ბრიუსელთან მოლაპარაკებათა საწარმოებლად იყენებს. ორი დასავლელი დიპლომატის მიერ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელთა ვინაობა არ სახელდება, გაზეთი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა შტეფან ფულესთან საუბარში განაცხადა, რომ ის არც ხელშეკრულებას მოაწერს ხელს და არც იულია ტიმოშენკოს გაათავისუფლებს, თუკი დასავლეთი უკრაინას ზოგადად მეტ ფინანსურ დახმარებას არ აღმოუჩენს. სავარაუდოდ საუბარია სტიმულირების პაკეტზე საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, ან უშუალოდ ევროკავშირის მხრიდან დაფინანსებაზე.

ჯერჯერობით გაურკვეველია, მზად არის თუ არა ევროკავშირი დამატებითი ფინანსური პასუხისმგებლობებისთვის. ის უკრაინას ხელმოწერის შემთხვევაში დაახლოებით მილიარდდოლარიან დახმარებას უკვე დაპირდა. ოფიციალური წყაროების მიხედვით, იანუკოვიჩი საერთაშორიოსო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებას წლის განმავლობაში 15-მილიარდიანი დახმარების პაკეტზე აწარმოებდა. ამ შეთანხმების წარმატება უფრო უკრაინის შიდაპოლიტიკური რეფორმების წარმატებებზეა დამოკიდებული, ვიდრე ევროკავშირის ნებაზე – აღნიშნავენ ანალიტიკოსები. „ფაინენშალ თაიმსი" ნოემბრის მესამე კვირის ბოლოს განვითარებულ მოვლენებს პოკერის თამაშში ღრმად ჩაფლულ მოთამაშეებს ადარებს და ამბობს, რომ ჯერჯერობით ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რით დამთავრდება ვილნიუსის სამიტი და ნოემბრის გადამწყვეტი, მეოთხე კვირა. იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ბრიუსელს ძალიან უნდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის წარმატების დემონსტრირება და პუტინსაც არანაკლებ სურს საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნების რუსეთის ირგვლივ გაერთიანება, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ „პოკერის თამაში სულ ცოტა რამდენიმე დღე გაგრძელდება", – ნათქვამია მიმოხილვაში.

„ნიუ იორკ თაიმსის" ავტორი, დევიდ ჰერზენჰორნი ამბობს, რომ როგორიც არ უნდა იყოს უკრაინის საბოლოო გადაწყვეტილება, მოლდოვა ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მაინც მოაწერს. ევროპის უღარიბესი ქვეყანა, რუსეთის მხრიდან განხორციელებული სანქციების მიუხედავად, ევროკავშირში ინტეგრაციისთვის მზად არის. იგივე გეგმა აქვს საქართველოსაც. ქვეყანა 2008 წელს რუსეთთან ხანმოკლე ომის და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებთან დაკავშირებული უთანხმოების მიუხედავად, აღებულ კურსს აგრძელებს. „საინაუგურაციო ცერემონიალზე, რომელიც კვირას გაიმართა, ქვეყნის ახლმა პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, განაცხადა, რომ საქართველოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების იმედი აქვს", – აღნიშნავს „ნიუ იორკ თაიმსი".

# ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის მიმართ მთავარი პრეტენზიები მოხსნილია

ათწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანის მიმართ მთავარი პრეტენზიები მოხსნილია. ირანი ამ პროგრამისთვის სამუშაოებს შეამცირებს, აშშ და ევროკავშირი კი თეირანის მიმართ დაწესებულ სანქციებს შეასუსტებენ. ლაპარაკია, უპირველესად, ირანის უცხოური აქტივების „გალღობაზე", რომელთა საერთო რაოდენობა 4,2 მილიარდ დოლარს შეადგენს.



საერთაშორისო შუამავალთა „ექვსეულმა" დღეს ირანთან ისტორიულ შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლისთვისაც მთლიანობაში დიპლომატებმა ათი წელი და ხუთი დღე-ღამე დახარჯეს. შეთანხმების თანახმად, ირანი ბირთვული პროგრამის შემცირებასთან ერთად, ვალდებულებას იღებს მონიტორინგის განსახორციელებლად საერთაშორისო ექსპერტები დაუშვას.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მას პირველი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა. მისი შეფასებით, ის გზას უხსნის შემდგომი მოლაპარაკებების დაწყებას კომპლექსურ საკითხებზე, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებას აღელვებს.

„დიპლომატიამ გზა გაცილებით უსაფრთხო მსოფლიოს გაუკვალა", – აღნიშნა ბარაკ ობამამ.

მისი ინფორმაციით, ირანმა თანხმობა თავის ბირთვულ ობიექტებზე საერთაშორისო ინსპექტორების დაშვებასა და ე.წ. მძიმე წყალზე რეაქტორის მშენებლობის შეჩერებაზე განაცხადა. ის ასევე მზადაა, უარი თქვას ურანის გასამდიდრებლად ახალი ცენტრიფუგის განთავსებაზე.

„ექვსეულის" ერთ-ერთი წევრის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გიდო ვესტერველეს განცხადებით, გადადგმულია გადამწყვეტი ნაბიჯი ირანის ატომური შეიარაღების შეწყვეტის კუთხით. ამ ნაბიჯს მან შემობრუნების მომენტი უწოდა.

თუ ნახევარი წლის განმავლობაში მსოფლიო საზოგადოება შესრულებულ დაპირებებს ვერ დაინახავს, ირანის წინააღმდეგ სანქციები სრულად აღდგება.

აღსანიშნავია, რომ დღეს მიღწეულ შეთანხმებას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიემინ ნათანიაჰუმ ისტორიული შეცდომა უწოდა და მოუწოდა მსოფლიოს, ყურადღებას ნუ მოადუნებენ ირანის მიმართ, ვიდრე ეს ქვეყანა მთლიანად არ იტყვის უარს ბირთვული იარაღის წარმოებაზე.

ამასთან, ირანის პრეზიდენტმა ჰასან როჰანმა განაცხადა, რომ შეთანხმების შესრულება დაუყოვნებლივ დაიწყება.

# თურქეთის პრემიერი „პატივს არ სცემს" გადატრიალებით ხელისუფლებაში მოსულთ



თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ეგვიპტიდან თურქეთის ელჩის გაძევების შემდეგ განაცხადა, რომ მისი მთავრობა არასოდეს „სცემს პატივს" სამხედროთა მიერ „დასმულ" მმართველებს. ეგვიპტის ხელისუფლებმა თურქეთის ელჩს ქვეყნის დატოვება თხოვეს და ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეზღუდვის შესახებ განაცხადეს.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთი თავის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა. მოგვიანებით, თურქეთმა ეგვიპტის ელჩი ამ ქვეყანაში პერსონა ნონ გრატად, არასასურველ პირად გამოაცხადა. ეგვიპტის ეს მოქმედება გამოიწვია თურქეთის პრემიერის მხრიდან ეგვიპტის არჩეული პრეზიდენტის, მურსის ჩამოგდების მიმართ კრიტიკამ. მურსის ისლამისტები უჭერენ მხარს. თურქეთი თვლის, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება იყო. ერდოღანმა ქალაქ ტრაპიზონში გამოსვლისას „შემართა" ხელი „რაბაას" ნიშნით, რომელსაც ეგვიპტეში მურსის მომხრეები იყენებენ.

ეგვიპტე აცხადებს, რომ თურქეთი ახდენს ისეთი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, რომელიც ქვეყნის ინტერსში არ შედის, ის ასევე მხარს უჭერს ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ვითარების დესტაბილიზაციას ახდენენ.

თურქეთმა არაერთხელ გაკრიტიკა ეგვიპტე მუჰამედ მურსის დამხობის გამო, რის საპასუხოდაც ქაირომ განაცხადა, რომ ეს არის მის საქმეებში უხეში ჩარევა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

„ახალი თაობის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ნონა კანდელაკს მამის

**ვლადიმერ კანდელაკის**

გარდაცვალების გამო

## პოლიკო! ჩემო სიხარულო და სევდავ ჩემო! ჩემო ლამაზო, ჭკვიანო და ვაჟკაცო ძმაო!



დღევანდელი დღე – 25 ნოემბერი უმძიმესია ყველა შენიანისთვის. ორი წელია აღარ ხარ ჩვენთან. ამ ორი წლის განმავლობაში წუთიც არ ყოფილა უშენოდ. თვალწინ მიდგას ყოველი შენი მიმიკა და ჟესტი, ხუმრობა და სიცილი. გულს მიკლავს შენი სევდიანი თვალების გახსენება. არ ისურვე, თანაზიარი ვყოფილიყავით შენი ტკივილის. მარტო უმკლავდებოდი შენს სატკივარს. ისე გვამშვიდებდი, გვამხნევებდი და გვაიმედებდი ყველას, შენი ავადმყოფობის მიუხედავად, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამუდამოდ გვემშვიდობებოდი. ამიტომაც გაოგნებული და თავზარდაცემული დაგვტოვე ყველა.

შემდეგ ჩვენთვის იყო და გრძელდება რუხი დღეები – ცრემლი, გლოვა, სასოწარკვეთა... და დარჩა ლეგენდა ერთ ლამაზ თბილისელ ბიჭზე, რომელმაც ფერადი, სუფთა, მართალი გზით იარა და რომელიც უჩვეულო ვაჟკაცობით შეხვდა სიკვდილს. პოლიკო! მიყვარხარ! მენატრები!

*შენი და ზიზი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ორშაბათი 25 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**მიფრთხილდი" ლა ტურ!**" (ჟ.მარე) **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **21.00** თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.30** მხ/ფ "**ემიგრანტები**" (მ.ფონ სიუდოვი) **02.10** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში"

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **08.30, 10.10** მხ/ფ "**მაღალი" ქერა მამაკაცის დაბრუნება**" (პ.რიშარი) **11.45** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "ჩეხეთის რესპუბლიკა" **12.10** მხ/ფ "**ფანტომის დაბრუნება**" **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.30** მხ/ფ "**ფუჭი დიდება**" (ი.ბერგმანი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ "**მოიტაცეს თამარ ქალი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**შერეკილები**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.00** განთიადის სტუმარი **15.25** სპექტაკლი "**შიში**" **17.40** ეთნოგრაფია **18.10** აქტუალური თემა **18.30** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 00.05, 22.00, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**კაცია ადამიანი?!**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** სღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ლაზი ვორე" **00.25** ისტორიის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00" 0.45" 2.30" 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ს **7.55" 8.10" 9.15** მალვიძარა **8.00" 9.00" 10.00" 12.00" 15.00" 18.00" 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 13.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6821

ევრო — 2,2732

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7243

100 რუსული რუბლი — 5,1119

## ამინდის პროგნოზი 25 ნოემბრისთვის




## შოტლანდიამ დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი დაასახელა

შოტლანდია 2016 წლის 24 მარტს დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გახდეს იმ შემთხვევაში, თუ 2014 წლის 18 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე შოტლანდიელთა უმრავლესობა ამ გადაწყვეტილებას დაუჭერს მხარს და ინგლისისგან გამოყოფას მიემხრობა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი" ავრცელებს.



შოტლანდიის საქმეებში ბრიტანეთის სამინისტრომ უკვე მიუთითა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და რეფერენდუმის ჩატარების დაგეგმილი თარიღები, გამოყოფის შესახებ დაგეგმილ მომავალ მოლაპარაკებებში, შოტლანდიის მთავრობის პოზიციებს ასუსტებს, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ რეფერენდუმზე უმრავლესობა დამოუკიდებლობას ხმას მისცემს.

ამის მიუხედავად, შოტლანდიის მთავრობამ აუცილებლად მიიჩნია დამოუკიდებლობის დღის თარიღის შეტანა ე.წ. თეთრ წიგნში — ოფიციალურ საკანონმდებლო დოკუმენტში, რომელიც შოტლანდიის მომავალი დამოუკიდებლობის პრინციპებს ეძღვნება.

„თეთრი წიგნი" სამშაბათს გამოქვეყნდება და შოტლანდიის მთავრობის წევრმა იმედი გამოთქვა, რომ მას რაც შეიძლება მეტი შოტლანდიელი გაეცნობა. წიგნი 670 გვერდიანია და ის ინტერნეტშიც გამოქვეყნდება. ეს კონკრეტული თარიღების დასახელების პირველი შემთხვევაა.

ოფიციალური ედინბურგის ქმედებებმა ლონდონში კრიტიკა გამოიწვია. ცენტრალური მთავრობა, პრინციპში არ ეწინააღმდეგება შოტლანდიის დამოუკიდებლობას, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება რეფერენდუმზე იქნება მიღებული, მაგრამ მიიჩნევს, რომ ისაუბრო კონკრეტულ თარიღებზე მაშინ როდესაც ხალხს ჯერ თავისი სიტყვა არ უთქვამს, არაკორექტულია და კონტრპროდუქტიული.

თუმცაღა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ისტორიის მანძილზე მან საკუთარი კანონმდებლობა, სკოლა და უნიკალური კულტურა შეინარჩუნა. 1999 წლიდან შოტლანდიას საკუთარი პარლამენტი აქვს. ამის მიუხედავად, ძირითადი საკითხები მაინც ვესტმინსტერიდან კონტროლდება. შოტლანდიის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დღესდღეობით ისევ დამოუკიდებლობა სურს.

**გ. მ.**

## ოპერის თეატრი „ტოსკას" წარმოადგენს


ეკა ირემაშვილი


პირველ დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჯაკომო პუჩინის „ტოსკას" საკონცერტო ვერსიას წარმოადგენს.

იტალიელი კომპოზიტორი ჯაკომო პუჩინი არაერთი გახმაურებული ოპერის ავტორია. მისი ოპერებიდან „ტოსკა", „ბოჰემა", „მადამ ბატერფლაი" და „ტურანდოტი", ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესრულებული ნაწარმოებებია ამ ჟანრის ისტორიაში. პუჩინი ერთ-ერთია იმ მცირეთაგან, რომელმაც წარმატებით გამოიყენა ოპერის შესრულების გერმანული და იტალიური ტექნიკა. კომპოზიტორი იტალიურ ოპერაში ჯუზეპე ვერდის ერთადერთ ნამდვილ მემკვიდრედ არის მიჩნეული. როდესაც ყველას ეგონა, რომ ვერდის შემდეგ იტალიურ ოპერაში მოსასმენი აღარაფერი იყო და ნებისმიერ კომპოზიტორს მის ჩრდილში მოუწევდა ყოფნა, ჯაკომო პუჩინის შემოქმედებამ ყველას დაუმტკიცა, რომ მოსასმენი ბევრად უფრო მეტი ქონდათ, ვიდრე წარმოდგენა შეეძლოთ. ის იყო ერთ-ერთი მოდერნისტული მიმდინარეობის — ვერიზმის წარმომადგენელი. ვერისტული ოპერისთვის დამახასიათებელი იყო უბრალო ადამიანების ცხოვრების ასახვა.



ცნობილია, რომ პიესა „ტოსკა" ვიქტორიან სარდუმ სპეციალურად სარა ბერნარისათვის დაწერა. სარა ბერნარის მიერ შესრულებული ფლორია ტოსკათი და სარდუს პიესით, როგორც შესაძლებელი ლიბრეტოთი, პუჩინის გარდა აღფრთოვანდნენ და დაინტერესდნენ ვერდიცა და ფრანკეტიც. გამომცემლის მოხერხებული შუამავლობის შედეგად ოპერა „ტოსკას" დაწერის უპირატესობა ჯაკომო პუჩინიმ მოიპოვა. სარდუს ტოსკამ სარა ბერნარის წასვლასთან ერთად დატოვა თეატრის სცენა და დავიწყებას მიეცა. პუჩინის ფლორია ტოსკა კი პრემიერის დღიდან გასული საუკუნეზე მეტის, 113 წლის მიუხედავად კვლავაც ხიბლავს, ატყვევებს და აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი.

პუჩინის „ტოსკას" პრემიერა 1900 წლის 14 იანვარს რომის თეატრში შედგა. ცნობილია, რომ კომპოზიტორმა სარდუს გახმაურებული დრამა „ტოსკა" 2-ჯერ ნახა ზედიზედ მილანსა და ტურინში სარა ბერნარის მონაწილეობით. ბერნარითა და პიესით აღფრთოვანებულმა კომპოზიტორმა ოპერის დაწერა მოინდომა და ამისათვის ფრანგ დარმატურგს ნებართვა სთხოვა. რიგი შეთანხმებებისა და კომპრომისების შემდეგ მან ეს ნებართვა მიიღო. პუჩინის „ტოსკას" პრემიერა კრიტიკოსების დიდი რისხვითა და პუბლიკის უკიდურესი აღფრთოვანებით დასრულდა. ოპერა პრემიერიდან 63 დღეში ლა სკალაში ტოსკანინის დირიჟორობით შესრულდა.

ტოსკას „XX საუკუნის საუკეთესო" შემსრულებლად მარია კალასია მიჩნეული და მის შემდეგ საუკეთესოებში არიან ბრიგიტ ნილსონი და რენატა ტებალდი.

პირველ დეკემბერს გამართულ კონცერტზე თბილისის ოპერის თეატრის გუნდს და სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ჟორდანია. მთავარ პარტიებს იმღერებენ მაყვალა ასპანიძე (ტოსკა), ნიკოლოზ ლაგვილავა (სკარპია), კახაბერ თეთვაძე (ანჯელოტი), ლევან იმედაშვილი (მღვდელმსახური), თამაზ საგინაძე (სპოლეტა), ვახტანგ ჯაშიაშვილი (შარონე), ვანო ბუაძე (ციხის ზედამხედველი), ნათია ივანიაშვილი (მწყემსი). კავარადოსის პარტიას კი უცხოეთში წარმატებით მოღვაწე ცნობილი ქართველი ტენორი გიორგი ონიანი შეასრულებს.

## ჰოლანდიელი ქორეოგრაფი თბილისში ჩამოვა


ეკა ირემაშვილი


25 ნოემბერს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის კაფეში გაიმართება შეხვედრა ჰოლანდიელ ქორეოგრაფთან და მოცეკვავესთან ბენო ვორჰემთან. შეხვედრაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ ბენო ვორჰემის ასისტენტები: დანილ ბელკინი (ქორეოგრაფი უკრაინიდან) და საშა სოშნიცოვა (მოცეკვავე მოლდოვიდან). ისინი აუდიტორიას გააცნობენ თავიანთ ნამუშევრებს.

როგორც ღონისძიების კურატორმა თამარ კიკნაველიძემ განაცხადა, აუდიტორიას ექნება შესაძლებლობა დასვას კითხვები და გამართოს დისკუსია.

— შეხვედრას დაესწრებიან მსახიობები, მოცეკვავეები, რეჟისორები, ქორეოგრაფები, სტუდენტები, თანამედროვე ცეკვითა და კონტაქტური იმპროვიზაციით დაინტერესებული პირები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბენო ვორჰემის ვორქშოფი 18 ნოემბერს დაიწყო და 29 ნოემბრამდე გაგრძელდება მუსიკისა და დრამის თეატრში. მასში მონაწილეობენ ქართველი მსახიობები. პროექტი ხორციელდება შვედეთის ინსტიტუტისა და ქორეოგრაფიული დასის ლავა-დენსპროდაქშენის მხარდაჭერით. პროექტის ორგანიზატორები კი არიან ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ნიდერლანდების კულტურის ფონდი კავკასია და მუსიკისა და დრამის თეატრი, — აღნიშნა თამარ კიკნაველიძემ.



## ვინ არიან „მეგას" ფავორიტები?


ეკა ირემაშვილი


წელს მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი „მეგა" მარჯანიშვილის თეატრში მეთოთხმეტედ ჩატარდება და 10 დეკემბერს რჩეულებსაც დაასახელებს, თუმცა მანამდე მათი ვინაობა გასაიდუმლოებულია.

ცნობილია მხოლოდ ის ნომინაციები, რომლებშიც „მეგა" ფავორიტებს გამოავლენს და მათი რიცხვი 33-ია: წლის კონცერტი, წლის პოპულარული სიმღერა, წლის პოპულარული მომღერალი (ქალი, კაცი), წლის აღმოჩენა, წლის რეპერი, წლის დუეტი, წლის კლიპი, წლის ჯგუფი, საუკეთესო სასცენო იმიჯი (ქალი, კაცი), ხალხის სიმპატია (ქალი, კაცი), ყველა თაობის მომღერალი (ქალი, კაცი), ქალაქური სიმღერების პოპულარული შემსრულებელი, პოპულარული კომპოზიტორი, პოპულარული ავტორ-შემსრულებელი, წლის დებიუტი, „ოძელას მეგა" (დათო ოძელაშვილის სახელობის „მეგა" — შემოქმედებითი ღვაწლისა და მუსიკალურ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის), „მეფეს მეგა" (ირაკლი ჩარკვიანის სახელობის „მეგა" — საქართველოში როკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის), „თეონას მეგა" (თეონა ქუმსიაშვილის სახელობის „მეგა" — ფოლკლორის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის), ბრენდი — საქართველოს ვარსკვლავი (ქალი, კაცი), წლის მუსიკალური ტელე-პროექტი, საუკეთესო ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსაბლი, საუკეთესო საბავშვო სტუდია, მომავლის ვარსკვლავი, საუკეთესო ვოკალისტი, წლის რიმეიქი, ტექსტების პოპულარული ავტორი, წლის პროდუქტიული მომღერალი, პოპულარული პატრიოტული სიმღერა, წლის მუსიკალური პოლიტ-პარადია, „მეგა ყვითელი ჰალსტუხით" — ყვითელ პრესაში ყველაზე ხშირი სტუმარი, წლის სკანდალი, წლის სირცხვილია (ნომინაცია „უხერხულია") და ქართული შოუ-ბიზნესის მაფიოზი.




როგორც „მეგას" დამფუძნებელი ბესო ჩუბინიძე აღნიშნავს, „მეგას" ვარსკვლავებს ადამიანები ქმნიან და არა სულელური სმსები და ლაიქები „ფეისბუქზე":

— ჩვენ „მეგას" საორგანიზაციო ჯგუფი, თავისუფლებას ვერ დავკარგავთ, ხალხის ინტერესზე ზემოთ ვერავის ინტერესს ვერ დავაყენებთ, რადგან ამ საქმეში ჩემთვის ავტორიტეტები არ არსებობენ გარდა ხალხისა, ასე იყო 1999 წლიდან და ასეა წელსაც 2013 წელს. რაც არ უნდა სასპონსორო თანხა გაიღოს და რაც არ უნდა მითითებები მოგვცეს, ვინ რა ნომინაციაში გაიმარჯვოს „მეგას" გამარჯვებულებს ქართველი ხალხი ირჩევს და არა ვინმე რომელიმე კაბინეტში! მორჩა — ამით ყველაფერია ნათქვამი! უკვე 14 წელიწადია ქვეყნის მთავარ მუ-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## სერენა უილიამსი წლის სპორტსმენობისთვის იბრძვის



მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ამერიკელი სერენა უილიამსი 2013 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი გახდა. უმცროსი უილიამსი კარიერაში მეხუთედ გახდა წლის მოთამაშე ქალთა შორის.

2013 წელს სერენამ 11 ტიტული მოიპოვა, მათ შორის, მოიგო „როლან გაროსი" და აშშ-ის ღია პირველობა. სეზონში მოგებათა რიცხვმა 78 მატჩი შეადგინა. ამასთან, სერენამ 2013 წელს 12.386.000 დოლარი გამოიმუშავა, რაც ქალთა ჩოგბურთში აბსოლუტური რეკორდია.

ადრე სერენა უილიამსი 2002, 2008, 2009 და 2012 წლებში აღიარეს წლის საუკეთესო მოთამაშედ. ყველაზე ხშირად ვტა-ს პრესტიჟული ჯილდო გერმანელ შტეფი გრაფსა (8-ჯერ) და ამერიკელ მარტინა ნავრატილოვას (7) აქვთ მიღებული.

თუმცა, შესაძლოა, სერენასთვის ეს წლის ბოლო ჯილდო არ აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ ლეგენდარულმა ამერიკელმა მოთამაშემ კრის ევერტმა უმცროსი უილიამსი წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდების კანდიდატად დაასახელა. წლის სპორტსმენს ტრადიციულად ავტორიტეტული გამოცემა „ილუსტრეიდი" ატარებს, შარშან კი ტიტული „მაიამი ჰითის" კალათბურთელ ლებრონ ჯეიმსს ერგო, ხოლო ჩოგბურთელმა ეს ტიტული ბოლოჯერ 1992 წელს დაიმსახურა. არტურ ეშს საჩოგბურთო კარიერა იმხანად 12 წლის წინ შეწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ საუკეთესოდ მაინც ის სცნეს.

**მ. ჟ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 25 ნოემბრისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ. რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — დღეს ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — ახალ ბინაში გადახვალთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, ფული გექნებათ. **ღრიანკალი** — თქვენით დაინტერესდებიან, გელით კარგი შემოთავაზება. **მშვილდოსანი** — ენერგიის აღდგენა გჭირდებათ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **მერწყული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ვენესუელის დედაქალაქი; 7. ერთგვარი ალამი; 8. სიო; 9. მთათა მასივი აზიაში; 10. დიდი კრემიანი ნამცხვარი; 13. კოსმეტიკური საცხი; 15. მემკვიდრეობითობის ქრომოსომული თეორიის საფუძველი; 18. შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გასვლა საპურმარილოდ; 20. მდინარე კახეთში; 21. პოლიტიკური გაერთიანება; 23. ნივთიერების გავარვარება მისი დაშლის მიზნით; 24. ტუსაღის ოთახი ციხეში.

**შვეულად:** 1. ბაბილონის უკანასკნელი მეფის ძე, რომელიც სპარსელებმა მოკლეს; 2. ხეობა აღმოსავლეთ საქართველოში; 3. საქმიანი სტუმრობა; 4. ძველეგვიპტელთა ღვთაება, ქალაქ თებეს მფარველი; 5. ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლების დამფარავი აპკი; 11. დიდ მოაზროვნეზე, გენიოსზე იტყვიან; 12. რაიმე ნიშნით გამოყოფილი ადგილი; 14. ქალაქის თავი; 16. ამერიკული მღრღნელი ცხოველი; 17. საქმოსნობა, უკვე არსაძრახისი; 19. ჰორიზონტალური შვერილი შენობის კედლის თავზე; 21. ხმადაბლა (მუს.); 22. დოლარის მეასედი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი